ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2012 **№301 (13 907)** ფასი 80 თეთრი


## ცუდი ამბავი კატალონიიდან

## ყველამ ერთად ვთქვათ:

# ჯანმრთელობა, ტიტო!



## ვილანოვა ისევ საოპერაციოა

გუშინ „ბარსელონასთვის“ და მთელი საფეხბურთო მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია გავრცელდა: კატალონიური გრანდის თავკაც ტიტო ვილანოვას კვლავ ყელყურის სიმსივნე აქვს და ისევ საოპერაციოა. საღამოს „ბარსამ“ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ 44 წლის სპეციალისტს ოპერაციას დღეს გაუკეთებენ, რის შემდეგაც მას ექვსი კვირის განმავლობაში ქიმიო და სხივური თერაპია ჩაუტარდება. შეგახსენებთ, რომ ტიტომ ასეთი ოპერაცია ერთი წლის წინ, 2011 წლის 22 ნოემბერსაც გაიკეთა.

ესპანური მედიის ცნობით, ამ ხნის მანძილზე „ბარსას“ ვილანოვას ასისტენტი ხორდი როურა გაწვრთნის. ჩვენი ესპანელი კოლეგები გუშინ „ბარსასთან“ მიმართებაში ლუის ენრიკეს გვარსაც ახსენებდნენ. თუმცა ყველაზე მთავარი ახლა ვილანოვას ჯანმრთელობაა. ამ მოვლენას გუშინ მთელი საფეხბურთო მსოფლიო გამოეხმაურა, ერთ-ერთი პირველი კი მადრიდის „რეალი“ იყო: *„ვილანოვას მიმართ უდიდეს პატივისცემას გამოვხატავთ, ტიტოს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!“* - ნათქვამია „სამეფო გუნდის“ ოფიციალურ განცხადებაში.

გოტფრიდ ლენცი

# დღეს წილისყრაა!

## კლუივერტი და მაკმანამანი გუნდებს ჩემპიონთა ლიგის და ევროპალიგის პლეი ოფებში დააწყვილებენ

**აქეთ**
პსჟ
შალკე
მალაგა
ბორუსია (დ)
იუვენტუსი
ბაიერნი
ბარსელონა
მანჩესტერ იუნ.




8-9

**იქით**
პორტუ
არსენალი
მილანი
რეალი
შახტარი
ვალენსია
სელტიკი
გალათასარაი

# ვიტე-ჩემპიონი საუკეთესო ექვსეულს მიღმა!

2-3

### ზუგდიდმა განმუხურში პირველად წააგო... დინამო თავის არენაზე უდანაკარგოა!

### გუშინ, მსოფლიოში

## არგენტინის წლის სპორტსმენი: მესი? არა, სერხიო მარტინესი!

მიუხედავად იმისა, რომ **ლიონელ მესიმ** 2012 წელს 90 გოლი გაიტანა და **გერდ მიულერის** ლეგენდარული რეკორდი მოხსნა, არგენტინელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის სპორტსმენად მოკრივე **სერხიო მარტინესი** დაასახელეს, რომელიც წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

*„ბედნიერი ვარ, რომ მე ამირჩიეს. მესის კომპანიაში არგენტინის წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდების მოპოვება ჩემთვის უდიდესი პატივია!“* - განაცხადა 37 წლის მარტინესმა. თავად მესი არგენტინაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს (ესეც საქმეა), მეორე ადგილზე **სერხიო აგუერო** გავიდა, მესამეზე - **გონსალო იგუაინი**.

■ ■ ■

ლონდონის ჩელსი ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდა - ლონდონელებმა „ლიდსი“ 5:1 გაანადგურეს. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი „ლიდსმა“ მოიგო, მეორე ნახევარში კი „ჩელსიმ“ ქვედალიგელ მეტოქეს ხუთი გოლი გაუტანა (**გოლები: მატა, ივანოვიჩი, მოზესი, აზარი, ტორესი**).

■ ■ ■

დორტმუნდის „ბორუსია“, „შტუტგარტი“, „ბოხუმი“ და „ვოლფსბურგი“ გერმანიის თასის მეოთხედფინალში ითამაშებენ. გერმანიის ჩემპიონმა და თასის მოქმედმა მფლობელმა „ჰანოვერი“ 5:1 გაანადგურა - სამი გოლი **მარიო გიოტცეს** ანგარიშზეა, თითოჯერ კი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ** და **რობერტ ლევანდოვსკიმ** იხეირეს.

■ ■ ■

სენსაცია მოხდა იტალიის თასის მერვედფინალში: „ნაპოლი“ „ბოლონიასთან“ 1:2 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა. რომის „ლაციომ“ („სიენასთან“ 1:1, პენალტების სერიაში 4:1) და ფლორენციის „ფიორენტინამ“ (უდინეში 1:0) მეოთხედფინალში გაალწიეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტური



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# სერია გაგრძელდა: დინამო თავის არენაზე უდანაკარგოა

19.12. თბილისი. დინამო არენა
150 მაყურებელი

**დინამო (თბ) 3**
**მერანი 1**

1:0 ჩისკო (9), 2:0 მერებაშვილი (45), 3:0 დვალი (70), 3:1 ტორონჯაძე (74)
*გამოუყენებელი პენალტი: დიდავა (90)*

| დინამო 4-4-2 | მერანი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | შეროზია |
| სეთურიძე | გეგეჭკორი |
| გ. კვარაცხელია | იობაშვილი |
| გველესიანი | ქარქუზაშვილი |
| რეხვიაშვილი | მელიავა |
| ალვარო | დიდავა |
| კვეკვესკირი | ბუკია |
| ხმალაძე | ნოზაძე |
| მერებაშვილი | ფონიავა |
| ჩისკო | კუჭუხიძე |
| დვალი | ს. ლომია |
| მწვრთნელი დ. უჰრინი | მწვრთნელი მ. ჭვანია |

**დინამო**
74. ჩისკო – **კოტო**
81. გველესიანი – **გლიშიჩი**
90. ალვარო – **ხოჭოლავა**
*სათადარიგოები:* ზარქუა, ტვილდიანი, ვოსკობოინიკოვი

**მერანი**
67. ს. ლომია – **ტორონჯაძე**
75. ნოზაძე – **ამბროლაძე**
სათადარიგოები: ბერია, კიკალიშვილი, გელაჭეიშვილი, მჭედლიშვილი, გაბისონია, ამბროლაძე
არბიტრი: თ. გვანცელაძე

"დინამო არენის" ადმინისტრაციამ დილიდანვე დაიჭირა თადარიგი მოედნის თოვლისგან გადასაწმენდად და დაახლოებით ასი ადამიანის რამდენიმესაათიანმა შრომამ შედეგი გამოიღო – მატჩი დროულად დაიწყო და უხვ ნალექს მის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია.

მატჩისწინა მოთელვაზე **ოთარ ხიზანეიშვილი** დაშავდა და "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი **გიორგი გველესიანმა** დაიკავა. მასპინძელთა სასტარტოში გამოჩნდა **ნიკა კვეკვესკირიც,** რომელმაც დისკვალიფიცირებული ირაკლი ძარია შეცვალა.

"დინამომ" ტრადიცია გააგრძელა და მიმდინარე სეზონში მორიგი საშინაო მატჩი მოიგო. როგორც იცით, "დინამო" არენაზე ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს მიმდინარე სეზონში ქულაც არ დაუკარგავს.

**დუშან უჰრინის** გუნდმა დაგეგმილი სამი ქულა დიდი ნერვიულობის გარეშე მიითვალა, მაგრამ "მერანი" ურიგოდ სულაც არ გამოიყურებოდა და რიგ ეპიზოდებში აზრიანადაც უტევდა. საბოლოოდ, ყველაფერი მაინც "დინამოს" უფრო მაღალმა კლასმა გადაწონა.

მასპინძლებმა სწრაფი გოლის გატანა შეძლეს – კვეკვესკირის დარტყმულს მიმართულება **ჩისკომ** შეუცვალა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა განიმტკიცა.

"მერანი" ამ ფაქტს არ დაუბნევია. **ნოდარ ნოზაძესა** და **ლევან გეგეჭკორს** ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ ორივეს მცდელობას წინ გიორგი ლორია აღუდგა. პირველ ტაიმში დინამოელთაგან **ჯაბა დვალს** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ანგარიში ორამდე ზედ შესვენების წინ გაიზარდა – **გიორგი მერებაშვილმა** მეტოქის მცველის მიერ მოგერიებული ბურთი მიიღო და ძლიერი დარტყმით მარტვილელთა კარი დალაშქრა.

საინტერესო მოვლენები მატჩის მეორე ნახევარშიც ვიხილეთ. 48-ე წუთზე მერებაშვილი და ჩისკო მეკარესთან ორი-ერთზე აღმოჩდნენ, მაგრამ მერებაშვილის გადაცემამ ესპანელამდე ვერ მიაღწია. ამას ჩისკოს მიერ გაფუჭებული ორი ხელსაყრელი მომენტი მოჰყვა, "დინამოს" მესამე გოლი კი ბომბარდირთა დავაში მისმა კონკურენტმა, ჯაბა დვალმა გაიტანა, რომელიც მეტოქის მეკარეს გასცდა და ბურთი დაუცველ კარში შეაგორა.

"მერანმა" საკმაოდ ეფექტური პრესტიჟის გოლი გაიტანა – შეცვლაზე შესულმა **მამუკა ტორონჯაძემ** მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. შეხვედრის მიწურულს სტუმრებს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეეძლოთ, როცა ერთ-ერთ დინამოელს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და არბიტრმა მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ნიშნულთან გამოცდილი **გივი დიდავა** მივიდა, რომელმაც ბურთი კარს ზემოდან გადააცილა. მსაჯის საფინალო სასტვენიც მალე გაისმა.

"დინამომ" ლოგიკური გამარჯვება მოიპოვა და ამას კვლავ უხვგოლიანი თამაშით მიაღწია. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა "ზამთრის ჩემპიონის" წოდება რამდენიმე დღის წინ დაიბევა, ახლა კი ზესტაფონში სტუმრობა ელის და იქაც შეეცდება საკუთარი მონაგარის შევსებას.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი** ("დინამო"): "უამინდობის გამო ამ მატჩისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ და ველოდი, რომ გარკვეული პრობლემები შეგვექმნებოდა. თუმცა მთავარია, რომ სამი ქულა დამაჯერებლად მოვიპოვეთ".

**არჩილ ჩხაბერიძე** ("მერანი"): "პირველ ტაიმში გოლები უწყინარ სიტუაციაში გავუშვით. შეგვეძლო საგოლე მომენტების უკეთ რეალიზება. ამ შემთხვევაში, სხვაგვარი შედეგი დაფიქსირდებოდა. "დინამოს" გამარჯვებას ვულოცავ".

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბარაქალა ფოთელებს!

19.12. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
300 მაყურებელი

**დილა 1**
**კოლხეთი 0**

1:0 ჩადუნელი (4. საკ. კარში)

| დილა 4-1-4-1 | კოლხეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| შეყრილაძე | ბუბუტეიშვილი |
| შაშიაშვილი | კილასონია |
| სალუქვაძე | ცხვიტარია |
| თომაშვილი | ჩადუნელი |
| კვირკველია | მ. ლორია |
| ბეჭვაია | გოგონაია |
| რამოსი | ტყეშელაშვილი |
| აბურჯანია | კრასოვსკი |
| ხოჯავა | ბარამიძე |
| გორელიშვილი | ქორჩილავა |
| ჟუნიორი | ბუხაიძე |
| მწვრთნელი გ. დარასელია | მწვრთნელი ს. ფილია |

**დილა**
46. გორელიშვილი - **კახელიშვილი**
56. აბურჯანია - **კლიმიაშვილი**
87. რამოსი - **ალადაშვილი**
*სათადარიგოები:* სკენდერი, ახალკაცი, მოდებაძე, გვალია

**კოლხეთი**
46. ბუხაიძე - **კვანტალიანი**
46. ბარამიძე - **მოსიაშვილი**
83. კრასოვსკი - **ჭედია**
*სათადარიგოები:* ხარშილაძე, ხოშტარია, კახიძე
გაფრთხილება: გოგონაია (27)
არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

მატჩის წინ, „დილას" საიტზე მიმდინარე გამოკითხვით, გასული თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ **მარინ სკენდერს** სასაჩუქრე პაკეტი, ხოლო წინა ტურში გორელთა საუმაღლესლიგო მე-700 გოლის გამტან **დავით კვირკველიას** კლუბის 700-ნომრიანი მაისურა გადასცეს. რა თქმა უნდა, ყოველივეს გაცილებით პომპეზურად გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე" აღნიშნავდნენ, მაგრამ თოვლმა თამაში შიდა ქართლიდან სამტრედიაში გადაიტანა და ამიტომაც გასაკვირი სულაც არაა, დაჯილდოება-დასაჩუქრება ნაუცბათევად რომ მოხდა.

წინა შეხვედრის შემდეგ გორელთა თავკაცმა სასტარტო შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა, თუმცა „დილას" ბათუმელებთან თამაშის შემდეგ საუკეთესო შთაბეჭდილება არც „კოლხეთთან" დაუტოვებია. მართალია, ორივე აუტსაიდერთან გორელებმა მოიგეს, მაგრამ ორივეჯერ ეს ისე გააკეთეს, საფინალო სასტვენამდე ბოლომდე განაღდებული არაფერი ჰქონდათ.

თავის მხრივ, სერიოზული საკადრო ცვლილებებია ფოთშიც — წარუმატებელი თამაშების შემდეგ „კოლხეთიდან" წამყვანი მობურთალეები დაითხოვეს და აგერ უკვე მეორე ტურია, გასავარდნად განწირულები ადგილობრივ კადრებს ეყრდნობიან. ამ შეხვედრაშიც **სოსო ფილიამ** სასტარტოში **ლევან ბუბუტეიშვილისა და გიორგი ტყეშელაშვილის** გარდა 9 ფოთელი (!) ფეხბურთელი გაამწესა და უნდა ითქვას, რომ მათ მწვრთნელის იმედები გაამართლეს.

უშუალოდ შეხვედრა ისე დაიწყო, გოლების წვიმას თუ არა, რამდენიმე გოლის გატანის „პროგნოზს", უკვე მე-4 წუთზე ანგარიშის გახსნა გვაძლევდა — მარცხნიდან ექსკოლხმა **დავით კვირკველიამ** საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც მაღალი ბურთისთვის **ლაშა სალუქვაძე** იბრძოდა, თითქოს ბურთი მისი თავურიდან გავიდა კარში, მაგრამ იქვე მდგომმა **ბაკურ ნინუამ** ავტოგოლი დააფიქსირა — როგორც გაირკვა, ბოლო მომენტში ბურთი კარში **გია ჩადუნელისგან** აღმოჩნდა.

ასეთი უიღბლო კი გამოდგა 18 წლის მცველის დებიუტი (წინა ტურში ბოლო წუთებზე შეიყვანეს, ძირითადში პირველად ითამაშა), მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა და თუ გორელებმა მეტის გატანა ვერ მოახერხეს, ერთ-ერთი „დამნაშავე" სწორედ ავტოგოლის ავტორია.

ამას გარდა, „მასპინძლებმა" პირველ ტაიმში კიდევ ორი ხიფათი შექმნეს — ჯერ **გოჩა ხოჯავას** საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ერთ-ერთ თანაგუნდელს ფეხზე მოხვდა და რიკოშეტით წასული ბურთი **ბუბუტეიშვილმა** ჩინებულ ნახტომში მოიგერია; მეორედ კი ისიც უძლური იქნებოდა დასარტყმელ პოზიციაზე გაყვანილ **ლეონარდო რამოსს** უკეთ დარტყმა რომ მოეხერხებინა.

ასევე ორჯერ უშედეგოდ დაემუქრნენ გორელები კოლხთა კარს მეორე ტაიმშიც — **ნათან ჟუნიორმა** შორეულ ძელს მოარტყა, ხოლო **კვირკველიას** გადაცემის შემდეგ **გიორგი კახელიშვილმა** კარგად კი დაუგდო **ხოჯავას**, მაგრამ „დილას" 99-მა ბურთი კარს ააცილა.

რაც შეეხებათ ფოთელებს, შეტევაში აშკარად უჭირდათ — აქცენტი მარჯვენა ფლანგზე გამწესებულ **გიორგი კრასოვსკიზე** ჰქონდათ, თუმცა ის **კვირკველიამ** საიმედოდ ჩაკეტა, ხოლო „კოლხეთის" თავდასხმის ხაზი ამ სეზონში მეტისმეტად რომ მოიკოჭლებს, 21 შეხვედრაში გატანილი მხოლოდ 10 გოლითაც დასტურდება. ერთადერთი რეალური შანსი მათ რიგებში კიდევ ერთ გამორჩეულ **ალექსანდრე ქორჩილავას** ჰქონდა, როცა მარცხენაფლანგელმა ბურთი მეტოქეს ცენტრალურ ზონაში აართვა, კარისკენ გაჭრილს მცველებმაც ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმულს კარამდე გზა **ბექა შეყრილაძის** საიმედო თამაშმა გადაუჭრა.

ბოლოსკენ ფოთელებმა შორეული საჯარიმოს გამოუყენებლობით მატჩის გადარჩენის ბოლო შანსი დაკარგეს. გორელებმა კი დამსახურებულად მოიგეს, თუმცაღა ქომაგები ბოლო წუთამდე ანერვიულეს.

**მამუკა ქანთარია**
სამტრედიიდან

# გაუქმებული პენალტი

19.12. თბილისი. ივანწმინდა
600 მაყურებელი

**ჩიხურა 0**
**ტორპედო 0**

| ჩიხურა | ტორპედო |
|---|---|
| მწყერაშვილი | მიგინეიშვილი |
| ოდიკაძე | ჯელიძე |
| ბერიანიძე | გურული |
| გუშარაშვილი | ტაბატაძე |
| ჩიკვაიძე | შერგელაშვილი |
| დილმელაშვილი | დათუნაიშვილი |
| ლომაშვილი | გიგაური |
| ნ. კვასხვაძე | ტულუში |
| შარაშენიძე | გრიგალაშვილი |
| კირკიტაძე | ბერიაშვილი |
| დეკანოიძე | საბანიძე |
| მწვრთნელი ს. ფრუიძე | მწვრთნელი გ. გეგეჩკორი |

**ჩიხურა**
67. დეკანოიძე – **ჩხეტიანი**
83. გუშარაშვილი– **ბაკურაძე**
სათადარიგო: ბერდელიძე, საჯაია, ქიმაძე, მაისურაძე, ძამსაშვილი

**ტორპედო**
35. დათუნაშვილი – **კუხიანიძე**
83. საბანაძე – **ფანცულაია**
88. ტულუში – **ფირცხალავა**
სათადარიგო: ქვილითაია, რიგვავა, ბოლქვაძე, იოსელიანი
გაფრთხილება: დათუნაშვილი(35), ტულუში(51), შერგელაშვილი (70), გუშარაშვილი(78).
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

არა კანონზომიერად, არამედ სენსაციურად ფრედ დამთავრებულ ამ მატჩში ყველაფერი იყო, რაც დიდ ფეხბურთს ახასიათებს: უამრავი მწვავე და 100% -იანი საგოლე მომენტები, აურაცხელი კარში დარტყმა, მეკარეთა სეივები, საპენალტო სიტუაციები, ჯარიმები, კუთხურები, გაფრთხილებები. მაგრამ არ იყო მთავარი – გოლი!

ამ უკანასკნელის გარდა სხვაგვარი მოლოდინი არც უნდა ჰქონოდა შეხვედრას, რომელიც თითქმის წყვეტდა პლეი-ოფში მესამე ადგილით გასვლის ბედს.

უფრო კომფორტულად ქუთაისელები გრძნობდნენ თავს, თუნდაც იმიტომ, რომ მეტოქეს ორი ქულით უსწრებდნენ და „ჩიხურა" ძირითადი მეკარის, ტრავმირებული **სომხიშვილის** გარეშე თამაშობდა. თუმცა ეს დანაკლისი საერთოდ არ დატყობიათ საჩხერლებს, ვინაიდან სათადარიგო **მწყერაშვილმა** მშვენივრად გაართვა თავი მოვალეობას და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

არავითარი დაზვერვა, თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო მე-4 წუთზე ჯარიმიდან გათამაშებული ბურთი დიდი გაჭირვებით მოიგერიეს ტორპედოელებმა, რასაც **შარაშენიძისა** და **დილმელაშვილის** ძლიერი, მაგრამ არაზუსტი დარტყმები მოჰყვა.

მე-13 წუთზე **კირკიტაძის** ჩაწოდებული თავიდან ააცალა **მიგინეიშვილმა კვასხვაძეს**. მალევე მწვავე კონტრშეტევისას მწყერაშვილთან პირისპირ გასულმა **საბანაძემ** ვერ აჯობა კარის დარაჯს.

21-ე წუთზე გოლი თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ კვასხვაძის დარტყმას მეკარისებური ნახტომით მიწვდა **ჭელიძე** და კუთხურზე გადააგდო, 26-ე წუთზე კი მწყერაშვილმა აულო კარგი დარტყმა **ტულუშს**. 29-ე წუთზე კვასხვაძის ყუმბარისებურს მიგინეიშვილის ჩვეული რეაქცია მოჰყვა, ხოლო 30-ზე ისევ მწყერაშვილმა გამოიჩინა თავი.

37-ე წუთზე დათუნაშვილი დასწრებაზე იმდენად ძლიერად და უხეშად შეეჯახა საჩხერელთა მეკარეს, რომ ორივე საექიმო შეიქნა და თამაში რამდენიმე წუთით შეჩერდა. საბედნიეროდ და სამწუხაროდ დამხვდურმა მატჩის გაგრძელება შეძლო, მომხვდურმა კი – ველარ.

უნდა ითქვას, რომ მსაჯი **კრიჭაშვილი** ძალისმიერი თამაშის საშუალებას აძლევდა ორ გუნდს, მაგრამ, სამწუხაროდ, „ხელისმიერისასაც". ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა 22-ე და 41 –ე წუთებზე, როცა მსაჯის სასტვენი ქუთაისელთა სასარგებლოდ დუმდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ არბიტრს აუცილებლად უნდა დაენიშნა პენალტები, მაგრამ მომენტები საეჭვო და საკამათო ნამდვილად იყო, ხოლო ის, რაც 77–ე წუთზე მოხდა (ამაზე-ქვემოთ), სენსაციის სფეროს განეკუთვნება.

მეორე ტაიმში „ტორპედო" გუნდს აღარ ჰგავდა – თითქმის არ გადმოსულა მოწინააღმდეგის მოედანზე, უმეტესწილად უხეშობით, კუთხურებსა და აუტებზე ბურთის გადაგდებით იყო დაკავებული. გაუმართლა კიდეც უამრავჯერ: 46-ე წუთზე ცარიელი კარის წინ მდგომმა კვასხვაძემ ფეხი ცუდად წაკრა ბურთს, 48-ე წუთზე ანალოგიური მომენტები გაანიავეს **ლომაშვილმა** და **შარაშენიძემ.** თამაში კიდევ უფრო გამწვავდა 67-ე წუთიდან, **ჩხეტიანის** შემოსვლის შემდეგ, მაგრამ მანამდეც და მის მერეც მრავალი მომენტიდან ერთიც ვერ აქციეს საჩხერლებმა გოლად.

და აი, 77-ე წუთიც: საჯარიმოს შიგნით კუთხიდან ჩხეტიანმა ზუსტად უპასა მეორე კუთხეში კვასხვაძეს, რომელიც **შერგელაშვილმა** მოცელა. კრიჭაშვილმა უყოყმანოდ მიანიშნა პენალტის ნიშნულისაკენ, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა და მაყურებელთან ერთად ხახამშრალი დატოვა გოლის გასატანად გამზადებული **ოდიკაძეც.**

მერე იყო 41-ე და ბოლო დამატებითი წუთები, როცა ქუთაისელები ჯერ ძელმა იხსნა, შემდეგ – მიგინეიშვილმა.

დადარაჯებულმა მაყურებელმა ჰაერში აისროლა გასახდელიდან გამოსული რამდენიმე ჩიხურელი. მოწონებისა და გამხნევების გამომხატველი ამ ჟესტის ღირსი ჭეშმარიტად იყო მთელი გუნდი.

**თამაზ ლაშხი,**
საჩხერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტური


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ვიცე-ჩემპიონი ექვსეულს მიღმა

19.12. თბილისი. მ.მესხი
100 მაყურებელი

**სიონი 0**
**მეტალურგი 0**

| სიონი 4-2-3-1 | მეტალურგი 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | ბათიაშვილი |
| უგრეხელიძე | ჯაფარიძე |
| ლომაია | გავაშელიშვილი |
| მაჭავარიანი | ინწკირველი |
| ჩიკვილაძე | სუხიაშვილი |
| ჯოჯუა | რაზმაძე |
| ნემსაძე | დობროვოლსკი |
| ფეიქრიშვილი | ი. მაისურაძე |
| ქუცურუა | მიქაბერიძე |
| თარხნიშვილი | გენაძე |
| რ. ჯიქია | სიხარულიძე |
| მწვრთნელი: ა. ჩელაძე | მწვრთნელი: გ. ყიფიანი |

**სიონი**

65. ჯიქია – **ისიანი**
79. ფეიქრიშვილი – **გ. ოქროპირიძე**
83. თარხნიშვილი – **ჭანკოტაძე**
*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ქემოკლიძე, მანწკავა, ხურციძე.*

**მეტალურგი**

56. დობროვოლსკი - **ტატანაშვილი**
75. მიქაბერიძე – **თექთურმანიძე**
81. გენაძე – **ხაბელაშვილი**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ქავთარაძე, კაკუშაძე, ლობჟანიძე*
გაფრთხილებები: სუხიაშვილი (26), ქუცურუა (45), ლომაია (49), მიქაბერიძე (64), მაჭავარიანი (75)
გაძევება: ქუცურუა (82)
მსაჯი: გ. ვადაჭკორია

ბევრს ეგონა, რომ ქვემოქართლელთა შეხვედრის შედეგის გამოცნობა ძნელი არ იქნებოდა. ადრე მათი ბევრი შეხვედრა ხომ სალაპარაკო გამხდარა. თუმცა, ამჯერად ბრძოლა ვიხილეთ, რომლის დაწყებამ 24 წუთით გადაიწია: დიდთოვლობის გამო, მოედნის გაწმენდა გახდა საჭირო.

მაგრამ ასეთ პირობებში თამაში მაინც ძალიან ძნელია და პირველ ტაიმში მხოლოდ ბრძოლა ვიხილეთ, თამაშზე კი რა მოგახსენოთ. ჩვენს ფეხბურთელებს ბურთის მოთვინიერება ნორმალურ საფარზე უჭირთ და, ცხადია, მოყინულზე ვერ იფრენდნენ.

პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი მომენტი შეიქმნა: 42-ე წუთზე რუსთაველი **რევაზ გენაძის** ჩაწოდებულ კუთხურს **ლუკა რაზმაძემ** თავი დაახვედრა, მაგრამ "სიონის" მეკარე **მინდია ბობღიაშვილმა** დროული რეაგირება შეძლო.

მეორე ნახევარში უფრო საინტერესო ბრძოლა გაიმართა. სიცივისგან თავის დაცვის რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ ფეხბურთელებს არჩევანი არ ჰქონდათ და ტემპს უმატეს. "მეტალურგი" გააქტიურდა. ზედა ექვსეულში მოსახვედრად "მეტალურგს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და გააქტიურდა. 48-ე წუთზე ანგარიშის გახსნა შეეძლო **ირაკლი სიხარულიძეს**, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან ჩინებულად დაარტყა, ბურთი "ცხრიანში" ჩაეშვებოდა, ბობღიაშვილს მშვენიერ ნახტომში რომ არ მოეგერიებინა.

სახიფათო გამოდგა **გიორგი ფეიქრიშვილის** საპასუხო შეტევა, მაგრამ ვერ დააგვირგვინა. მწვავე აღმოჩნდა **ლაშა ჯაფარიძისა** და **დიმა ტატანაშვილის** გათამაშებული კომბინაცია, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა სუსტი გამოდგა და მეკარეს პრობლემა ვერ შეუქმნა.

82-ე წუთზე ბურთის მოგერიებისთვის მთავარმა არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** "სიონის" საყრდენ **ვლადიმერ ჯოჯუას** მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალა და მოედნიდან გააძევა. რუსთაველებს მოსაგებად დრო რჩებოდათ, ძალიან სახიფათო შეტევაც განახორციელეს, მაგრამ ფლანგიდან **გიორგი თექთურმანიძის** ჩაწოდებას ფეხი ვერც სიხარულიძემ დაახვედრა და ვერც ტატანაშვილმა.

"მეტალურგმა" გამარჯვების გოლის გატანა ვერ მოახერხა და ასე აღმოჩნდა ვიცე-ჩემპიონი საუკეთესო ექვსეულის მიღმა – "მეტალურგისთვის" პირველი წრის შედეგი გუშინდელ ამინდზე უფრო სუსხიანი აღმოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 21 | 16 | 4 | 1 | 62 | 17 | 52 |
| 2 | დილა | 21 | 15 | 1 | 5 | 34 | 13 | 46 |
| 3 | ტორპედო | 21 | 13 | 3 | 5 | 37 | 17 | 42 |
| 4 | ჩიხურა | 21 | 12 | 4 | 5 | 33 | 21 | 40 |
| 5 | ზუგდიდი | 21 | 10 | 5 | 6 | 26 | 21 | 35 |
| 6 | ზესტაფონი | 21 | 10 | 4 | 7 | 28 | 19 | 34 |
| 7 | მეტალურგი | 21 | 8 | 4 | 9 | 16 | 25 | 28 |
| 8 | მერანი | 21 | 7 | 2 | 12 | 21 | 33 | 23 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 21 | 5 | 6 | 10 | 14 | 28 | 21 |
| 10 | სიონი | 21 | 4 | 6 | 11 | 13 | 34 | 18 |
| 11 | დინამო (ბთ) | 21 | 3 | 4 | 14 | 22 | 46 | 13 |
| 12 | კოლხეთი | 21 | 0 | 3 | 18 | 10 | 42 | 3 |

*ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 17 |
| დვალი (დინამო თბ) | 16 |
| ს. ლომაია (მერანი) | 11 |
| ალვარო (დინამო) | 10 |

**XXII ტური**

**23 დეკემბერი, კვირა**

მერანი-დილა
კოლხეთი-ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ)-ჩიხურა
ტორპედო-სიონი
მეტალურგი-ზუგდიდი
ზესტაფონი-დინამო (თბ)

19.12. გაწმუხური
800 მაყურებელი

**ზუგდიდი 0**
**ზესტაფონი 3**

0:1 ბიტი გოა (27), 0:2 თედო გრიგალაშვილი (73), 0:3 მენთეშაშვილი (80)

| ზუგდიდი 4-4-2 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| ძაგანია | რ. კვასხვაძე |
| აფაქიძე | თორ. გრიგალაშვილი |
| ს. თოდუა | კაჭკაჭიშვილი |
| გამეზარდაშვილი | თევ. გრიგალაშვილი |
| რ. ონიანი | მილხრაუში |
| ტყემალაძე | იელიჩი |
| სიხარულია | მენთეშაშვილი |
| კუტალია | ბენაშვილი |
| კოშკაძე | ბაბუნაშვილი |
| გაბედავა | აფციაური |
| ქობალია | ბოტი გოა |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**ზუგდიდი**

67. კოშკაძე – **შ. ლომია**
75. გაბედავა – **წურწუმია**
79. ტყემალაძე – **გუგუჩია**
*სათადარიგოები: მერლანი, აქუბარდია, აკობია, კუკავა*

**ზესტაფონი**

64. ბაბუნაშვილი – **გორგიაშვილი**
67. დემელი – **წინამძღვრიშვილი**
83. აფციაური – **სამუშია**
*სათადარიგოები: მამალაძე, გაგოშიძე, ჭანტურიშვილი, კვერნაძე*
გაფრთხილება: აფაქიძე (45), გაბედავა (63), კუტალია (82)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი** ("ზუგდიდი"): "ძალიან სამწუხაროა ჩვენთვის, რომ დაუმარცხებელი საშინაო სერია შევწყვიტეთ. რას ვიზამთ, დღეს მეტოქეს ყველაფერი იდეალურად გამოსდიოდა და შედეგიც სახეზეა. ჩვენ დღეს თამაში არ წაგვივიდა, "ზესტაფონს" კი დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ".

**კახა კაჭარავა** ("ზესტაფონი"): "ჩემს ფეხბურთელებს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, რადგან მათ დავალება ყველა რგოლში ზუსტად შეასრულეს. ამ მოგებამ კი საუკეთესო ექვსეულისკენ გზა გაგვიხსნა. ბოლო ორ ტურში მოპოვებულმა ექვსმა ქულამ კონკურენტებთან დაგვაახლოვა, "დინამოს" მატჩის შემდეგ კი ნათლად გვეცოდინება, რამდენად უფრო რეალურად შევძლებთ სამეულისთვის ბრძოლას".

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში - ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);
2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;
3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);
7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

# ზამთარია, სიცივეა...

## არეულ კალენდარს სტუმარ-მასპინძელმა დალაგებული ფეხბურთი დაახვედრა

შეხვედრა ერთი საათით გვიან დაიწყო, რადგან "მცხეთა პარკის" ხელოვნურსაფრიანი მოედანი თოვლისგან გასაწმენდი შეიქნა. სუსხიანი და ნალექიანი ამინდი ძვალსა და რბილში ატანდა, თუმცა ბათუმის "დინამოს" ოციოდე ფანი სიცივეს არ შეუშინდა, მთელი მატჩის განმავლობაში ომახიანად უჭერდა მხარს **გია გურულის** გაწვრთნილ გუნდს.

ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი რომ აირია, პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციას უნდა მოვკითხოთ. ფედერაციის ვებსაიტზე კი დაიწერა, გადაწყვეტილება უმაღლესი ლიგის კლუბებთან კონსულტაციის შემდეგ იქნა მიღებულიო, მაგრამ კონსულტანტი ერთია, გადაწყვეტილების მიმღები კი - მეორე, ამ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაცია.

ყოველივე ეს უკვე ჩავლილი ამბავია, უპრეცენდენტო და უცნაურ გადაწყვეტილებებს ფეხბურთის ფედერაციისგან შეჩვეულები ვართ. "მცხეთა პარკზე" კი გუშინ მართლაც საინტერესო ფეხბურთი გაჩაღდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

პირველი ხიფათი **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა შექმნა, შეხვედრა ახალი დაწყებული იყო, **ლაშა გაბრიჭიძე** რომ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმცა აქედან ვერაფერი ვერ გამოადნო.

მასპინძლებს ვალში არც "ბათუმი" დარჩა, **დათა სიჭინავა** მარცხენა მახვილი კუთხიდან მიუახლოვდა **ნიკა დაუშვილის** კარს, დარტყმას კარის გასწვრივ ჩაწოდება ამჯობინა, რასაც თანაგუნდელთაგან არავინ გამოეხმაურა.

ერთ-ერთ კონტრშეტევაზე გაბრიჭიძემ სახიფათო სიტუაციიდან კარისკენ დაარტყა, მაგრამ მცველმა დაუფარა და ოდენ კუთხურს გამორჩა.

"ვიტ ჯორჯიას" პირველ ტაიმში უკეთესი შანსიც ჰქონდა - ცენტრალური მცველი **ჯემალ გოგიაშვილი** შეტევაში ჩაერთო, მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, გადმოვარდნილი ბურთი კარისკენ **ირაკლი ლიბრაძემ** დაარტყა, **შოთა მამინაშვილმა** უხერხულად მოიგერია და დამატებაზე **კორიფაძეს** მართებდა თავით გატანა - ბურთი ხარიხას გადაევლო.

შესვენების შემდეგ უფრო ტემპიანი, ორმხრივი იერიშებით გაჯერებული თამაში წავიდა. ბათუმელები ასე დაწინაურდნენ - გადმოვარდნილ ბურთს 38 წლის **ამირან მუჯირი** დახვდა, ცრუ მოძრაობით ერთი მეტოქე გააბითურა და ტექნიკური დარტყმით "ცხრიანში" მიუჩინა ბურთს ადგილი.

თამაშს დაშხოში მოემატა. "ვიტ ჯორჯია" მოედნის ცენტრში შმაგად იბრძოდა, რამდენიმე ჯარიმა მოიპოვა და ბურთის გათამაშებას მისი მეტოქის საჯარიმოსკენ ჩაგდება ამჯობინა - მეთოდმა დიდად არ გაამართლა, თუმცა ჩაწოდებები ბათუმელებისთვის იოლად მოსაგერიებელი არ ყოფილა.

კონტრიერიშზე **ვალერიან თევდორაძემ** ითამაშა რიგიანად, ვიტჯორჯიელთა მეკარეს მარცხენა ფლანგიდან მიუახლოვდა, თანაგუნდელისთვის შეეძლო ბურთის დაგორება, მაგრამ დარტყმა ამჯობინა და საბოლოოდ ვერაფერს ვერ გამორჩა.

"ვიტ ჯორჯიამ" კი ანგარიში ასე გაათანაბრა - ლიბრაძემ ჯარიმა შეასრულა, ხვეულად და ძლიერად გაგზავნილი ბურთი ერთ-ერთ ბათუმელს მოხვდა, შემდეგ მამინაშვილი შეეცადა მის მოგერიებას, რაც არ გამოუვიდა და 1:1.

დრო კიდევ ბევრი იყო და ფრეს არც ერთი გუნდი არ ეგუებოდა, თამაშიც ასე თუ ისე უფრო გაიხსნა.

შეცვლაზე შესული **ლევან კუხალეიშვილი** მამინაშვილთან პირისპირ დარჩა, თუმცა მას ვერ აჯობა, გადმოვარდნილი ბურთთან **გურამ გურეშიძე** გაჩნდა, მცველებსა და მეკარეს თავზე გადაუგდო ის, მაგრამ ხარიხასაც გადააცილა.

ნაკუთხურალ ბურთს **არჩილ ბაჯელიძემ** შეაგება თავური - დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

მუჯირმა ერთხელაც ანერვიულა "ვიტ ჯორჯია", მარჯვნიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, შორეული ძელისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა.

მერაბ კოჭლაშვილმა მოედანზა ტრავმამოშუშებული **ბესიკ ჩიმაკაძე** შეუშვა, ვინც აქტიურად ჩაერთო თამაშში. ჩიმაკაძემ ოციოდე მეტრი ირბინა ბურთით, რეიდს ძლიერი და ოდნავ არაზუსტი დარტყმა მიაყოლა.

ვინც გუშინ "მცხეთა პარკზე" მივიდა და სიცივეს გაუძლო, საქმე სანანებლად არ ჰქონია.

**დავით თავართქილაძე**
მცხეთა-თბილისი

19.12. მცხეთა. მცხეთა პარკი.
200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 1**
**დინამო (ბთ) 1**

0:1 მუჯირი (55), 1:1 ლიბრაძე (74)

| ვიტ ჯორჯია 5-3-2 | დინამო (ბთ) 4-3-3 |
|---|---|
| დაუშვილი. | მამინაშვილი |
| ხურცილავა | რამიშვილი |
| გოგიაშვილი | ხუხია |
| გეთიაშვილი | ბაჯელიძე |
| კასრაძე | მაკარიანი |
| ჯავაშვილი | ცანავა |
| ვასაძე | ლობჟანიძე |
| გურ. გურეშიძე | მუჯირი |
| ლიბრაძე | ბერიძე |
| კორიფაძე | თევდორაძე |
| გაბრიჭიძე | სიჭინავა |
| მწვრთნელი მ. კოჭლაშვილი | მწვრთნელი გ. გურული |

**ვიტ ჯორჯია**

46. კორიფაძე - კუხალეიშვილი
63. გაბრიჭიძე - ჩიმაკაძე
*სათადარიგო: რეჭია, დავლაშელიძე, ადამაძე, ტეტუნაშვილი, ლობჟანიძე*

**ბათუმი**

46. ბერიძე - ცნობილაძე
62. რამიშვილი - ვარშანიძე
*სათადარიგო: ტაკიძე, აბუსელიძე, კაკულია, აშბა*
მსაჯი: ლ. სილაგავა

ბავშვთა ტურნირი

# სახელოვან მეკარეს გაიხსენებენ

როგორც „ლელოსთან“ საუბარში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **სერგო კვარაცხელიამ** განაცხადა, ამ ფედერაციის ეგიდით 25-29 დეკემბერს, ქობულეთის „ჩელე-არენაზე“ გაიმართება სახელოვანი ქართველი მეკარის, **სერგო კოტრიკაძის** სახელობის თასის გათამაშება 1997 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ტურნირში მონაწილეობას საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლები მიიღებენ. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ფინალი 29-ში შედგება.

**მამუკა ქანთარია**

## ქართული ფეხბურთი

● ლეგიონერი

# ლაშა დვალი: სკონტოში რედინგის რჩევით წავედი



ლაშა დვალი (№4)

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **ლაშა დვალი** კარიერას რიგის "სკონტოში" გააგრძელებს. ფეხბურთელი გულშემატკივარმა **ვასილ მაისურაძის** 17-წლამდელთა ნაკრებიდან გაიცნო, სადაც ტანმაღალმა მცველმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოქტომბერში კი **კახა კაჭარავას** 19-წლამდელებში ხორვატიაში შესარჩევ ეტაპზე ითამაშა.

ამის შემდეგ დვალით ბევრი კლუბი დაინტერესდა: 17 წლის მცველი გასინჯეს სანქტ-პეტერბურგის "ზენიტსა" და კიევის "დინამოში", კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა, მაგრამ თავად ევროპაში თამაში სურდა და აგვისტოში ინგლისის პრემიერლიგის „რედინგში" აღმოჩნდა.

ლაშა „რედინგის" 18-წლამდელების გუნდში ვარჯიშობდა და საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა, რომელსაც „რედინგის" მთავარი მწვრთნელი **ბრაიან მაკდერმოტი** თავის ასისტენტებთან ერთად დაესწრო და ქართველი მოეწონა. მიუხედავად იმისა, რომ ლაშა მცირედ დაშავდა, თანაც 17 წლისას „რედინგი" ხელშეკრულებას ვერ გაუფორმებდა, მაკდერმოტმა მისი სამედიცინო შემოწმება მოითხოვა, რაც კონტრაქტის გაფორმების სურვილს ნიშნავდა.

როგორც ლაშამ გვითხრა, რიგის "სკონტოში" სწორედ ინგლისელების რჩევით მიდის: "4-5 დღის წინათ მამაჩემს "სკონტოს" გენერალური დირექტორი ელაპარაკა და უთხრა, უახლოეს დღეებში ვიზებს გამოგიგზავნით და იანვრის დასაწყისში გელოდებითო. ჯერ ლატვიელებთან კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ ახალი წლების მერე მივდივარ და ხელშეკრულებას დავდებთ. რატომ "სკონტო"? "რედინგში" ორკვირიან სინჯზე რომ ვიყავი, კლუბს მოვეწონე და ჩემი "სკონტოში" იჯარით გაშვება მათ გადაწყვიტეს. იქ გარკვეული პერიოდი უნდა ვითამაშო, ვიცხოვრო და ლატვიის მოქალაქეობა მივიღო, რათა ინგლისში თამაშის უფლება მივიპოვო. ანუ ეს ნაბიჯი ინგლისელებთან არის შეთანხმებული. საკითხის მოგვარება გაიწელა, თუმცა ამ პერიოდში აგენტებს ეკონტაქტებოდნენ და დეტალებს ათანხმებდნენ".

ახლა ლაშას კონტრაქტი არსად აქვს: "ბავშვობაში "საბურთალოს" ვეკუთვნოდი. Aმჟამად კონტრაქტი არავისთან მაკავშირებს, მაგრამ 3 წელიწადია, გუბაზ დოლიძის გუნდში ვვარჯიშობ. მადლობა მას, მის სტაფს, ვასილ მაისურაძესა და მამუკა გვრიტიძეს, რომელთაც ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი. ახლა დოლიძის გუნდი ოფიციალურად საჩხერის „ჩიხურას" დუბლების სახელით გამოდის".

ახალგაზრდა ფეხბურთელი ამბობს, რა გავლენა მოახდინა მასზე ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლამ: "რაც ყველაზე თვალშისაცემია, ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე, ყველა თამაშის შემდეგ ვხვდებოდი, თუ როგორ იზრდებოდა თითოეული ფეხბურთელი და პირადად მეც".

ლაშას თაობამ სანაკრებო ასპარეზზე ყველა ნაკრებზე მეტს მიაღწია და ახლა ამ ბიჭებს ყველა განსაკუთრებული იმედით უყურებს. დვალი ფიქრობს, რომ არანაკლებ ნიჭიერი წინა თაობების შეცდომები არ უნდა გაიმეორონ: "საამისო წინაპირობა თავმდაბლობაა - თავში არ უნდა აგვივარდეს და ბევრი ვიშრომოთ. ამას ყველა ვიძახით, მაგრამ ეს მარტო სიტყვებად არ უნდა დარჩეს. ყველა საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი და, რაც მთავარია, უნდა შევინარჩუნოთ ის შემართება, რამაც ევროპის ჩემპიონატზე წარმატება მოგვიტანა და ქართველი ხალხი გაახარა".

**მერაბ მამულაშვილი**

● სალერის თასი

# კარასკოს ბომბი ქართველებისთვის

"ბენდელას" სტადიონზე გრძელდება საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მიერ ორგანიზებული "სალერის თასის" გათამაშება, რომელშიც 1997 წელს დაბადებულები თამაშობენ.

საბედნიეროდ, შიში არ გამართლდა, ტურნირი არ ჩაიშალა, არადა, ამის საფრთხე არსებობდა, რადგან თბილისში მოსულმა თოვლმა "ბენდელას" სტადიონი სრულად დაფარა - ორგანიზატორებმა მოედანი მაინც გაწმინდეს და ისეთი თამაშები გაჩაღდა, საყურებლად ამ სიცივეში თავის შეწუხება ნამდვილად ღირდა.

... "დინამოს" აკადემიის ყოფილმა დირექტორმა **ანდრეს კარასკომ** ძალიან ძლიერი გუნდი ჩამოიყვანა. "მალაგა" ერთი დღის დაგვიანებით გვესტუმრა და პირველივე შეხვედრაში თბილისის "ლოკომოტივს" 4:1 მოუგო.

"საბურთალო" "ვიტესთან" თავდაპირველად 0:1-ს აგებდა, მაგრამ შეხვედრის შემოტრიალება და საბოლოოდ, 3:1 გამარჯვება მოახერხა.

"საბურთალოს" გენერალური დირექტორის, **კახა ჭუმბურიძის** თქმით, პირველი ტურის გადადებული შეხვედრა "მალაგასა" და "საბურთალოს" შორის, ალბათ, 21 დეკემბერს გაიმართება, ფინალი კი 23 დეკემბრისთვის გადაიდო. თუმცა, ეს ამბავი დღეს დაზუსტდება.

**დღევანდელი მატჩები**
**20 დეკემბერი**

13:00 "მალაგა" — "ვიტესი"
16:00 "საბურთალო" – "ლოკომოტივი"

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

# გერმანია და ჰოლანდია: ქართველებმა მეოთხედფინალს უწიეს

გერმანიის თასის მეოთხედფინალში გავიდა "ბოხუმი", რომლის ღირსებასაც ორი ქართველი იცავს. **ნიკოლოზ გელაშვილი** ტრავმირებულია, **ალექსანდრე იაშვილი** კი "მიუნხენ 1860"-თან გამართულ მერვედფინალურ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყო და 81-ე წუთზე შეცვალეს. "ბოხუმმა" საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად, 3:0 გაიმარჯვა, იაშვილს კი საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია.

"ვიტესი" კი ჰოლანდიის თასის მეოთხედფინალშია. არნემელებმა საშინაო მერვედფინალურ შეხვედრაში ნამდვილი კატასტროფა, 10:1 აგემეს ქვედალიგელ ადო-ს. "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** მატჩი შეუცვლელად ჩაატარა, თუმცა ამ ათი გოლიდან მის ანგარიშზე ერთიც არ არის. **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი** კი, მოგეხსენებათ, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილან "ვიტესის" 18-კაციან განაცხადში.

სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში "მოროკა სვოლოვსმა", რომლის ღირსებასაც **გიორგი ნერგაძე** იცავს, საკუთარ მოედანზე "პლატინუმ სტარსს" 2:0 სძლია. ქართველმა მცველმა მატჩი სრულად ჩაატარა. "მოროკა", რომელიც ქვეყნის მოქმედი ვიცე-ჩემპიონია, მიმდინარე სეზონს არცთუ სახარბიელოდ ატარებს და მხოლოდ ელიტაში დასარჩენად იბრძვის. გასავარდნ ზონას ნერგაძის გუნდი ოთხიოდე ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ალექსანდრე იაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო

● რეგიონი. ბავშვთა ფეხბურთი



კასპის სტადიონი

# ხანდახან რაიონებშიც უნდა ჩამოდიოდნენ...

პატარა რაიონის საფეხბურთო სკოლების ფონზე კასპის საფეხბურთო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია ნაყოფიერი მუშაობით. იგი ადგილობრივ სტადიონსა და მასთან მდებარე ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. სკოლას აქვს განყოფილებები რაიონის ხუთ სოფელში (ლამისყანა, სამთავისი, ოკამი, ზემო ქალა, ქვემო გომი) და ათამდე ლიცენზირებული მწვრთნელი 200-მდე პატარა ფეხბურთელს ავარჯიშებს. დაარსებიდან დღემდე კასპის საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელი **ავთანდილ ჯალალია**. ორგანიზაცია კასპის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და, არცთუ დიდი ბიუჯეტის მაქსიმალურად ეფექტურად ათვისების გზით, თავისი ასაკობრივი გუნდების სრულ ეკიპირებას, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობას და ისეთი ფეხბურთელების გაზრდას ახერხებს, რომლებიც სხვადასხვა ქართულ და უცხოურ კლუბებში ასპარეზობენ. ცოტა ხნის წინათ "ლელოში" ვოლგოგრადის „როტორის" მცველ **დევი ქენქაძეზე** ვწერდით, რომელიც სამთავისში მწვრთნელ **კობაურთანაა** აღზრდილი. მის გარდა კასპიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩემპიონატებში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს.

„უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ საქართველოში ვიზიტისას ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დროულად გადასაჭრელ პრობლემათაგან სატრანსფერო პოლიტიკის სრულყოფა მიიჩნია. აღნიშნული ხარვეზები ბავშვთა საფეხბურთო სკოლებზე განსაკუთრებით აისახება. ჩვენ რომ შეგვეძლოს საკუთარი აღზრდილი სპორტსმენების ტრანსფერით კუთვნილი ფინანსური სარგებლის მიღება, სკოლები და გუნდები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში გვეყოლებოდა" — ამბობს ავთანდილ ჯალალი. კასპის სტადიონი, სადაც ამ გუნდებს უწევთ ვარჯიში და მატჩების გამართვა, სავალალო მდგომარეობაშია. კაპიტალური რემონტი აქაურობას 1968 წლიდან არ ჩატარებია. ხელმძღვანელობას, ბუნებრივია, უჭირს სისტემატურად მინდვრის სათამაშო კონდიციების შენარჩუნება. სახარბიელო მდგომარეობა არც იქვე არსებულ ადმინისტრაციის შენობაშია, სადაც სკოლის ხელმძღვანელთა და მუშაკთათვის მოწყობილი ოთახების გარდა განთავსებულია გასახდელები, საშხაპეები, მწვრთნელთა და მსაჯთა ოთახები. აღნიშნულ შენობასაც დაარსებიდან (1988 წ) არ ჩატარებია რემონტი. წყლით, გაზით და დენით კია უზრუნველყოფილი, მაგრამ პრობლემებია კანალიზაციასთან, სასმელ წყალთან და სახურავთან დაკავშირებით. „ვფიქრობ, რომ აუცილებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა ხშირი სტუმრობა რეგიონებში, სკოლებში არსებული ვითარების ადგილზე გასაცნობად. დაახლოებით ერთი წლის წინათ, თბილისში სფფ-ს ოფისში გახლდით. აღმოჩნდა, რომ შუადღის შესვენებისას მივსულვარ. რომელ ოთახშიც საქმე მქონდა, კარზე წარწერა ვნახე: შესვენებაა და გთხოვთ ერთი საათით გაძლოთ უჩვენოდ". „სულაც თქვენს გარეშე არა ვძლებთ-მეთქი?" — ვუთხარი მოსაცდელ დარბაზში მყოფ სფფ-ს სხვა თანამშრომლებს. მე არც ჩვენი ფეხბურთის ხელისუფალთა გაკეთებულს ურვყოფ, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, რომ რაიონებთან მიმართებაში, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია არა მხოლოდ წერილობით მიღებულ ინფორმაციას უნდა ეყრდნობოდეს, არამედ უშუალოდ უნდა ხედავდეს ყველაფერს და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობდეს საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში" — გვითხრა სკოლის თავკაცმა.



ავთანდილ ჯალალი

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას სკოლაში დიდი ხანია არ უჩივიან, მაგრამ მუნიციპალიტეტისგან აღებული ვალდებულების გაზრდის საჭიროებას ხედავენ, თუნდაც ზემოაღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად. ამ თვალსაზრისით ავთანდილ ჯალალმა იმედი გამოთქვა, რომ რაიონის ახალი გამგებელი, ცნობილი მწვრთნელი **ოლეგ იაძე** სპორტული დაწესებულების მიმართ ყურადღებას გაზრდის. ამ რაიონის ფეხბურთში მოღვაწე ადამიანთა მთავარი ოცნება კი ადგილობრივი გუნდის „განთიადის" აღდგენაა, რასაც დიდი ხანია არ დაადგა საშველი.

"შიდა ქართლის პრობლემებსა და მიღწევებზე „ლელო" საკმაოდ ხშირად წერს. ჩემთვის, როგორც ამ რეგიონის სპორტის მუშაკისთვის, ეს სასიამოვნოა" — გვითხრა საუბრის ბოლოს ბატონმა ავთანდილმა".

**ვასილ ბალახაძე**
კასპიდან

დავით ასპანიძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# კემპბელი: უოლკოტის დათმობა სიგიჟეა

**სოლ კემპბელს** "არსენალის" შესახებ არა ერთი და ორი სიტყვა ეთქმის. სხვა თუ არაფერი, ვეტერან ფეხბურთელს "მეთოფეთა" რიგებში ხუთი სეზონის განმავლობაში 200-მდე თამაში აქვს ჩატარებული. ყოფილ კლუბში მიმდინარე მოვლენებზე ის თავის მოსაზრებას ხშირად არ აფიქსირებს ხოლმე, მაგრამ ამჯერად რეალობა ცოტა დაძაბულია. რატომ, ეს თავადაც მოგეხსენებათ. ჩრდილოლონდონელები იანვარში სატრანსფერო ბაზარზე გასვლას აპირებენ, მაგრამ იმავდროულად ვერაფრით ახერხებენ **თეო უოლკოტთან** ახალი კონტრაქტის დეტალების შეთანხმებას. 23 წლის გარემარბი არც მალავს, რომ კლუბისგან უკეთეს ანაზღაურებას ითხოვს. დაგვეთანხმებით, უმჯობესია, **არსენ ვენგერმა** უკვე გამოცდილი კადრების შენარჩუნებაზე გააკეთოს აქცენტი და არა გარედან მოყვანილ ფეხბურთელებზე.

**სოლ კემპბელი**, როგორც ჩანს, ასევე ფიქრობს და აცხადებს, რომ "არსენალს" უფლება არ აქვს, თეო უოლკოტის წასვლა დაუშვას, რადგან მისი აზრით, თეოს გუნდში ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია. აი, რას აცხადებს 38 წლის ვეტერანი:

"უოლკოტი "არსენალისთვის" შეუფასებელი ფეხბურთელია. მასთან გამოთხოვება ძალიან დიდი სისულელე იქნება, რადგან ფეხბურთელი კარიერის პიკს უახლოვდება. კლუბის ხელმძღვანელების ადგილზე უახლოესი ხუთი წლით მის დასატოვებლად ყველაფერს გავაკეთებდი. თეო ახალგაზრდა და ძალიან კარგი ბიჭია, ვისაც უყვარს და ეხერხება გოლების გატანა. მისი დონის ფეხბურთელების ასე დაუფიქრებლად გაყიდვა არ შეიძლება. შემხვედრია ადამიანები, რომელთაც მის ტალანტში ეჭვი ეპარებოდათ, მაგრამ არც ამ ადამიანების მოსაზრება და არც სხვების, რომლებიც მის ნიჭს აფასებენ, საქმის არსს არ ცვლის. არ შეიძლება ეს ბიჭი გავუშვათ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კონტრაქტი იწურება და ახლით ის ცოტა მეტ ხელფასს ითხოვს. არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო წლებში გუნდმა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურა დაკარგა მსგავსი მიზეზებით. ადრე "არსენალიდან"



სოლ კემპბელი

ფეხბურთელები მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ, როცა 30-ს გადააბიჯებდნენ, ახლა კი რა ხდება? ვკარგავთ ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც კარიერის პიკზე არიან. კიდევ ვიმეორებ, ეს ნამდვილი სიგიჟეა. არსენ ვენგერი როგორც სხვა არავინ, ისე უხდება "არსენალის" მთავარი მწვრთნელის პოსტს, მაგრამ მან უნდა გაიაზროს, რომ საბაზრო კანონები შეიცვალა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. თუკი ადრე ფეხბურთელის ყიდვა 500 ათას ფუნტად შეიძლებოდა და რამდენიმე წელიწადში მისი 20 მილიონად გაყიდვა, დღეს ის ნახევარმილიონიანი ბიჭები 7 მილიონად ფასობენ.

## ბუკმეკერების პესიმიზმი

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ინგლისში ძალიან ხშირად ბუკმეკერები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე ჟურნალისტები, ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, "არსენალის" ფანებს ძალიან დაამწუხრებს. ტოტალიზატორმა BetVictor–მა რამდენიმე დღის წინ დაიწყო ფსონების მიღება "ემირატსიდან" უოლკოტის წასვლაზე. ფეხბურთელის გადაბირების ყველაზე რეალურ პრეტენდენტად "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" სახელდება (ფსონი 3,0). განიხილება "ლივერპულის" ვარიანტიც (11,0), ხოლო "ზენიტისა" და "ანჟის" შანსები მიზერულად არის მიჩნეული, შესაბამისად 34,0 და 67,0. "მეთოფეთა" ფანებისდა სამწუხაროდ, ტოტალიზატორი "არსენალში" უოლკოტის დარჩენის ვარიანტს არც კი განიხილავს.

რაკი "არსენალზე" ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ "გარდიანის" ცნობით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ "მეთოფეები" ახალ წლამდე 5 ფეხბურთელთან გაახანგრძლივებენ ხელშეკრულებებს. ესენი არიან **ჯეკ უილშირი** (20 წლის), **ალექს ოქსლეიდ ჩემბერლენი** (19), **კირან გიბსი** (23), **აარონ რემსი** (21) და **კარლ ჯენკინსონი** (20).

შეხვედრა




ალექს ფერგიუსონი ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტუდენტებთან შეხვედრაზე

# ფერგიუსონის ლექცია სტუდენტებისთვის

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი, 70 წლის **ალექს ფერგიუსონი** ამ დღეებში ამერიკას სტუმრობდა. ინგლისური პრესის მტკიცებით, შოტლანდიელი ოკეანის გაღმა **პეპ გვარდიოლასთან** შესახვედრად გაემართა. ვერ გეტყვით, რამდენად სანდოა ჩვენი ინგლისელი კოლეგების ინფორმაცია. ერთადერთი შეხვედრა, რომელიც მან გამართა ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებთან იყო. სერ ალექსი ახალგაზრდებს თავისი მიღწევების შესახებ ესაუბრა და ამის შესახებ კომენტარიც არ დაიზარა. აი, რა უთხრა ფერგიუსონმა "ტელეგრაფს": "მსგავს აუდიტორიასთან შეხვედრა ძალიან სასიამოვნო იყო. ლექციაზე სტუდენტები ჩემი წარმატების მიზეზებს იკვლევდნენ. მათ აინტერესებდათ, როგორ ვახერხებ შიშისა და სიყვარულის დაბალანსებას, რათა "იუნაიტედს" მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. სტუდენტებმა დეტალურად გააანალიზეს მიღებული ინფორმაცია. ადამიანებთან ურთიერთობის ის სისტემა, რომელსაც წლების განმავლობაში ვაშენებდი, მათ წარმატებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად დაასახელეს. სიმართლეს გეტყვით, ეს ბავშვები ჩემ შესახებ სიმართლის დადგენასთან ბევრად უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე ჟურნალ-გაზეთები".

ამბები

## სუსოს გრძელი ენა



ნოემბრის ბოლოს "ლივერპულის" 19 წლის მარჯვენა შემტევმა ნახევარმცველმა **სუსომ** (ხესუს ფერნანდეს საესი) ტვიტერში თანაგუნდელი **ხოსე ენრიკეს** ფოტო გამოაქვეყნა და შემდეგი კომენტარი მიაწერა: "რა ჩემს ... აკეთებს? ეს ბიჭი უბრალოდ გეია. მას რაღაც მენტალური პრობლემები აქვს. ფეხბურთის თამაშის გარდა ყველაფრით არის დაკავებული". ცხადია, როცა მეგობრები ერთმანეთს ეხუმრებიან, უხამსობის ზღვარს სად გაავლებენ, ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია. საფეხბურთო ასოციაციაში გადაწყვიტეს, რომ სიტყვა "გეის" დამაკნინებელ კონტექსტში მოხსენიება ჰომოფობია იყო და სუსოს 10 ათასი ფუნტის ჯარიმის გადახდა დააკისრეს. აი, რა წერია განმარტებით ბარათში: "ფეხბურთელმა დაარღვია ქცევის წესი, რამაც ფეხბურთის რეპუტაციას მიაყენა ზიანი. მისი კომენტარი შეიცავდა სხვისი სექსუალური ორიენტაციის ან ფიზიკური ნაკლის არასათანადოდ მოხსენიებას". ცხადია, ხოსე ენრიკეს განმარტებას, რომ ის გეი არ არის და მეგობარი მას ასე ეხუმრა, ყური არავინ ათხოვა.

## ფინანსური კონტროლი გამკაცრდება

BBC-ის ცნობით, პრემიერლიგის (ლაპარაკია არა მთლიანად პროფესიულ ლიგაზე, არამედ უმაღლეს დივიზიონზე) კლუბების ხელმძღვანელთა უმრავლესობა თანახმაა, ფინანსური დანახარჯების კონტროლის მექანიზმში სამომავლოდ ცვლილებები შევიდეს. პროექტს წინააღმდეგ ხმა მხოლოდ "მანჩესტერ სიტიმ" და "ფულჰემმა" მისცეს. კანონის თანახმად კი, ინიციატივა მოწონებულად მიიჩნევა, თუკი მას 20-დან 14 კლუბი მაინც დაუჭერს მხარს. ამრიგად, მომდევნო სხდომაზე, რომელიც 6 თებერვალს არის დანიშნული, საკითხი უკვე დღის წესრიგში იქნება და მას იდეის ავტორი პროფესიული ლიგა დაამტკიცებს. კლუბებს, რომელთაც ბოლო წლებში მესაკუთრეებისგან მნიშვნელოვანი დოტაცია სჭირდებოდათ, შესაძლოა, ახალმა რეგულაციამ პრობლემები შეუქმნას.

## ბალოტელი მოლბა: ჯარიმას გადაიხდის

**მარიო ბალოტელი** "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობასთან გარიგებაზე წავიდა და დათანხმდა ორი კვირის ხელფასის ჩამოჭრას, რაც 340 ათასი ფუნტია. სანქციის მიზეზებზე უკვე მოგახსენებდით: ფეხბურთელი ბოლო რამდენიმე თვეა, დისციპლინას გამუდმებით არღვევს. მარიო კლუბს სპეციალურ საარბიტრაჟო კომისიაში ჩივილით დაემუქრა, მაგრამ, როგორც ჩანს, გონს მოვიდა და იდეაზე უარი თქვა. **რობერტო მანჩინიმ** ბალოტელის შესახებ განაცხადა, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ძირითადში დაბრუნების შანსი. "უახლოეს მომავალში გუნდს უმჭიდროესი გრაფიკი აქვს და შესაბამისად, განაცხადში მყოფი ყველა ფეხბურთელის იმედი გვაქვს. არ მგონია, რომ ბალოტელის უხაროდეს ყველაფერი, რაც ბოლო ხანს მის თავს ხდება. თუკი ის თავდაუზოგავად ივარჯიშებს, სტაბილური სათამაშო პრაქტიკაც ექნება," – განუცხადა მანჩინიმ Sky Sports-ს.

## პეტრიჩის გოლის არნახული ფასი

პრემიერლიგის XVII ტურში შაბათის ერთმანეთს 6 წყვილი დაუპირისპირდა და რაც ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, გოლის გატანა 12-ვე გუნდმა შეძლო. 88-ე წუთზე "ქუინზ პარკის" კარში **მლადენ პეტრიჩის** გოლმა ტოტალიზატორ Betfred-ს მილიონ ფუნტზე მეტი დააკარგვინა. შაბათის შეხვედრებში ყველა გუნდის მიერ გოლის გატანაზე ფსონი 17,0 იყო. ამ შედეგზე კი ფული ათასამდე ადამიანს ჰქონდა დადებული.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ჩელსი

# ფალკაოს აბრამოვიჩი ეპატიჟება

ესპანური "ასის" ცნობით, "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** პირადად ჩაერთო "ატლეტიკოდან" 26 წლის **რადამელ ფალკაოს** ტრანსფერის საქმეში. რუსი ოლიგარქი კოლუმბიელ თავდამსხმელს პირადად იწვევს ლონდონში მოლაპარაკებების გასამართად. ის მზადაა, ფეხბურთელს ლონდონის ღირსშესანიშნაობები და "ჩელსის" სპორტული ობიექტები დაათვალიერებინოს. რომან არკადიჩს იმედი აქვს, რომ ამით ის ფეხბურთელის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას იქონიებს. რაც შეეხება "როხიბლანკოს", "ჩელსი" მადრიდულ კლუბს 56 მილიონ ევროს გადაუხდის. ფალკაოს ხელფასი კი 12,5 მილიონ ევროს (10,18 მილიონი ფუნტი) გაუტოლდება, რაც სამხრეთამერიკელის მადრიდულ ხელფასს მნიშვნელოვნად აღემატება. ფალკაო დიდებულ სეზონს ატარებს. საკლუბო ტურნირებზე მან 16 თამაში ჩაატარა და 20 გოლის გარდა 2 საგოლე გადაცემა მიითვალა.

თუკი გარიგება შედგა, "ჩელსი" **დენიელ სტარიჯის** ტრანსფერს მეტად აღარ დააყოვნებს. "გარდიანის" ცნობით, 23 წლის ინგლისელი თავდამსხმელის შეძენა მერსისაიდელებს 12 მილიონი ფუნტი (14,72 მილიონი ევრო) დაუჯდებათ. ჟურნალისტები **რაფა ბენიტესს** დაუკავშირდნენ, რათა მისგან შეეტყოთ, თუ რას ფიქრობდა მოქმედი მთავარი მწვრთნელი დაგეგმილ ტრანსფერებზე. აი, რას აცხადებს 52 წლის სპეციალისტი: "იმედი მაქვს, რომ იანვარში 2-3 ფეხბურთელს დავიმატებთ. სატრანსფერო პოლიტიკაზე უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით. ამჯერად ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ საკითხზე გუნდის ტექნიკურ დირექტორ მაიკლ ემანუელოსთან ჯერ არ [illegible]. ჩვენ ერთმანეთს ყოველ დღე [illegible], მაგრამ ტრანსფერებზე სალაპარაკოდ ვერ მოვიცალეთ".

## ტერის დაბრუნება ჭიანურდება

"ჩელსის" პრესსამსახურის ცნობით, გუნდის კაპიტნის, 31 წლის **ჯონ ტერის** გამოჯანმრთელების პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა რასისტული სკანდალისთვის გამოწერილი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში (11 ნოემბერს, "ლივერპულთან") იტკინა ფეხი. ჯონი ძირითად დროს მკურნალობას ანდომებს, თუმცა დრო და დრო "კობჰემის" ბაზასაც სტუმრობს ხოლმე. "ტერის მუხლთან დაკავშირებით სიტუაცია მეტისმეტად გაურკვეველია. ხანდახან ექიმებს ეჩვენებათ, რომ ყველაფერი რიგზეა, მეორე დღეს კი ყველაფერი რთულდება. შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით იმაზე, თუ როდის შეეძლება მას გუნდის დახმარება," – ამბობს რაფა ბენიტესი.



რადამელ ფალკაოს პირადად რომან აბრამოვიჩი ეპატიჟება. ლონდონელები ამით ხაზს უსვამენ, თუ რამდენად აფასებენ კოლუმბიელ თავდამსხმელს

## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# პალასიო ახალ ამპლუაში

## ინტერის მოსალოდნელი გამარჯვება

| ინტერი-ვერონა | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 კასანო (50), 2:0 გუარინი (54).

**ინტერი (4-3-3):** კასტელაცი - ჯონატანი, სილვესტრი, ჟუან ჟესუსი (55. ძანეტი), კივუ - ნაგატომო, მარიგა (46. გუარინი), დანკანი - ალვარესი, პალასიო, კასანო (75. პერეირა).



როდრიგო პალასიოს სუპერ-სეივი

იტალიის თასის კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა "ინტერი"-"ვერონას" დაპირისპირებაში გამოვლინდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მილანელებმა განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხეს მეტოქე და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

**ანდრეა სტრამაჩონიმ** ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა, თუმცა შეტევის ხაზი ოპტიმალურთან მიახლოებული იყო. მართალია, **დიეგო მილიტოს** არ უთამაშია, მაგრამ სამაგიეროდ, **ანტონიო კასანო** და **როდრიგო პალასიო** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. მილანელებს პირველ ტაიმში უნდა გაეხსნათ ანგარიში, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში იშვიათი უზუსტობა გამოავლინეს. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში იხეირეს და ვერონელებს ორი უპასუხო ბურთი მიართვეს - ანტონიო კასანო კიპერთან პირისპირ დარჩა და ისე შეაგორა ბურთი კარში, **ფრედი გუარინმა** კი საჯარიმო დარტყმა შეასრულა და რეკოშეტის შემდეგ, ბურთი ბადეში გაეხვა.

მატჩის ბოლო 10 წუთი ძალიან მხიარული გამოდგა - "ინტერის" კიპერმა, **ლუკა კასტელაციმ** ტრავმა მიიღო, თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და რადგან იმ მომენტისთვის მასპინძლებს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდათ, კარში როდრიგო პალასიო ჩადგა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალ ამპლუაში თავი შესანიშნავად წარმოაჩინა, ზედ საფინალო სასტვენის წინ კი ისეთი დარტყმა აილო, რომ "ჯუზეპე მეაცაზე" შეკრებილი გულშემატკივრები არგენტინელ ფორვარდს ფეხზე წამოუდგნენ. პალასიო საკმაოდ კარგი მეკარე ყოფილა და როგორც ნამატჩევს განაცხადა, ბავშობაში სწორედ კარში დგომა უყვარდა:

*"თავიდან, კარში ჩადგომის სურვილი კრისტიან კივუმ გამოთქვა, მაგრამ ანდრეა სტრამაჩონიმ არჩევანი ჩემსა და რიკი ალვარესს შორის გააკეთა. ბავშვობაში ხშირად ვიდექი კარში, ვარჯიშებზეც მომირგია კიპერის როლი და შესაბამისად, გარკვეული გამოცდილება მქონდა - სწორედ ამიტომ ავიღე პასუხისმგებლობა და საბედნიეროდ, კარი მშრალად შევინახე".*

**ლაშა ნიკლაური**

● მილანი

# სლოგანი: არ ვყიდულობთ, ვქმნით!

## მილანის ახალი სტრატეგია

როგორც "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა, კლუბის მესვეურები მუშაობის ახალ სისტემაზე შეთანხმდნენ, რომელიც სხვა ბევრ საკითხთან ერთად, სატრანსფერო მიმართულებასაც მოიცავს. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სწორედ სატრანსფერო საკითხებზე მიღწეული კონსენსუსია და დროა, სიტყვა გალიანის გადავცეთ:

*"ამიერიდან, ჩვენ კი არ ვიყიდით ვარსკვლავებს, შევქმნით მათ და შევინარჩუნებთ. ეს ჩვენი პრიორიტეტული მიმართულება იქნება, რომელზეც არც ენერგიას დავიშურებთ და არც სახსრებს. მით უმეტეს, ასეთი მიდგომა ჰარმონიაშია ფინანსური ფეარ პლეის პრინციპებთან, რომელიც მალე უნდა ამოქმედდეს. ტალანტების მოძიება და მათი აღზრდა კარგად გამოგვდის, რაც სტეფან ელ შაარავის მაგალითით დასტურდება. ამიერიდან, ასეთი სლოგანი გვაქვს: არ ვყიდულობთ, ვქმნით ვარსკვლავებს".*

ამასობაში, პრაქტიკულად დადასტურდა **ალექსანდრე პატოს** "კორინთიანსში" გადაბარგების და შესაბამისად, "მილანიდან" აბარგების ამბავი. დაბრუნდა თუ არა გალიანი ლომბარდიის დედაქალაქში, კლუბის ოფიციალური მაღაზიის ვებგვერდიდან პატოს ფოტო გაქრა და მის ნაცვლად **სტეფან ელ შაარავის** ფოტო გამოისახა. ამას იქით, "მილანის" ატრიბუტიკას **მასიმო ამბროზინისთან** და **კევინ პრინს ბოატენგთან** ერთად, სწორედ "პატარა ფარაონი" გაუწევს რეკლამირებას და არა 22 წლის ბრაზილიელი ფორვარდი. იტალიელი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აღნიშნული მაღაზიის საიმიჯო ბანერი ხშირად "წინასწარმეტყველებს" მოსალოდნელ ტრანსფერებს - თავის დროზე, **ანდრეი შევჩენკო** სწორედ ხსენებული ბანერიდან გაქრა და მხოლოდ შემდეგ გაცხადდა მისი "ჩელსიში" გადასვლის შესახებ, გასულ ზაფხულს კი იგივე ბედი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** და **ტიაგო სილვამ** გაიზიარეს.



პატო წარსულია, გალიანი მომავალზე ფიქრობს

**ლაშა ნიკლაური**

● იუვენტუსი



დავიდ ვილია

# იუვე ვილიას მიადგა

ძველი ამბავია, რომ "იუვენტუსის" მესვეურებს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ექსტრა-კლასის ფორვარდის გადაბირება სურთ. თუმცა, სურთ ერთია და რეალობა მეორე - ბაზარზე თავდამსხმელთა მკვეთრი დეფიციტია და არჩევანი არც ისე დიდია. თანაც, ტურინელებს ფეხბურთელთან ნახევარწლიანი იჯარის გაფორმება სურთ, რაც თვითონ მოთამაშეებისთვის ხშირ შემთხვევაში მიუღებელია. დიდწილად, სწორედ ამის გამო ჩაიშალა "ვეკია სენიორაში" **დიდიე დროგბას** გადასვლის საკითხი.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ტურინელები შეეშვნენ დროგბას და **დავიდ ვილიას** მიმართულებით გააქტიურდნენ. 31 წლის ესპანელი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ფეხბურთს დაუბრუნდა და ფორმის აღდგენა სურს, "ბარსელონაში" კი თამაშის საშუალება იშვიათად ეძლევა. სწორედ ამიტომ, ტურინელებს იმედი აქვთ, რომ გარიგება შედგება და ვილია მინიმუმ ნახევარ სეზონს ტურინში გაატარებს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია და შესაძლოა, ყველაფერი ძალიან მალე გაცხადდეს.

**ლაშა ნიკლაური**

● ლაციო

# ლულიჩი არაფერს გამორიცხავს

## თუმცა, ლაციოში დარჩენა სურს

დიდი ხანია დადის ხმები იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** "ლაციოდან" **სენად ლულიჩის** გადაბირება სურს. ამის შესახებ გასულ ზაფხულსაც ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ დღესაც – თავად ფეხბურთელი "ბიანკოჩელესტეში" თავს კარგად გრძნობს და არსად წასვლის სურვილი არ აქვს, თუმცა მოვუსმინოთ 26 წლის ბოსნიელ ნახევარმცველს:

*"დიახ, ჩემით მართლაც არიან "მანჩესტერ სიტის" ხელძღვანელები დაინტერესებულნი და კონტაქტზეც არაერთხელ გამოვიდნენ. ჩემი პასუხი ყოველთვის ერთნაირია, მათ პირველ რიგში "ლაციოსთან" უნდა დაილაპარაკონ და მხოლოდ შემდეგ თუა შესაძლებელი ჩვენი შეხვედრა. პირადად მე, რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. 90% "ბიანკოჩელესტეში" დავრჩები, თუმცა რაიმეს გამორიცხვა ჩემი მხრიდან არ იქნება სწორი. თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერ წუთს შეიძლება ვითარება რადიკალურად შეიცვალოს".*



სენად ლულიჩი

**ლაშა ნიკლაური**

● სერია A

# კალიარი VS იუვე პარმაში



კალიარი" "იუვენტუსს" "ენიო ტარდინიზე" "უმასპინძლებს"

"ლეგა კალჩოს" მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სერია A-ს მომდევნო ტურში დაგეგმილი "კალიარი" "იუვენტუსის" პაექრობა ქალაქ პარმაში, "სტადიო ენიო ტარდინიზე" გაიმართება. საქმე იმაშია, რომ სარდინიაზე, "კალიარის" საშინაო არენის გარშემო სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც "ლეგა კალჩოს" შეფასებით, საფრთხეს უქმნის მატჩის მშვიდობიანად ჩატარებას. კუნძულელები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ შესაბამისი პირები საპირისპიროში დაერწმუნებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამრიგად, 21 დეკემბერს დაგეგმილი მატჩი პარმაში შედგება და არა სარდინიაზე.

შეგახსენებთ, რომ საშინაო სტადიონთან დაკავშირებით, "კალიარის" გასულ სეზონშიც შეექმნა პრობლემები - მაშინ, კლუბის მესვეურები და ქალაქის მუნიციპალიტეტი არენის იჯარაზე ვერ შეთანხმდნენ და შედეგად, გუნდმა რამდენიმე პაექრობა ქალაქ ტრიესტეში ჩაატარა.

**ლაშა ნიკლაური**

● პარიზული ამბები



# პასტორე: ერთ დღეს მილანში ვითამაშებ

ერთ-ერთი იტალიური ჟურნალთან საუბრისას, არგენტინელმა **ხავიერ პასტორემ** სამომავლო გეგმებზე იმსჯელა: *"პარი სენ ჟერმენთან" ერთად ტიტულს მოვიგებ, შემდეგ კი "მილანში" გადავალ. "როსონერი" საოცარი გუნდია, რომელშიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ვითამაშებ. ადრიანო გალიანისთან და არიედო ბრაიდასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს".*

როგორც ჩანს, 23 წლის არგენტინელი საფრანგეთში ცხოვრებით ბოლომდე კმაყოფილი არ არის: *"პარიზში მე ყველა მენდობა: მწვრთნელი, პრეზიდენტი, თანაგუნდელები, მაგრამ პრესას ვერაფერი გავუგე. საფრანგეთში ჟურნალისტებს უცხოელების მიმართ მტრული დამოკიდებულება აქვთ - ისინი თანამემამულეებს იცავენ, უცხოელებს კი მიწასთან ასწორებენ. ამ ყველაფერთან შეგუება ძალიან გამიჭირდა. იტალიაში განსხვავებული სიტუაციაა, რადგან იქ ხალხი შენ დახმარებას ცდილობს და კარგად გექცევა. იტალია ძალიან მენატრება".*

ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ფრანგმა ჟურნალისტებმა არგენტინელი გააკრიტიკეს, რაზეც პასტორემ პასუხი საკუთარ "ტვიტერზე" გასცა: *"მე უბრალოდ ვთქვი, რომ "მილანი" დიდი გუნდია. მომავალში იტალიაში სიამოვნებით დავბრუნდები, მაგრამ ამჟამად მხოლოდ პსჟ-ზე ვარ კონცენტრირებული. ჩვენ შესანიშნავი მწვრთნელი, ფეხბურთელები და გულშემატკივრები გვყავს, პარიზი კი ბრწყინვალე ქალაქია. მე აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და ძალიან ბედნიერი ვარ".*

შეგახსენებთ, რომ პასტორე "პარი სენ ჟერმენში" 2011 წელს გადავიდა, იქამდე კი "პალერმოს" ღირსებას იცავდა, სადაც 2 წელი გაატარა და 69 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა. წელს არგენტინელმა ლიგა 1-ში 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი ბურთია.

### ნენე იანვარში წასვლას აპირებს

პარიზში გატარებული 2,5 წლის შემდეგ, ბრაზილიელ **ნენეს** "პარი სენ ჟერმენის" დატოვება სურს. ოთხშაბათს, კლუბის ოფიციალურ საიტთან საუბრისას, 31 წლის ფეხბურთელმა შემდეგი რამ განაცხადა: *"მე მიყვარს ეს ქალაქი, პსჟ და გულშემატკივრები, რომლებიც ყოველთვის გვერდში მედგნენ და ჩემ მიმართ სიყვარულს გამოხატავდნენ. სოციალურ ქსელში ბევრი ადამიანი მწერს და დარჩენას მთხოვს, მაგრამ ვგრძნობ რომ ახალი თავგადასავლების ძიების დრო მოვიდა".*

ბრაზილიელი, რომელსაც ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის ივნისში უმთავრდება, იმედოვნებს, რომ ხელმძღვანელებთან ხელშეკრულების განწყვეტაზე შეთანხმდება და გუნდს უკვე იანვარში დატოვებს.

ნენე "პარი სენ ჟერმენში" 2010 წელს გადავიდა და ამ პერიოდში ყველა ტურნირზე 48 გოლი გაიტანა. ფორვარდი შარშან, **ოლივიე ჟირუსთან** ერთად, ლიგა 1-ის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (21 გოლით), მაგრამ წელს გუნდში **ეზეკიელ ლავეცის** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მოსვლის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს (9 თამაში, 1 გოლი).

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩები

# მესამებუნდესლიგელი მეოთხედფინალში!

## ოფენბახმა სენსაცია მოახდინა, მაინცმა შალკე გააგდო, ბაიერნს რიბერი გაუძევეს, მაგრამ მაინც გავიდა...

გერმანიის თასის მერვედფინალი სამშაბათს საკმაოდ ხმაურიანი სენსაციით დაიწყო: მესამებუნდესლიგელმა „კიკერს ოფენბახმა“ პირველ ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ფორტუნა“ დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა. მერვედფინალში კიდევ ერთი მესამებუნდესლიგელი იყო - „კარლსრუეს“ ვგულისხმობთ, რომელიც „ფრაიბურგთან“ დამარცხდა. მიუნხენის „ბაიერნმა“ აუგსბურგში ერთი ტაიმი ათი კაცით ითამაშა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. გრანდებიდან გერმანიის თასს „შალკე“ გამოეთიშა - კრიზისში მყოფი გელზენკირხენელები საკუთარ მოედანზე „მაინცთან“ დამარცხდნენ.



ოფენბახელები შტეფან ფოლგერი და ნიკოლას ფელდჰანი გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობენ

| აუგსბურგი-ბაიერნი | 0:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 გომესი (26), 0:2 შაჩირი (85)
**აუგსბურგი (4-2-3-1):** მანინგერი - ფიპლი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი (79. ბონსე), ოსტრცოლეკი - ოტლი (84. მუსონა), ბაიერი - კოო, იორლი, ვერნერი - მიოლდერსი.
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (58. ხავი მარტინესი) - შაჩირი, კროოსი (73. თ. მიულერი), რიბერი - გომესი (58. მანჯუკიჩი).
**გაფრთხილება:** ფიპლი, კოო, მიოლდერსი - დანტე, ალაბა, ტიმოშჩუკი, კროოსი
გაძევება: რიბერი (47. ბაიერნი)
**მაყურებელი:** 30 660

| ოფენბახი-ფორტუნა | 2:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ფეტში (76), 2:0 ფოლგერი (85)
**ოფენბახი (4-2-2-1-1):** ვულნიკოვსკი - სტადელი, ჰუსტერერი, კლაინეჰაიზმანი, შტაინი - ფელდჰანი, მეჰიჩი - რაინჰარდტი (92. მ. შვარცი), ჰანი - ფეტში (90. ბეკერი) - ფოლგერი (87. რათგებერი).
**ფორტუნა (4-2-3-1):** გიფერი - ბალოგუნი, ლეველსი, ხუანანი, ვან დერ ბერგი - ო. ფინკი, ლამბერტცი - რაიზინგერი, ილსიო (69. დუ-რიჩა), კრუსი - შაჰინი (63. რაფაელი).
**გაფრთხილება:** ჰუსტერერი, კლაინეჰაიზმანი, ჰანი - ლეველსი
**მაყურებელი:** 18 400

| შალკე-მაინცი | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მ. კალიჯური (30), 1:1 ჰუნტელაარი (75), 1:2 ნ. მიულერი (83)
**შალკე (4-2-2-2):** ჰილდებრანდი - ბარნეტა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ფუხსი - ჯონსი, ნოიშტედტერი (67. ჰოლტბი) - ფარფანი, დრაქსლერი (57. ობასი) - მარიკა, ჰუნტელაარი.
**მაინცი (4-2-2-2):** ვეტკლო - პოსპეხი, სვენსონი (80. კირხჰოფი), ნოვესკი, ზაბავნიკი (9. ჟუნიორ დიასი) - ბაუმგარტლინგერი, პოლანსკი - ნ. მიულერი, მ. კალიჯური - სალაი, შ. პარკერი (70. სოტო).
**გაფრთხილება:** ჯონსი - მ. კალიჯური
**მაყურებელი:** 54 202

| კარლსრუე-ფრაიბურგი | 0:1 |
|---|---|

**გოლი:** 0:1 შმიდი (2)
**კარლსრუე (4-2-2-2):** ორლისჰაუზენი - კლინგმანი, გორდონი, მაუერსბერგერი, კემპე - პაიტცი, ვარნჰაგენი (84. გ. კრებსი) - ჩალანოღლუ, ალიბაზი (46. დ. ბლუმი) - ვან დერ ბიზენი, ჰენინგსი.
**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ჰედენსტადი (80. გუედე), ფლუმი (46. დიანიე), კრმასი (84. გინტერი), ზორგი - მაკიადი, შუსტერი - შმიდი, დ. კალიჯური - როზენტალი, მ. კრუსე.
**გაფრთხილება:** ჰენინგსი, კემპე, პაიტცი - როზენტალი, მ. კრუსე, დ. კალიჯური
**მაყურებელი:** 28 200

„ოფენბახი“ მესამე ბუნდესლიგაში ცუდად თამაშობს, რის გამოც „კიკერსის“ თავკაცი **არი ვან ლენტი** უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული, მაგრამ გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლამ „ოფენბახში“ ვითარება შეიძლება კარდინალურად შეცვალოს. ვან ლენტის გუნდს ელიტელ „ფორტუნასთან“ გამარჯვებას არავინ უწინასწარმეტყველებდა და ამრიგად, ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგი, რომელმაც მესამებუნდესლიგელი გერმანიის თასის მეოთხედფინალში გაიყვანა, საკმაოდ დიდი სენსაციაა. პირველ ტაიმში დიუსელდორფელები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რეალური მომენტის შექმნა უჭირდათ. ინტენსიური თამაში არც მეორე ტაიმში გაჩალებულა, 64-ე წუთზე კი ოფენბახელები პენალტს ითხოვდნენ და შეიძლება ითქვას, რომ იმსახურებდნენ კიდეც. ანგარიში 77-ე წუთზე გაიხსნა, რის შემდეგაც დიუსელდორფელებმა მეტად მოინდომეს, მაგრამ არათუ ანგარიში ვერ გაათანაბრეს, მეორე გოლიც მიიღეს. „ოფენბახის“ გმირები **ფეტში** და **ფოლგერი** გახდნენ.

### რიბერი გააგდეს, ბაიერნი გავიდა

„აუგსბურგთან“ ბუნდესლიგური დუელიდან ორი კვირის შემდეგ მიუნხენის „ბაიერნმა“ სუსტი მეტოქე გერმანიის თასზეც 2:0 დაამარცხა. რეკორდმაისტერის თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** ისევ როტაციას მიმართა - ძირითად შემადგენლობაში ვიხილეთ **დანიელ ვან ბუიტენი, ანატოლი ტიმოშჩუკი, ჯერდან შაჩირი** და **მარიო გომესი**. ანგარიში 26-ე წუთზე სწორედ ამ უკანასკნელმა, ფრანკ რიბერის პასით გახსნა. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მსაჯმა **ტორსტენ კინჰიოფერმა** ბავარიელებს, კერძოდ ტიმოშჩუკს გოლი არ ჩაუთვალა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი მიუნხენელთა ფრანგი ლიდერი **კოოსთან** კინკლაობის შემდეგ მოედნიდან გააძევა და რეკორდმაისტერი კაცნაკლული დატოვა. მაგრამ აუგსბურგელებმა რიცხვობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლეს. პირიქით, 85-ე წუთზე შაჩირიმ სხვაობა ორამდე გაზარდა და „ბაიერნი“ მეოთხედფინალში გაიყვანა.

### კარლსრუეს სერია დასრულდა, კელერს დებიუტი ჩაუშხარდა

გერმანიის თასის მერვედფინალში იყო კიდევ ერთი მესამელიგელი „კარლსრუე“, რომელსაც ზედიზედ 10 ოფიციალური მატჩი წარმატებით ჰქონდა დამთავრებული და ბადენელთა ეს სერია „ფრაიბურგთან“ სათასო შეხვედრაში შეწყდა. ფრაიბურგელთა მხრიდან ერთადერთი გოლი **შმიდმა** მეორე წუთზევე გაიტანა, რის მერეც ბადენელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ კარგ ფორმაში მყოფ ბრაისგაუელებს, რომლებმაც ბუნდესლიგის პირველი წრე მეხუთე ადგილზე დაასრულეს, ვერაფერი მოუხერხეს. „შალკეს“ ზამთრის პაუზამ სულზე რომ მოუსწრო, ეს სამშაბათს კიდევ ერთხელ დადასტურდა: რაკი **ჰუუბ სტევენსი** გაათავისუფლეს, გელზენკირხენულ კლუბს „მაინცთან“ სათასო მატჩში **იენს კელერმა** უხელმძღვანელა, რომელიც „შალკეს“ დროებითი მწვრთნელია და გერმანიის თასის ხუთგზის მფლობელი „ხუმარები“ საკუთარ არენაზე 1:2 დამარცხდნენ. **თომას ტუხელის** გუნდმა „ფელტინს არენაზე“ პრაგმატული და ეფექტური ფეხბურთი ითამაშა - შალკელები მაინცელთა უკანა ხაზის გარღვევას ვერა და ვერ ახერხებდნენ. **კალიჯურის** გოლს მეორე ტაიმში **ჰუნტელაარმა** კი უპასუხა, მაგრამ „მაინცმა“ ძირითად დროშივე შეძლო გამარჯვების გოლის გატანა, რომელიც **ნიკოლაი მიულერის** ანგარიშზეა.



# მიულერი მიუნხენში 2017 წლამდე!

## თომასმა რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში **თომას მიულერმა** კრიტიკოსებს საკადრისი პასუხი გასცა: 23 წლის შემტევმა ნახევარმცველმა 9 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემა მიითვალა, რითაც „ბაიერნის“ შემოდგომის ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა. წინა სეზონში მიულერმა ცუდად იასპარეზა, რის გამოც ხშირად აკრიტიკებდნენ, ახლა კი ისევ ყველა აქებს. და სწორედ ამ დროს, თანაც შობის წინ, „ბაიერნმა“ თომასს ახალი კონტრაქტი გაუფორმა - თომასის ძველ ხელშეკრულებას ვადა 2015 წლის ზაფხულამდე ჰქონდა, ახალი კონტრაქტი კი 2017 წლის 30 ივნისამდე გაფორმდა.

„თომას მიულერი „ბაიერნის“ აღზრდილია და ჩვენი გუნდის ერთ-ერთ უმთავრეს ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. გვიხარია, რომ მიუნხენიდან წასვლას არ აპირებს და ჩვენთან კონტრაქტი ნაადრევად გაახანგრძლივა. ეს იმის დასტურია, რომ თომასი „ბაიერნის“ ერთგულია,“ - განაცხადა გუშინ „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

შეგახსენებთ, რომ თომას მიულერი „ბაიერნში“ 11 წლისა მივიდა და მიუნხენური გრანდის ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა. თომასს ბუნდესლიგაში დებიუტი 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა - მაშინ რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** გახლდათ. მას მერე მიულერი გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავად ჩამოყალიბდა, გერმანიის ეროვნულ ნაკრებში კი დღემდე 38 მატჩის ჩატარება მოასწრო.

● ვოლფსბურგი

# ალოფსი შუსტერს ელაპარაკება

## კლაუსისა და ბერნდის საიდუმლო შეხვედრა გამოაშკარავდა

„ბილდის“ ცნობით, დიდი შანსია, რომ „ვოლფსბურგის“ მთავარ მწვრთნელად **ბერნდ შუსტერი** დაინიშნოს. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, 52 წლის ბერნდი „მგლების“ სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსისა** და კლუბის ყველა ხელმძღვანელის ფავორიტი კანდიდატიაო. „ბილდი“ წერს, რომ ალოფსი შუსტერს უკვე შეხვდა და „ვოლფსბურგში“ მუშაობა შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ ბერნდი ბოლოს თურქულ „ბეშიქთაშში“ მუშაობდა, საიდანაც 2011 წელს წამოვიდა და მას მერე უმუშევარია.

შუსტერის გარდა, „ვოლფსბურგის“ დამრიგებლის პოსტზე **მარტინ იოლის** (ფულჰემი) და **თომას შააფის** (ვერდერი) კანდიდატურებიც განიხილება, მაგრამ საუკეთესო შანსები სწორედ შუსტერს აქვს. აღსანიშნავია, რომ ბერნდი „ვოლფსბურგთან“ 2009 წელსაც ძალიან ახლოს იყო და სხვათა შორის, მაშინაც **ფელიქს მაგათი** უნდა შეეცვალა. „მგლებს“ მისი დანიშვნა 2010 წელსაც უნდოდათ, მაგრამ ბოლოს **სტივ მაკლარენი** მიიღეს.

როგორც იცით, „ვოლფსბურგს“ „ფოლკსვაგენის“ კონცერნი პატრონობს, ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **გარსია სანსი** კი, რომელიც მადრიდშია დაბადებული, შუსტერის ახლო მეგობარი გახლავთ. კლაუს ალოფსი და ბერნდ შუსტერიც მეგობრები არიან, 1980 წელს ეს გერმანიის ნაკრების გენიალური წყვილი იყო - მაშინ კლაუსი და ბერნდი ევროპის ჩემპიონები გახდნენ.



კლაუს ალოფსი (მარცხნივ) ბერნდ შუსტერს ვოლფსბურგში ეპატიჟება

● მოსალოდნელი დანიშვნა

# დი მატეო შალკეში?

## რობერტოს გელზენკირხენელებისთვის უთქვამს, მოვიფიქრებო...

**„შალკე“ ისევ ახალ მწვრთნელს ეძებს. ჰუუბ სტევენსის გათავისუფლების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასული გელზენკირხენული კლუბი ჯერჯერობით ისევ უდამრიგებლოა. გერმანიის თასის მერვედფინალურ მატჩში, რომელიც „შალკემ“ „მაინცთან“ 1:2 წააგო, გუნდს დროებით იენს კელერმა უხელმძღვანელა, ახალი წლიდან კი „ხუმარებს“ ახალი მთავარი მწვრთნელი სჭირდება. ეს იქნება მეხუთე ახალი დამრიგებელი ბოლო 27 თვეში...**

2011 წლის მარტში „შალკეს“ ბოსებმა **ფელიქს მაგათი** გაათავისუფლეს, სექტემბერში კი **რალფ რანგნიკი** თავისით გადადგა. „პროფესორი რალფი“ გელზენკირხენში **ჰუუბ სტევენსმა** შეცვალა, რომელიც გასულ კვირას გაათავისუფლეს. არადა, ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელში გუნდმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო. მე-9 ტურის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია „შალკეს“ აქებდა - იმხანად გელზენკირხენელებმა მოსისხლე მტერი დორტმუნდის „ბორუსია“ დაამარცხეს და „ბაიერნის“ პირველი მდევრები გახდნენ. თუმცა ეიფორია ძალიან მალე ჩაცხრა: „შალკემ“ ბუნდესლიგის პირველი წრე საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დაასრულა, რასაც სტევენსის გაგდება მოჰყვა, ახლა კი გუნდი გერმანიის თასიდანაც გავარდა.

მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** არაფერს გამორიცხავს, მაგრამ სავარაუდოდ **კელერს** სეზონის ბოლომდე დატოვებს. ყველამ იცის, რომ მას „მაინცის“ მწვრთნელი **თომას ტუხელი** მოსწონს, მაგრამ ამ უკანასკნელმა „შალკეს“ ხელმძღვანელებს უკვე უარი შეუთვალა. გავრცელდა ცნობები „აინტრახტის“ თავკაც **არმინ ფეესა** და „ფიურტის“ დამრიგებლის, **მაიკ ბიუსკენსის** შესახებ, ჟურნალ „შპორტ ბილდის“ უახლესი ცნობების თანახმად კი, „შალკე“ „ჩელსის“ ყოფილ თავკაც **რობერტო დი მატეოსთან** მოლაპარაკებებს აწარმოებს. ეს უკანასკნელი ლონდონური კლუბიდან ნოემბერში გაათავისუფლეს. არადა, დი მატეომ „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, რის გამოც ლონდონელი ფანები დღემდე მისტირიან.



რობერტო დი მატეო შეიძლება შალკეს მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს

„ბილდისა“ და „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, დი მატეოსთან პირველი კონტაქტი უკვე შედგა და იტალიელმა „შალკეს“ ბოსებს მოსაფიქრებელი დრო სთხოვა. აქვე ვთქვათ, რომ დი მატეომ ექვსი ენა იცის - მათ შორის გერმანულადაც მშვენივრად საუბრობს, რაც მას „შალკესთვის“ კიდევ უფრო სასურველ კანდიდატად აქცევს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა და ევროპალიგა. წილისყრა

# დღეს, ნიონში

## ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ხუთი ვარიანტი

**დღეს, შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის პლეი ოფის სტადიის კენჭისყრა გაიმართება. საფეხბურთო ევროპა კალათების გახსნამდე გაირინდა...**

### რეალიდან მალაგამდე...

საქართველოს დროით, ნაშუადღევს (14:00) ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა დაიწყება. პლეი ოფში გასული 16 გუნდიდან 9-ს ერთხელ მაინც მოუპოვებია ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტული. მაგრამ მათში არ არის მოქმედი ჩემპიონი - ლონდონის „ჩელსი". პირველად ისტორიაში, წინა გამარჯვებულმა ჯგუფური ეტაპი ვეღარ დაძლია, რასაც შეეწირა კიდევაც „ჩელსის" იტალიელი დამრიგებელი **რობერტო დი მატეო.** 42 წლის სპეციალისტის საოცარი მიღწევა უმალ დაივიწყეს და მას კარზე მიუთითეს.

16-დან 15 მონაწილე ერთხელ მაინც ყოფილა პლეი ოფის ამ სტადიაზე. ამ მხრივ გამორჩეული, რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალია", რომელიც ერთადერთი გუნდია ბოლო 16 წლის განმავლობაში, აუცილებლად რომ გადის ჯგუფური ეტაპიდან. პლეი ოფის დებიუტანტი კი ესპანური „მალაგაა". 16 გუნდიდან მხოლოდ ხუთი იყო წინა გათამაშების ამავე ეტაპზე გასული: „ბაიერნი", „ბარსელონა", „არსენალი", „მილანი" და „რეალი".

აქამდე მისაღწევად ყველაზე დიდი გზა გლაზგოს „სელტიკმა" გაიარა, შოტლანდიური გრანდი ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო წრიდან თამაშობს, ხოლო „მალაგა" - ჯგუფური ეტაპისწინა პლეი ოფიდან, დანარჩენები კი გათამაშებაში ჯგუფურ ეტაპზე ჩაებნენ. 16 გუნდი 9 ქვეყანას წარადგენს. ყველაზე მეტი (მაქსიმალურად შესაძლებელი) წარმომადგენელი ესპანეთს ჰყავს - 4. პლეი ოფში 3 გერმანული კლუბია, 2-2 ინგლისური და იტალიური.

კენჭისყრა მარტივი პრინციპით გაიმართება: ჯგუფების გამარჯვებულები პირველ კალათში არიან განთესილები, მეორეადგილოსნები - მეორეში.

■ ■ ■

მერვედფინალური მატჩების პირველი რაუნდები 12, 13, 19 და 20 თებერვალს გაიმართება. საპასუხო შეხვედრების თარიღებია: 5, 6, 12 და 13 მარტი. ამასთან, I კალათის გუნდები აუცილებლად საპასუხო მატჩს თამაშობენ შინ. არ შეიძლება: 1. ერთი და იმავე ჯგუფის წარმომადგენლების შეხვედრა, 2. ერთი და იმავე საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლების შეხვედრა. მაგალითად, მადრიდის „რეალი" ვერაფრით შეხვდება დორტმუნდის „ბორუსიას", „ბარსელონას" და „მალაგას". ასე რომ, „სამეფო კლუბის" სავარაუდო მეტოქეთა რიცხვი მხოლოდ ხუთია (პსჟ, „შალკე", „იუვენტუსი", „ბაიერნი" და „მანჩესტერ იუნაიტედი").

### მაკმანამანის ხელით

კენჭისყრას გაუძღვებიან: უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო**, უეფას დირექტორი **ჯორჯო მარკეტი** და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **სტივ მაკმანამანი**, ჩემპიონთა ლიგის ფინალის ელჩი.

მეოთხედფინალური სტადიის კენჭისყრა 15 მარტს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ფინალი ლონდონის „უემბლის" სტადიონზე 25 მაისს გაიმართება. არის შანსი, რომ ის 2011 წლის ფინალის რე-მატჩი გამოდგეს, რადგან „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედი" აგრძელებენ ბრძოლას.

### ყველაზე ტიტულოვანები

როგორც უკვე ვთქვით, 9 კლუბს ერთხელ მაინც მოუგია ჩემპიონთა ლიგა (მანამდე, ჩემპიონთა თასი). ამათში ყველაზე ტიტულოვანი „რეალია" - **ჟოზე მოურინიოს** გუნდი სარეკორდო, მე-10 პრიზისთვის იბრძოლებს. შემორჩენილთაგან „მილანი" 7-გზის გამარჯვებულია, 4-4-ჯერ მოიგეს ტურნირი „ბაიერნმა" და „ბარსელონამ", 3-ჯერ - „მანჩესტერ იუნაიტედმა", 2-2-ჯერ - „პორტუმ" და „იუვენტუსმა", ხოლო „ბორუსიამ" და „სელტიკმა" - თითოჯერ.

„არსენალი" და „ვალენსია" ფინალისტობით თუ მოიწონებენ თავს. პსჟ-ს, „შალკეს" და „გალათასარაის" მაქსიმუმი ნახევარფინალია, „შახტარის" - მეოთხედფინალი. „მალაგაზე" უკვე მოგახსენეთ, ანდალუსიური კლუბი ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტია.



მაისში, შესაძლოა, უემბლი 2011 გამეორდეს

**I კალათი**

- „პარი სენ ჟერმენი" (საფრანგეთი)
- „შალკე" (გერმანია)
- „მალაგა" (ესპანეთი)
- „ბორუსია" (გერმანია)
- „იუვენტუსი" (იტალია)
- „ბაიერნი" (გერმანია)
- „ბარსელონა" (ესპანეთი)
- „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი)



კენჭისყრა ამ დარბაზში გაიმართება

**II კალათი**

- „პორტუ" (პორტუგალია)
- „არსენალი" (ინგლისი)
- „მილანი" (იტალია)
- „რეალი" (ესპანეთი)
- „შახტარი" (უკრაინა)
- „ვალენსია" (ესპანეთი)
- „სელტიკი" (შოტლანდია)
- „გალათასარაი" (თურქეთი)

UEFA EUROPA LEAGUE

### ევროპალიგა

ჩვენი დროით, საღამოს ხუთი საათისთვის ისევ შეივსება ნიონის დარბაზი. ამჯერად, ევროპალიგის 1/16 და 1/8-ფინალური სტადიების წილისყრა გაიმართება. პლეი ოფში გავიდა 12 ჯგუფის 24 რჩეული გუნდი, რომლებსაც დაემატა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 8 მესამეადგილოსანი. ჯგუფების 12 გამარჯვებული და ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული 4 კლუბი (რომელთაც უკეთესი შედეგი ჰქონდათ) განთესილია, ჯგუფების 12 მეორეადგილოსანი და 4 უარესი კლუბი ჩემპიონთა ლიგიდან განუთესავია.

**I კალათი**

„ლივერპული" (ინგლისი), „პლზენი" (ჩეხეთი), „ფენერბაჰჩე" (თურქეთი), „ბორდო" (საფრანგეთი), „სტიაუა" (რუმინეთი), „დნიპრო" (უკრაინა), „გენკი" (ბელგია), „რუბინი" (რუსეთი), „ლიონი" (საფრანგეთი), „ლაციო" (იტალია), „მეტალისტი" (უკრაინა), „ჰანოვერი" (გერმანია), „ჩელსი" (ინგლისი), „კლუჟი" (რუმინეთი), „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი), „ბენფიკა" (პორტუგალია).

**II კალათი**

„ანჟი" (რუსეთი), „ატლეტიკო" (ესპანეთი), „ბორუსია მ" (გერმანია), „ნიუკასლი" (ინგლისი), „შტუტგარტი" (გერმანია), „ნაპოლი" (იტალია), „ბაზელი" (შვეიცარია), „ინტერი" (იტალია), „სპარტა" (ჩეხეთი), „ტოტენჰემი" (ინგლისი), „ლევერკუზენი" (გერმანია), „ლევანტე" (ესპანეთი), „დინამო კ" (უკრაინა), „ზენიტი" (რუსეთი), „აიაქსი" (ჰოლანდია), ბატე (ბელარუსი).

ესპანეთი. კოპა დელ რეი. 1/8-ფინალი. I მატჩი

# ნამები სენსაციამდე

**ეიბარი–მალაგა 1:1**

**გოლები:** 1:0 ანიბარო (73), 1:1 ონიევუ (94)

**ეიბარი (4-4-2):** ალტამირა - აიმარი, ანიბარო, რ. ნავასი, ბიმბენი - ჯავა, [illegible], აბაროა, ოლმო (84. იური) - აკეჩე (66. მაინსი), ხიტო (72. ერასტი).

**მალაგა (4-2-3-1):** კამენი - [illegible], სანჩესი, ონიევუ, [illegible], [illegible] (74. იტური), ნაჩო კამაჩო - ბუონანოტე, სება [illegible], დუდა (83. [illegible]) - სავიოლა (61. ხუანმი).

სამშაბათს, იპურუაში ესპანეთის თასის პირველი მერვედფინალური დაპირისპირებები ბასკეთში დასრულდა, სადაც რანგით მესამე დივიზიონის გუნდმა, „ეიბარმა" „მალაგას" უმასპინძლა და კინაღამ კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა - „მალაგამ" მარცხს თავი 94-ე წუთზე ძლივს დააღწია, ისიც ბასკთა გოლკიპერის უხეში შეცდომის გამო, ის უაზროდ გავარდა წინ და **ოგუჩი ონიევუმ** თავურით ცარიელ კარში გაიტანა - 1:1. ბუნებრივია, ახლა უკვე **მანუელ პელეგრინის** გუნდია აშკარა ფავორიტი. მეორე ტაიმში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, გოლი 33 წლის მცველმა **ჩემა ანიბარომ** გაიტანა, თუმცა გამარჯვება ბასკებმა ბოლო წამს დაკარგეს.

**გაისკა გარიტანო** (ეიბარი): **„თუ ამ თამაშში რომელიმე გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა, ეს ჩვენ ვიყავით. სადავოც კი არაფერია".**

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„მეტოქემ მოცემული შანსი გამოიყენა, ჩვენ კი მომენტები ვანიავეთ. არ მესმის ასეთ მოედნებზე ფეხბურთის თამაში აკრძალული რატომ არ არის".*

გვერდები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



მალაგას გოლი ბასკი მეკარის უაზრო გამოსვლამ გამოიწვია

ვარსკვლავი




## ალალია!

როგორც იცით, სამშაბათს **ლიონელ მესიმ** 2018 წლამდე გაახანგრძლივა ხელშეკრულება „ბარსელონასთან". არგენტინელი სუპერვარსკვლავი, სულ მცირე, 31 წლის ასაკამდე დარჩება კატალონიურ გრანდში. ცნობილი გახდა, მისი გასამრჯელო - სეზონში 16 მილიონი ევრო! თან ეს არ არის ზღვარი, კონტრაქტის მიხედვით რამდენიმე ბონუსია გათვალისწინებული. მაგალითად, ერთ-ერთი ბონუსისთვის საჭიროა თამაშების 65%-ში მონაწილეობის მიღება, თანაც ტრავმების გამო გაცდენილებს არ ჩაუთვლიან. აღსანიშნავია, რომ აქამდე ლეო არ იყო მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი.

რეალი

## ახალი ვერსია: მოუს გამო პერესი მიდის!

„რეალის" პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესსა** და მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** შორის დაპირისპირება ესპანური მედიის ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე უარყოფს, მათ შორის არსებულ უთანხმოებას. ბოლო ტურის წინ პერესმა ოფიციალურად კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი პორტუგალიელ სპეციალისტს. არადა, მანამდე „მარკა" ავრცელებდა ხმებს, რომ მოურინიოს სეზონის ბოლოს იმ შემთხვევაშიც კი მოხსნიან, ჩემპიონთა ლიგა რომც მოიგოსო.

ახლა ესპანური პრესა პერესს „მიადგა": ახალი ვერსიით, ჟოზესთან გაუთავებელი კონფრონტაციის გამო ფლორენტინო „რეალიდან" წასვლას აპირებს და ეს 2013 წლის ზაფხულში მოხდება. ახლა თურმე პერესი იმით არის დაკავებული, რომ საახლობლოში შესაფერის მემკვიდრეს ეძებს. პორტუგალიელი სპეციალისტი თავისი გამონათქვამებით, პრესასთან ქიშპობით და სკანდალებით „რეალს" ჩირქს ცხობს და ამას პერესი ვერ ეგუება.

სიმართლე გითხრათ, ეს სპეკულაციები მოსაზრებელიც ხდება და თქვენი ნებართვით, მომავალში ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ, რადგან ჩვენთვის სულ ერთია, როგორი ტირაჟი ექნება „მარკას".



არავინ იცის სინამდვილეში გაირბინა თუ არა მათ შორის შავმა კატამ

ფიფას რეიტინგი



მინაწერი: ჟერარდ პიკეს ყირამალა. ესპანეთი კი ჯერ ვერავინ ამოაყირავა

## ესპანეთის ნაკრების ხუთწლიანი მეფობა

ფიფამ წლეულს უკანასკნელად განაახლა ეროვნულ ნაკრებთა რეიტინგ-ლისტები - წელიწადი პირველ ადგილზე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ესპანეთის ნაკრებმა დაასრულა, მეხუთედ ზედიზედ! მეხუთედ ზედიზედ ფიფას წლის ნაკრები „ფურია როხაა". ესპანელებს კვალში გერმანელები, არგენტინელები და იტალიელები უდგანან.

„წლის ყველაზე გაუმჯობესებული გუნდი" კოლუმბიის ნაკრებია, რომლის ღირსებასაც „ატლეტიკოს" სუპერფორვარდი **რადამელ ფალკაო** იცავს. „ლოს კაფეტეროსმა" 2011 წელი 36-ე ადგილზე დაასრულა, მაგრამ 6 გამარჯვების, 1 ფრისა და მხოლოდ ერთი ნაგების შემდეგ, კოლუმბიამ წელიწადი მე-5 ადგილზე დაასრულა. წლევანდელი წელი ძალიან პროდუქტიული გამოდგა ეკვადორისთვის (მე-13 ადგილი, + 365 ქულა) და მალისთვის (25-ე ადგილი, + 337 ქულა).

წლის ბოლო 50-ეულში ევროპას 27 ქვეყანა წარადგენს. წლეულს სულ 900 საერთაშორისო მატჩი ჩატარდა, რომელთა შედეგები ასახულია რეიტინგში. აქედან 53% ამხანაგური შეხვედრა იყო, 29% კი ბრაზილია 2014-ის შესარჩევი მატჩი. დაბოლოს, ჩვენი ქვეყანა 481 ქულით რეიტინგის 73-ე საფეხურზეა, რაც წინა თვის შედეგზე 8 ადგილით ცუდია.

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აიჩქიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L" - ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ზომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

კვირის ციფრები

# რეკორდსმენი ახალგაზრდები და შეწყვეტილი სერია

150 – გოლი აქვს აშშ-ის ქალთა ნაკრების რიგებში გატანილი **ები უომბახს**, რომელიც სულ რაღაც 8 გოლით ჩამორჩება **მია ჰემის** ყველა დროის რეკორდს. 32 წლის უომბახმა, ამ შედეგს ჩინეთის ნაკრებთან შესრულებული დუბლით მიაღწია (აშშ-მ 4:0 მოიგო). ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობისთვის ასევე **კრისტინ სინკლერი** (143 გოლი) იბრძვის, რომელმაც კვირას ლუ მარშის სახელობის პრიზი მიიღო და 2012 წლის კანადის საუკეთესო სპორტსმენი გახდა.

16 წლის, ოთხი თვის და ერთი დღის იყო "ნიცას" ფეხბურთელი **ნილ მოპეი**, როდესაც შაბათს, არბიტრის მიერ დამატებულ დროში, "ევიანს" გამარჯვების მომტანი გოლი გაუტანა (3:2). ვერსალში დაბადებული ფორვარდი, საფრანგეთის ჩემპიონატის ისტორიაში მეორე ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, ვინც გოლის გატანა შეძლო. ლიგა 1-ის ყველა დროის რეკორდი **ლორან რუსეს** ეკუთვნის, რომელმაც 1978 წელს, "სენტ ეტიენის" მაისურით, თავის გამოჩენა 16 წლის, 3 თვის და 25 დღის ასაკში მოახერხა. წლის დასაწყისში მოპეი ახლოს კიდევ ერთ რეკორდთან იყო – თინეიჯერ ფეხბურთელს ლიგა 1-ში დებიუტი 16 წლის და 31 დღის ასაკში ჰქონდა. მოპეი მცირედით ჩამორჩა რეკორდსმენ **კრისტოფერ ორიეს**, რომელმაც უმაღლეს დივიზიონში 16 წლის და 17 დღის ასაკში ითამაშა.

14 – გოლი აქვს მიმდინარე სერია A-ში გატანილი **სტეფან ელ შაარავის**, თან არც ერთი პენალტით. ევროპის წამყვან ლიგებში, თამაშიდან "პატარა ფარაონზე" მეტი მხოლოდ **ლიონელ მესის** (24 გოლი) და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** (16 გოლი) აქვთ გატანილი. 20 წლის ფეხბურთელმა ზლატანს უკვე აჯობა – "მილანში" თამაშის დროს, "იბრაკადაბრას" 17 ტურის შემდეგ, ამდენი გოლი არასდროს გაუტანია.

ასევე აღსანიშნავია **ანტონიო დი ნატალეს** მიღწევა – "უდინეზეს" ფორვარდმა სეზონში მინიმუმ 10 გოლის გატანა მერვედ შეძლო. **ანდრე პირლომ** კი ამ სეზონში საჯარიმო დარტყმით მეოთხე გოლი გაიტანა. "იუვეს" ნახევარმცველს სერია A-ში 49 გოლი აქვს გატანილი, აქედან 20 საჯარიმო დარტყმით. ბოლო 30 წელიწადში, იტალიის ჩემპიონატში ასეთი შედეგი მხოლოდ **რობერტო ბაჯოს** და **ჯანფრანკო ძოლას** ჰქონდათ, ხოლო სტანდარტულიდან უფრო მეტი გოლი **ალესანდრო დელ პიერომ** (22) და **სინიშა მიხაილოვიჩმა** (27) გაიტანეს.

5 – გამარჯვება ზედიზედ – სწორედ ასეთი შედეგი ჰქონდათ ევროპელებს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, რომელიც კვირას, "კორინთიანსის" მიერ "ჩელსის" ძლევით დასრულდა. "ტიმაომ" საკლუბო ჩემპიონის ტიტული 12 წლის შემდეგ დაიბრუნა და ბრაზილიას ამ ტურნირზე მეოთხე გამარჯვება მოუტანა, რაც საუკეთესო შედეგია. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატს თუ საკონტინენტთაშორისო თასს მივუმატებთ, ბრაზილია აქაც საუკეთესო იქნება – პენტაკამპეონთა კლუბების ანგარიშზე 10 გამარჯვებაა, ერთით ნაკლები არგენტინას და იტალიას აქვთ, ინგლისელების ანგარიშზე კი მხოლოდ ორი ტიტულია.

**ტატო ბაციკაძე**

ტრანსფერი

# სან პაულომ ლუსიო გაიფორმა

ტურინის "იუვენტუსიდან" წამოსვლის შემდეგ, **ლუსიო** უკლუბოდ დიდხანს არ დარჩენილა. 34 წლის მცველმა გუშინ, კოპა სუდამერიკანას" გამარჯვებულ "სან პაულოსთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მოგეხსენებათ, ბრაზილიელი მცველი ტურინში ამ სეზონის დაწყების წინ გადავიდა, მაგრამ "ბებერი ქალბატონის" რიგებში მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჩაატარა. სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენილმა ფეხბურთელმა, "იუვესთან" კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობლოში თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ "იუვენტუსამდე" ლუსიო "ინტერის", "ბაიერნის" და ლევერკუზენის "ბაიერის" ღირსებას იცავდა, სამშობლოში კი პორტუ ალეგრის "ინტერნასიონალში" თამაშობდა, საიდანაც 2000 წელს ევროპას მიაშურა.

*"ლუსიოს დონის ფეხბურთელი ჩვენს გუნდს აუცილებლად გააძლიერებს. მომავალ წელს ლიბერტადორესის თასზე ვითამაშებთ, სადაც ჩვენი მთავარი მიზანი გამარჯვება იქნება"* – განაცხადა "სან პაულოს" ვიცე-პრეზიდენტმა **ჟოაო პაულო დე ჟესუს ლოპესმა**.

*"ლუსიოს შეძენა ადრეც გვსურდა. ზაფხულში ტრანსფერთან ახლოს ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ გარიგება ჩაიშალა. ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა და მისი სახით უდიდესი გამოცდილების და უმაღლესი კლასის ფეხბურთელი შევიძინეთ"* – ეს უკვე სპორტული დირექტორის **ადალბერტო ბაპტიშტას** სიტყვებია.

ლუსიო ბრაზილიის ნაკრებში 11 წლის განმავლობაში თამაშობდა (2000-2011), ხოლო 5 წელი გუნდის კაპიტანიც იყო. 2002 წელს მცველი "სელესაოსთან" ერთად მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, სულ კი ნაკრებში 105 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტურის წინ

**დღეს**

**ვალეკანო–ლევანტე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფუეგო (ვალ)

**ტრავმა:** კარლოსი, როდრი - დუდკა, რიოსი, ლოპესი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

10 თ +2=2-6 (11-14)

**ესპანიოლი–დეპორტივო 01:00**

**ტრავმა:** ფონტე, გომესი, ლონგო, ალვარესი - საული

**ბოლო 6 მატჩი**

+0=3-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

38 თ +14=9-15 (39-44)

**სოსიედადი–სევილია 01:00**

**ტრავმა:** ბერგარა, ელუსტონდო, ესტრადა, კადამურო - კალა, კამპანია, რაბელიო, ტროხოვსკი, მადურო, რაკიტიჩი, პეროტი (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=3-0 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

26 თ +8=7-11 (27-32)

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები 1994 წლიდან

**შენიშვნა:** + მოგება = ფრე - წაგება () ბურთების შეფარდება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 15 | 1 | 0 | 54-18 | 46 |
| 2. ატლეტიკო | 16 | 12 | 1 | 3 | 36-17 | 37 |
| 3. რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 39-14 | 33 |
| 4. მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25-10 | 28 |
| 5. ბეტისი | 16 | 9 | 1 | 6 | 25-26 | 28 |
| 6. ლევანტე | 16 | 8 | 3 | 5 | 21-21 | 27 |
| 7. ხეტაფე | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 24 |
| 8. ვალიადოლიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-18 | 22 |
| 9. სოსიედადი | 16 | 6 | 4 | 6 | 22-19 | 22 |
| 10. ვალეკანო | 16 | 7 | 1 | 8 | 19-32 | 22 |
| 11. ვალენსია | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 12. ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21-32 | 21 |
| 13. სევილია | 16 | 5 | 4 | 7 | 21-24 | 19 |
| 14. სარაგოსა | 16 | 6 | 1 | 9 | 18-24 | 19 |
| 15. სელტა | 16 | 4 | 3 | 9 | 16-21 | 15 |
| 16. ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13-17 | 14 |
| 17. გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11-24 | 13 |
| 18. მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-28 | 13 |
| 19. ესპანიოლი | 16 | 2 | 6 | 8 | 17-26 | 12 |
| 20. დეპორტივო | 16 | 2 | 6 | 8 | 21-37 | 12 |

**ბომბარდირები:** 25 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - არიც ადურისი (ბილბაო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული სპორტი

ძიუდო. საქართველოს პირველობა



ვალერი ლიპარტელიანი

# დღე მძიმედ დაიხურა

## მატიაშვილის იპონით დადგმული გვირგვინი

**საქართველოს პირველობის მეორე დღეც სპორტკომპლექს „არენაში" პირვანდელივით მშვიდად, უექსცესოდ და ლამაზი ფინალით დასრულდა. ოღონდ ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით ერთ პატარა შენიშვნას გავაკეთებთ - ალბათ აჯობებდა, შეხვედრები სამ ტატამზე გამართულიყო და არა ორზე, რაც ტურნირის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად შეამცირებდა. მით უფრო, გუშინ ვაჟთა ოთხ წონასთან ერთად ქალებიც ჭიდაობდნენ. მართალია, ასპარეზობა ერთი საათით ადრე - 10-ზე კი დაიწყო, მაგრამ მაინც 20 საათამდე გაგრძელდა...**

თვითონ შეჯიბრების სურათი დიდად არ შეცვლილა - საერთო დონეც მეტ-ნაკლებად მისაღები იყო და ახალგაზრდებმა კვლავაც ომახიანად იჭიდავეს, თუმცა ამჯერად „ძველმა გვარდიამაც" გაისროლა - **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) თავიანთ წონებში გაიმარჯვეს. ოღონდ მათი ასაკიდან გამომდინარე, ძნელია, ამ 22-23 წლის ბიჭებსაც ძველი თაობა უწოდო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ქართული ძიუდოს გაახალგაზრდავების პროცესს, რაც მისასალმებელია.

ამ პროცესის დადასტურებაა **გიორგი ნოზაძისა** (100) და **ლევან მატიაშვილის** (+100) გამარჯვება თავიანთ წონებში. ახალი თაობის კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ჭაბუკებში ყველა ტიტულის მომგები **ბექა ღვინიაშვილი** ამჯერად ახალ წონაში - 90-ში გამოვიდა და უფრო ამას უნდა მივაწეროთ მისი მარცხი **ლაშა ტაველურთან** - წონის შეცვლას ადაპტაცია და გარკვეული დრო სჭირდება.

ჩემპიონატის ფინალი კი მართლაც ლამაზი გამოდგა. ტრადიციულად, დღის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს მძიმეწონოსნები დაუპირისპირდნენ - **ადამ ოქრუაშვილის** პირისპირ ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი მატიაშვილი დადგა. ოქრუაშვილი მანამდე იოლად გაუსწორდა მეტოქეებს და სულ იპონებით გავიდა ფინალში. განსაკუთრებით ეფექტური ნახევარფინალში მოგება გამოუვიდა **ონისე ბულაძესთან**, რომელიც მედგრად დაუდგა და კარგა ხანსაც აწვალა ფავორიტი, მაგრამ მისმა შეუპოვრობამ ოქრუაშვილი ისე გაახელა, დამთავრებამდე 1.48 წამით ადრე მშვენივრად შეატრა და გამეტებით გაისროლა ბრუნზე. ფინალში სწორად შერჩეული კონტრსტილით მატიაშვილმა მისი შეჩერება მოახერხა - ოქრუაშვილი მკვეთრად დამუხრუჭებულ მანქანას ჰგავდა. მას წონაშიც საგრძნობლად მოუმატია და მოძრაობაც უჭირდა, რასაც ცოტა უფრო სწრაფი ახალგაზრდა კონკურენტი კარგად იყენებდა და გვარიანადაც მოღალა. მატიაშვილი კოზირად მყარი ჩავლება-გადავლებიდან ცერის გამოკვრას ან ჩაჩეხვას იყენებდა, თუმცა ამან შედეგი ვერ მოუტანა იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე ილეთზე კი წამოილო. დამატებით დროში გადასულ ამ შეხვედრაში მას წარმატება კონტრილეთმა მოუტანა, როცა ოქრუაშვილმა თვითონ სცადა ფანდის გაკეთება, მაგრამ მატიაშვილი დროულად გაერკვა ვითარებაში და იქით გაგრძელებულ ილეთზე იპონიც მიითვალა. მან მეოთხედფინალში **მირიან გონჯილაშვილსაც** ლამაზი გამოსმულით მოუგო, ნახევარფინალში **გიორგი ზაქარიაძეც** ვაზარით დაამარცხა ანუ იმის მიუხედავად, რომ საკუთარი ფორმისგან ჯერაც შორს იყო, მთლიანობაში ეს ბიჭი ილეთებს აკეთებს, თვალსასეიროდ ჭიდაობს, სპორტში კი სანახაობა ყველაზე მნიშვნელოვანია. სიტყვამ ზაქარიაძე მოიტანა და ესეც კარგი ბიჭი გამოჩნდა ამ წონაში.

ჩემპიონატის კიდევ ერთ გამონათებად ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **გიორგი ნოზაძე** იქცა, რომელიც აქამდე 90-ში გამოდიოდა და ზემოაღნიშნული ტიტულიც იქ მოიპოვა 2010 წელს. შარშანაც იმ წონაში გავიდა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, წლეულს კი 100-ში გადმოვიდა და პირველივე შეჯიბრებაზე ჩემპიონი გახდა. მისი შეხვედრებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ფინალი გამოდგა ახალი თაობის კიდევ ერთ წარმომადგენელ **გიორგი ქავთარაძესთან**, ვისაც ლამაზი ვაზარით აჯობა. **ლომერ ჟორჟოლიანის** არყოფნაში ამ წონაში ფავორიტი **დავით ლორიაშვილი** ჩანდა, მაგრამ მას ნახევარფინალში ქავთარაძემ იპონით მოუგო. ლორიაშვილი მესამეზე კი გავიდა, მაგრამ გუშინ ძველებურად შესაშური ფიზიკური ძალა არ გამოუვლენია. მას ჯერ კიდევ ეტყობა გადატანილი ტრავმების კვალი.

ლიპარტელიანი მოწოდების სიმაღლეზე იდგა, თუმცა ფინალში ხელის ტრავმის გამო მეტოქე - **ზვიად გოგოჭური** არ გამოუცხადდა. სეზონის სტარტზე ოპტიმალურ ფორმაში არც ლიპარტელიანია, თუმცა გაისად მას ბევრის შეცვლა, ბევრის გაუმჯობესება მოუწევს ახალი წესებიდან გამომდინარე.

ჭრიკიშვილს თავის წონაში ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია, თუმცა ფინალში **პაატა ღვინიაშვილს** მხოლოდ გაფრთხილებებით მოუგო. მისი უპირატესობა აშკარა კი იყო და მეტოქეს სამივე გაფრთხილება დამსახურებულად მიაღებინა, მაგრამ სასურველია, ილეთებს უფრო ხშირად აკეთებდეს ანუ უფრო თვალსასეიროდ ჭიდაობდეს. ფინალამდე ღვინიაშვილიც კარგად მივიდა - სხვებთან ერთად დამაჯერებლად მოუგო ახალგაზრდულის წევრ **შალვა ნინიძეს**, ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ბექა დონღვანის** მძლეველ **ზაზა დავაძეს**, ნახევარფინალში კი დრამატულ შეხვედრაში აჯობა ევროპის მედალოსან **ლევან წიკლაურს**. მისასალმებელია კიდევ ერთი ახალგაზრდის - **იოსებ ჩილინდრიშვილის** წარმატებაც.

გუშინვე ქალთა ტურნირში 50-ზე მეტი მონაწილე გამოვიდა. აქ ფავორიტებმა - **მარიამ ჯანაშვილი** (57), **შორენა შარაძე** (63), **ნინო ოძელაშვილი** (70), **ირინე ლეონიძე** (+78) გვერდით ახალგაზრდებმაც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, **სალომე აბაშიძემ** (52), **ნათია ყავრელიშვილმა** (78), ანთალიის ევროპის თასის გამარჯვებულმა **ელენე ქებაძემ** (+78) და სხვებმა.

ტურნირის დასრულების შემდეგ კომენტარი ვაჟთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ირაკლი ცირეკიძეს ვთხოვეთ, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *„მძიმე მწონის ფინალი სასიამოვნო მოულოდნელობა გამოდგა, არ ველოდი ასეთ დასასრულს. მატიაშვილმა იბრძოლა, იმუშავა, კარგად გრძნობდა მომენტს და საწადელსაც მიაღწია. სხვა მხრივ კი ჭიდაობის ხარისხი საშუალო ან უფრო დაბალიც კი იყო როგორც ტექნიკურად, ისე - ტაქტიკურად. ბიჭებს ბევრი აქვთ სამუშაო".*

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**81 კგ.** 1). ავთანდილ ჭრიკიშვილი (ქვემო ქართლი); 2). პაატა ღვინიაშვილი; 3). იოსებ ჩილინდრიშვილი (ორივე - შიდა ქართლი), ლევან წიკლაური (კახეთი).

**90 კგ.** 1). ვალერი ლიპარტელიანი (აჭარა); 2). ზვიად გოგოჭური (კახეთი); 3). ლაშა ტაველური (მცხეთა-მთიანეთი), ბექა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი).

**100 კგ.** 1). გიორგი ნოზაძე (თბილისი); 2). გიორგი ქავთარაძე; 3). დავით ლორიაშვილი (ორივე - ქვემო ქართლი), ლაშა გურული (იმერეთი).

**+100 კგ.** 1). ლევან მატიაშვილი (თბილისი); 2). ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი); 3). გიორგი ზაქარიაძე, ონისე ბულაძე (ორივე - იმერეთი).

**ქალები**

**48 კგ.** 1). მზია ბებოშვილი (თბილისი); 2). ცირა აბულაძე; 3). ნინო მგელაძე (ორივე - აჭარა), ქრისტინე ფანგანი (თბილისი).

**52 კგ.** 1). სალომე აბაშიძე (აჭარა); 2). სალომე მარგიანი; 3). ოლიკო ალადოშვილი, ვარდო ლოლუა (სამივე - თბილისი).

**57 კგ.** 1). მარიამ ჯანაშვილი (კახეთი); 2). მარიამ ციხელაშვილი (სამცხე-ჯავახეთი); 3). სოფო ბერიძე, გურანდა შოთაძე (ორივე - აჭარა).

**63 კგ.** 1). შორენა შარაძე (აჭარა); 2). ნინო მარტიაშვილი; 3). ხატია ჯანაშვილი (ორივე - კახეთი), მალვინა ლორთქიფანიძე (აჭარა).

**70 კგ.** 1). ნინო ოძელაშვილი (თბილისი); 2). თეა სუხიტაშვილი (კახეთი); 3). სალომე მალაყმაძე, ელისო სისაური (ორივე - აჭარა).

**78 კგ.** 1) ნათია ყავრელიშვილი (თბილისი); 2). მალვინა კირკიტაძე; 3). ანა ანდღულაძე (ორივე - აჭარა), მზია კიკვაძე (თბილისი).

**+78 კგ.** 1). ირინა ლეონიძე (აჭარა); 2). ელენე ქებაძე (კახეთი); 3). ლია გვიანიძე, მელანო ოტოლაძე (ორივე - აჭარა).

**ირაკლი თავაძე**



გიორგი ბოლოთაშვილმა (თეთრი) გურამ თუშიშვილი დაამარცხა

კალათბურთი. ქართველები NBA-ში

## ვაშინგტონში, ოვერტიმში...

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" „ვაშინგტონი" ოვერტაიმში 100:95 დაამარცხა. ქართველმა ცენტრმა 15 წუთში 5 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

„ბრუკლინმა" ორი ქულის სხვაობით წააგო „იუტასთან" - 90:92. **თორნიკე შენგელია** ბრუკლინელთა განაცხადში იყო, თუმცა არ უთამაშია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ქართული სპორტი

სიტუაცია

# შეცდომის გასწორება, მორიგი შეცდომით



გორელებს არაერთი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი რომ არ ჰყავდეს, ადამიანი იფიქრებდა, ოლიმპიზმსა და ოლიმპიური ჯილდოების მნიშვნელობაზე მათ სათანადო წარმოდგენა არა აქვთო. ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. ვარაუდი კი იმიტომ გამოვთქვით, რომ ამ ქალაქში „ოლიმპიური კედლის" თემა ისევ წამოიჭრა და კვლავაც კრიტიკის საგანი გახდა. „ლელოს" მკითხველი ამ საკითხზე კარგადაა ინფორმირებული და მხოლოდ შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კედელი, მასზე წარწერილი საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონების გვარებით, ორი წლის წინათ აშენდა. შემდეგ, იმის გამო, რომ მის უკან გასართობი ცენტრის მშენებლობა დაიწყეს და კედელი ფასადის ნაწილს დაფარავდა, დაახლოებით 6 თვეა, რაც დაანგრიეს. ამ ფაქტის გამო, ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში (პირველად „ლელო" გამოეხმაურა) მაშინვე ატყდა ხმაური და გამოიწვია საზოგადოების უარყოფითი რეაქცია. ცოტა ხანში ადგილობრივ მუნიციპალიტეტში განაცხადეს, რომ შეცდომა გამოსწორდებოდა. ასეც მოხდა. ბუნებრივია, ახლა უკვე სიას **ლაშა შავდათუაშვილის** გვარიც დაემატა. მაგრამ საქმე ისაა, რომ კედელი იმავე სკვერის კუთხეშია აგებული და პირვანდელი ვარიანტისგან რადიკალურად განსხვავებით, ქუჩიდან თითქმის არ ჩანს. ამის გამო, იქვე სკვერში, გორელებმა ჩვენთან საუბრისასაც გამოთქვეს უკმაყოფილება. იმავე პოზიციაზეა ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსი **გია პაპიტაშვილიც**. *„მივესალმები, რომ კედელი ისევ აღდგა, მაგრამ ადგილი, სადაც ის დაიდგა, შეუფერებელია. ეს შეცდომის გამოსწორების გამო უფრო მოვალეობის მოხდას ჰგავდა. პირვანდელი სახით კედელი ყველა მხრიდან მოჩანდა და ყურადღებას იქცევდა"* - გვითხრა მან.

შარშან ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით სპორტის მაშინდელი მინისტრი გორში სპორტის სასახლის აგებას იყო შეპირებული, რაც არ განხორციელდა. ახლა ადგილობრივებს იმედი აქვთ, რომ მშენებლობას წლეულს მაინც დაადგება საშველი და ოლიმპიური კედლისთვის ყველაზე უკეთეს ვარიანტს გია პაპიტაშვილი სწორედ იქ ხედავს. *„გორი დიდი ხანია იმსახურებს სპორტის სასახლეს. ჩემი აზრით, ოლიმპიური კედელიც საბოლოოდ სწორედ იქ უნდა გადავიდეს. მისი აქეთ-იქით ტარება, დანგრევა და ხელახლა აშენება ბოლოს და ბოლოს უნდა დასრულდეს"* - ამბობს გორის სპორტის სამსახურის უფროსი.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

*დავით ასპანიძის ფოტო*

ჭადრაკი

# დაფაზე დაუხედავად - ბოლოსწინა ადგილებზე

პეკინში გუშინ დამთავრდა მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. რაპიდისა და ბლიცის შედეგები უკვე გაუწყეთ. ასპარეზობის ორი დღე დაფაზე დაუხედავად პაექრობას დაეთმო. **ბელა ხოტენაშვილმა** 1,5 და **ბაადურ ჯობავამ** 2 ქულით ბოლოსწინა ადგილები დაიკავეს. ქალებში 7 შესაძლებლიდან 6 ქულით პირველ ადგილზე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) გავიდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა 2011 წლის ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 4,5 ქულით ბრინჯაო ანა ზატონსკიხს ხვდა. ვაჟებში ყველას ლევონ არონიანმა აჯობა (სომხეთი, 5,5 ქულა), მეორე იყო ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 5), 4,5-4,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები შაჰრიარ მამედიაროვმა (აზერბაიჯანი) და გატა კამსკიმ (აშშ) გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**



# შავებს თეთრი დღე გაუთენდათ

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაზე გუშინდელი მე-5 ტური შავებისთვის იღბლიანი აღმოჩნდა: მეწინავეთა რვა შეხვედრიდან შავებმა ხუთი მოიგეს, ორი ყაიმით დაასრულეს და მხოლოდ ერთი პარტია დათმეს - ანა შამათავამ შოთა აზალაძესთან წააგო. დავით ჯოჯუა - დავით ლომსაძე 0:1, გიგა ყუფარაძე - ზურაბ ჯავახაძე 0:1, გიორგი სიბაშვილი - დავით ბენიძე 0:1, ივერი ჭილლაძე - გაიოზ ნიგალიძე 0,5:0,5, ნიკოლოზ შავთვალაძე - ნინო ხომერიკი 0:1, ბაჩანა მორჩიაშვილი - მალხაზ სულაშვილი 0,5:0,5, ნოე თუთისანი - გიორგი გამზარდია 0:1.

5 ტურის შემდეგ ლიდერებში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ლომსაძე, ჯავახაძე - 4,5-4,5, ბენიძე, აზალაძე, ხომერიკი - 4-4, ჯოჯუა, ყუფარაძე, გამზარდია, ნიგალიძე, ჭილლაძე - 3,5-3,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: ჯავახაძე - ლომსაძე, ბენიძე - ხომერიკი, ჯოჯუა - აზალაძე, ყუფარაძე - ჭილლაძე, გამზარდია - ნიგალიძე.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*

კარატე

# კიევიდან თითო ოქრო-ბრინჯაო



ცხრა ქვეყნის 287 წარმომადგენელი მონაწილეობდა კიო-კუშინ-კაი კარატეს A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც კიევმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმაც (ლაშა ხაჭაპურიძე, მიხეილ წიკლაური, ლევან ცინცაძე, გივი ბარკალაია) იასპარეზა მთავარი მწვრთნელის — **ირაკლი დოლაბერიძის** ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით **ლაშა ხაჭაპურიძემ** იყოჩაღა — 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ხუთი მეტოქე დაამარცხა, მათ შორის — ფინალში ევროპის ჩემპიონ უკრაინელს აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა. +90 კილოში ბრინჯაოს დასჯერდა **გივი ბარკალაია**. საგულისხმოა, რომ მედლები სულ ოთხ წონაში გათამაშდა. საბოლოო შედეგებით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ნაკრებმა გაიმარჯვა. დოლაბერიძის შეგირდებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ლელო"-ში 40 წლის წინათ...

### 20 - 26 დეკემბერი

### ვნახოთ, რას წერდა „ლელო" ამ პერიოდში 1972 წელს

**20 დეკემბერი.** „ლელოს" ამ დღის ნომრის ცნობით, თეირანში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ნაკრებში მეორე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი, ქართველი ფალავანი ნოდარ მოდებაძე.

**21 დეკემბერი.** წინა დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა კალათბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ლიდერობა შეინარჩუნა „ჟალგირისმა", მეორე იყო თბილისის „დინამო", მესამე - ცსკა.

**22 დეკემბერი.** გამოქვეყნდა გ. ეგნატაშვილის თასზე თბილისის, ბაქოს და ერევნის ტანმოვარჯიშეთა სატელევიზიო შეხვედრის შედეგები. თბილისში გამართულ ამ ღონისძიებაში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი და პრიზები მასპინძლებმა მოიპოვეს. პროგრამაში იყო ღერძი, ორძელი და თავისუფალი ვარჯიში.

**23 დეკემბერი.** მკითხველმა „ლელოს" ამ დღის ნომრით შეიტყო, რომ ბულგარულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტსმა" 1972 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს №1 მძლეოსნად (სამხტომში) ვიქტორ სანეევი დაასახელა.

**24 დეკემბერი.** წინა ღამეს თბილისში ავიარეისით ქ. ვრნიაჩკა-ბანიადან დაბრუნდა იქ გამართულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV გათამაშებაში გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი და მისი თანაგუნდელი ნანა ალექსანდრია.

**26 დეკემბერი.** გაზეთის ამ ნომერში ვრცელი მიმოხილვა ეძღვნება ნ. გაფრინდაშვილის წარმატებას ქ. ვრნიაჩკა-ბანიაში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. იქვე, ქვეყნდება ნ. გაფრინდაშვილ - კ. ერეტოვას და ნ. ალექსანდრია - ე. პოლიქრონიადეს ტურნირში გამორჩეული პარტიები.

## ისტორია

### 20 - 26 დეკემბერი

**20. 1945 წ.** თბილისის „დინამომ" რუმინულ ტურნეში ბუქარესტის „იუვენტუსს" 10:5 მოუგო. ქართველებიდან 5 გოლი **გაიოზ ჯეჯელავამ** გაიტანა.

**21. 1885 წ.** დაიბადა **ანატოლი ფიოდოროვი** - ფარიკაობა. გარდაიცვალა 1974 წელს.

**21. 1938 წ.** დაიბადა **ჯემალ აბაიშვილი** - ხელბურთი. გარდაიცვალა 1989 წელს.



**21. 1952 წ.** დაიბადა **ვლადიმერ გუცაევი** - ფეხბურთი.

**21. 1971 წ.** დაიბადა **სოსო გრიშიკაშვილი** - ფეხბურთი (მეკარე).

**21. 1981 წ.** დაიბადა **ლაშა სალუქვაძე** - ფეხბურთი

**22. 1949 წ.** დაიბადა **ვახტანგ ქორიძე** - ფეხბურთი

**23-24. 2010 წ.** თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

**23. 2010 წ.** სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** დაასახელა.

**24. 2010 წ.** საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში **ადამ ოქრუაშვილი** გახდა.

**25. 1945 წ.** თბილისის „დინამომ" რუმინული ტურნეს ბოლო მატჩში ქ. ტიმიშოარის ფეხბურთელთა გუნდი 5:0 დაამარცხა.

**25. 1951 წ.** დაიბადა **დავით კვაჭაძე** - კრივი.

**26. 1940 წ.** დაიბადა **ვლადიმერ რუბაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა. ტრაგიკულად დაიღუპა 1964 წელს.

**26. 1954 წ.** დაიბადა **ვახტანგ კოპალეიშვილი** - ფეხბურთი.

**26. 1958 წ.** დაიბადა **შოთა ხაბარელი** - ძიუდო.

## ვიქტორინა

1. დაასახელეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი ქართველი მოჭადრაკე ქალი

ა - ნონა გაფრინდაშვილი
ბ - მაია ჩიბურდანიძე
გ - ნანა ალექსანდრია

2. რომელ წელს მოიპოვა ბოლო ოლიმპიური ოქროს მედალი ქართველმა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა?

ა - 1992 წელს
ბ - 1996 წელს
გ - 2000 წელს

3. რომელ წელს და სად გაიმართა საქართველოში პირველი საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში?

ა - 1906 წელს, ფოთში
ბ - 1912 წელს, თბილისში
გ - 1918 წელს, ქუთაისში

4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „სპანი მისი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთაობითა".

ა - ლეონტი მროველს
ბ - სარგის თმოგველს
გ - თამარ მეფის კარის მეისტორიეს

5. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში 2004 წელს ჩატარებული არჩევნების შედეგად ვინ გახდა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი?

ა - ბადრი პატარკაციშვილი
ბ - ჯანსუღ ბაგრატიონი
გ - გიორგი თოფაძე

პასუხები: 1 - ა, 2 - გ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ოქროს მედალი საქართველოს ევროპის ჩემპიონატში სინქრონულ ცურვაში მოუტანა **ქრისტინე ფალასანიძემ** 1989 წელს.

■ ■ ■

**პირველმა** ქართველ ჩოგბურთელთაგან ოსტატობით სახელი გაითქვა თბილისელმა **თამარ გოგოლაურმა** XX საუკუნის 20-იან წლებში.

■ ■ ■

**პირველად** ფეხბურთი, როგორც სპორტის სახეობა, ქუთაისში 1922 წლის 21-29 ოქტომბერს წარმოადგინეს ამ ქალაქში სტუმრად ჩასულმა თბილისელმა გიმნაზიელებმა.

## იუმორი



დავით ჯინჭველაძე (ბორჯომი, ჩითახევი)

ნახატი ლელოს არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სუპერლიგა 2012-13. X ტური. 19 დეკემბერი, თბილისი სპორტის სასახლე

# როცა რეკორდი წამებს ითვლის

| არმია | ბათუმი |
|---|---|
| 99 | 76 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| არმია | 29 | 22 | 25 | 23 |
| ბათუმი | 14 | 16 | 17 | 29 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 19 | 2 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 |
| ბაბიაშვილი | 10 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |
| უგრეხელიძე | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| მილიჯი | 16 | 6 | 7 | 0 | 4 | 0 | 13 |
| ნივნივაძე | 20 | 5 | 3 | 3 | 1 | 0 | 5 |
| შელგომი | 13 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 2 |
| საყვარელიძე | 14 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 9 |
| ფეისონი | 25 | 6 | 3 | 0 | 1 | 0 | 18 |
| შარაბიძე | 15 | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 14 |
| ჯღერენაია | 16 | 9 | 0 | 2 | 0 | 1 | 10 |
| უილსონი | 15 | 6 | 1 | 1 | 1 | 0 | 10 |
| ფარლალავა | 23 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 5 |

| ბათუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 20 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 |
| რამიშვილი | 40 | 8 | 5 | 6 | 3 | 0 | 17 |
| ნანიტაშვილი | 31 | 2 | 3 | 6 | 1 | 0 | 10 |
| ელიაშვილი | 23 | 5 | 0 | 1 | 0 | 1 | 2 |
| სიგუა | 25 | 5 | 4 | 0 | 1 | 0 | 1 |
| ყველაშვილი | 24 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კეშელავა | 35 | 10 | 1 | 0 | 0 | 0 | 41 |

*მსაჯები: დავით ბერიშვილი, გურამ მიქელაძე, კახა კუპატაძე*


არმია-ბათუმი. ელიაშვილი და მილეიჯი (10) ერთმანეთს პაერში შეხვდნენ

| თსუ | ქუთაისი |
|---|---|
| 69 | 83 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| თსუ | 20 | 16 | 20 | 13 |
| ქუთაისი | 20 | 14 | 19 | 30 |

| თსუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 26 | 2 | 4 | 3 | 0 | 0 | 20 |
| ასელაინი | 27 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 7 |
| ტეტელაშვილი | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 5 |
| ხანიაშვილი | 22 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 13 |
| კოზიძე | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თვაური | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბერუაშვილი | 33 | 9 | 1 | 0 | 3 | 2 | 9 |
| ჩქარეული | 20 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 6 |
| ხიზანიშვილი | 13 | 5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 |
| ნოზაძე | 35 | 7 | 1 | 0 | 0 | 3 | 7 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 36 | 4 | 8 | 3 | 2 | 0 | 7 |
| ბაბუნაშვილი | 18 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| დიდია | 21 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 6 |
| კვიმსაძე | 25 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 2 |
| დ. ბარბაქაძე | 23 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 20 |
| ლომინაშვილი | 5 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| გ. ბარბაქაძე | 35 | 3 | 0 | 3 | 1 | 0 | 11 |
| მათიაშვილი | 34 | 19 | 1 | 6 | 3 | 2 | 31 |

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიშვილი, მიხეილ ვართანოვი*

ხუთი წლის წინათ საქართველოს ჩემპიონატში 6 გუნდი თამაშობდა, კალათბურთელები მეტ-ნაკლებად თანაბრად იყვნენ გადანაწილებულები და ის პირველობა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული გამოდგა. როცა გუნდები თანაბარია, ინტრიგაც მეტია, დაძაბულობაც და სანახაობრიობაც. ეს კი დონის ამაღლების საწინდარია.


სამედიცინო-სოხუმი. სოხუმელთა შვიდიანმა ირაკლი ჩლაიძემ 25 ქულა ჩააგდო

იცით, რატომ გაგვახსენდა ხუთი წლის წინანდელი შეჯიბრება? - იმიტომ, რომ 2012-13 წლების სუპერლიგაც მას ჰგავს: 11 მონაწილეს შორის ექვსი ისეთი გუნდია, ერთმანეთზე უკეთესი რომ ეთქმის (ქართული საზომებით). ამას გუშინ გამართული ერთი მატჩის შედეგიც ადასტურებს - მეექვსე ადგილზე მყოფმა „დინამომ" პირველობის ლიდერი „შსს აკადემია" („ოლიმპთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდა) დამაჯერებელი თამაშით დაამარცხა. არადა, აკადემიელებს მანამდე თვით „არმიას" ძლევაც მოეხერხებინათ.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა სატურნირო ცხრილის „კენწეროში" მეათე ტურის შემდეგ: სამ გუნდს 7-7 მოგება და 2-2 მარცხი აქვს. 8 გამარჯვებითა და 1 წაგებით „ოლიმპი" ერთპიროვნული ლიდერია. იგი მომდევნო ტურში, 22 დეკემბერს „არმიას" ეთამაშება და თუ წააგო, პირველ წრეს ოთხი ლიდერი („ოლიმპი", „არმია", შსს, რუსთავი) თანაბარი ქულებით დაასრულებს, რაც აქამდე ჯერ არ მომხდარა. თუმცა როგორც ვთქვით, ყველა გუნდი თანაბარია და „ოლიმპის" მიერ „არმიას" ძლევის შანსსაც ვერ ვუწოდებთ მიზერულს. ...ოლიმპელები შაბათის მატჩში წარმატების შემთხვევაში რეგულარული ეტაპის მოგებისკენ თამამ ნაბიჯს გადადგამენ.

## 41

მეათე ტურის პირველი შეხვედრა ბოლოდან დავიწყოთ. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბათუმელ **ლაშა კეშელავას** რეკორდის დამყარება (41 ქულა) მივულოცეთ და გავიხსენეთ, რომ მას საქართველოს ჩემპიონატში უფრო მეტიც აქვს ჩაგდებული: სამიოდე წლის წინათ თსუ-სთან მატჩში 54 ქულა მიითვალა, თუმცა მისი მაჩვენებელი იმავე შეხვედრაში თსუ-ელი **გიორგი მარკოიშვილის** აბსოლუტურმა რეკორდმა დაჩრდილა - 75 ქულა.

ლაშამ გუშინ 30 ქულა სამიანებით მიითვალა - 10 შორეული ტყორცნა გამოიყენა. თუმცა გუშინ პრესკონფერენციაზე იჯდა პიროვნება, რომელსაც ჩემპიონატში 11-დან 11 სამიანი აქვს ჩაგდებული - „არმიას" ამჟამინდელმა მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** ეს კალათბურთელობისას ვერის ბაღის დარბაზში გააკეთა.

| დინამო | შსს აკადემია |
|---|---|
| 83 | 78 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 19 | 22 | 25 |
| შსს აკადემი | 17 | 20 | 26 | 15 |

| დინამო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიკვილაძე | 35 | 4 | 2 | 2 | 3 | 0 | 21 |
| ლილუაშვილი | 36 | 4 | 3 | 5 | 3 | 0 | 9 |
| ჩოჩია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნინიაშვილი | 25 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 |
| კეიდია | 17 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 10 |
| ორმოცაძე | 6 | 1 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კარტერი | 36 | 9 | 1 | 2 | 3 | 0 | 12 |
| კლიმენი | 37 | 5 | 1 | 1 | 2 | 0 | 27 |
| ლუდუმაური | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |

| შსს აკადემია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 33 | 4 | 7 | 5 | 2 | 0 | 10 |
| როგავა | 17 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 11 |
| ბოქოლიშვილი | 23 | 4 | 3 | 3 | 0 | 1 | 5 |
| ლონდარიძე | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 0 | 8 |
| პრევიტი | 30 | 9 | 5 | 1 | 2 | 0 | 9 |
| ლომოური | 14 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 |
| ანთაძე | 11 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ბექაური | 20 | 0 | 2 | 2 | 2 | 0 | 9 |
| არჩიბეძე | 34 | 10 | 3 | 1 | 0 | 0 | 16 |

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე*

## 27

„დინამოს" სამი წამყვანი მოთამაშე (**ლეჟავა, კარიმი, ოლუიჩი**) ტრავმების გამო რომ აკლია, კარგად მოგეხსენებათ. ამის მიუხედავად მწვრთნელმა **ირაკლი ხოშტარიამ** გამონახა რესურსი (ბოლომდე დატვირთა **ირაკლი კეიდია**, 36 წუთით ენდო ახალგაზრდა **ზეზვა ლილუაშვილს**) და „შსს აკადემიას" ბოლომდე ებრძოლა. შსს-ელებს ფარქვეშ სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ, მოხსნებში 40:28 იმარჯვეს, თუმცა დინამოელები სამქულიანებით ახერხებდნენ კუდში დევნას.

საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე „აკადემია" **ლომოურის** სამქულიანით 75:69 დაწინაურდა, თუმცა ფორმალურმა მასპინძლებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს, **ჩიკვილაძის, კლიმენისა და კარტერის** სიზუსტის წყალობით თამაშის შემოტრიალებაც მოახერხეს და 83:78-იც გაიმარჯვეს.

სენსაციურია ეს შედეგი თუ არა, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია. ჩვენი მხრივ კი ვიტყვით, რომ დინამოელთა რიგებიდან 27 ქულის ავტორი ფლინ კლიმანი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

## 19

მესამე პერიოდის ბოლოს თსუ 10 ქულის სხვაობით იგებდა, მაგრამ ბოლო რაუნდში ქუთათურთა ზონური დაცვა ვერ გაარღვია, ათწუთეული 13:30, ხოლო მატჩი 69:83 წააგო.

„ქუთაისის" ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა** 31 ქულა და 19 მოხსნა მიითვალა. 31-ქულიანი რეკორდი რამდენიმე საათით ადრე კეშელავას ჰქონდა მოხსნილი, ხოლო 19-მოხსნიანმა რეკორდმა მხოლოდ ორ საათს იარსება...

## 20

ტურის ბოლო შეხვედრაში „სოხუმის" მეფარე **ვახტანგ ქადარიამ** კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა - 19 ქულა, 20 მოხსნა (ახალი რეკორდია), 8 პასი. მისი დამაჯერებელი გარჯის წყალობით სოხუმელებმა „სამედიცინოს" „ფარი მოუგეს" და სეზონის მეორე გამარჯვება ჩაიწერეს.


დინამო-შსს. პრევიტისა და ნინიაშვილის (12) ორთაბრძოლა

## 21

„ოლიმპი" „არმიასთან" მატჩის წინ სტუ-ს შეხვდა. სტუდენტებს მოსამზადებლად არასათანადო პირობები აქვთ, გაყინულ დარბაზში ვარჯიშობენ, რაც შედეგებზეც უარყოფითად ისახება. ასე რომ, გასაოცარი სულაც არ იყო, „ოლიმპმა" 21 ქულის სხვაობით რომ იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილი**
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

| სტუ | ოლიმპი |
|---|---|
| 75 | 96 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 23 | 13 | 19 | 20 |
| ოლიმპი | 22 | 26 | 26 | 22 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 13 | 3 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| კვეტენაძე | 26 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 15 |
| კორკოტაძე | 19 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 5 |
| მინაშვილი | 14 | 3 | 0 | 3 | 0 | 0 | 7 |
| მაჩალაძე | 24 | 9 | 4 | 1 | 5 | 1 | 8 |
| პირველაშვილი | 17 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 8 |
| დ. ღვალიშვილი | 10 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 8 |
| კუჭავა | 13 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 5 |
| ძიძიგური | 12 | 3 | 2 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ჯანაშია | 19 | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 8 |
| ქორიძე | 27 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 3 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაგდაშვილი | 15 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 16 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 7 |
| სოკი | 23 | 4 | 5 | 2 | 0 | 0 | 14 |
| გოგოძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მიქელაძე | 16 | 2 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 |
| თენიეშვილი | 22 | 3 | 2 | 3 | 0 | 0 | 14 |
| ფაცაცია | 22 | 7 | 3 | 3 | 0 | 0 | 19 |
| ტუტუსი | 17 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 7 |
| ცირეკიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ა. ღვალიშვილი | 18 | 8 | 5 | 1 | 1 | 0 | 3 |
| ჰოგერი | 11 | 5 | 0 | 2 | 0 | 0 | 10 |
| მილოშევიჩი | 28 | 14 | 1 | 3 | 2 | 2 | 20 |

*მსაჯები: დავით ბერკაშვილი, მიხეილ ვართანოვი, ხათუნა გაბედავა*


სტუ-ოლიმპი. ბურთით სტენ სოკი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 803/633 | 17 |
| 2. არმია | 9 | 7 | 2 | 801/589 | 16 |
| 3. შსს აკადემია | 9 | 7 | 2 | 742/616 | 16 |
| 4. რუსთავი | 9 | 7 | 2 | 683/621 | 16 |
| 5. ქუთაისი | 9 | 6 | 3 | 696/642 | 15 |
| 6. დინამო | 9 | 5 | 4 | 704/677 | 14 |
| 7. თსუ | 10 | 4 | 6 | 693/783 | 14 |
| 8. ბათუმი-რსუ | 9 | 3 | 6 | 629/703 | 12 |
| 9. სოხუმი | 9 | 2 | 7 | 689/772 | 11 |
| 10. სამედიცინო | 9 | 1 | 8 | 560/779 | 10 |
| 11. სტუ | 9 | 0 | 9 | 569/754 | 9 |

| სამედიცინო | სოხუმი |
|---|---|
| 71 | 85 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო | 21 | 19 | 18 | 13 |
| სოხუმი | 22 | 25 | 27 | 11 |

| სამედიცინო | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქია | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| არნივიძე | 7 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 |
| შიოლაშვილი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გაბისონია | 21 | 9 | 1 | 3 | 3 | 0 | 4 |
| ლ. რევაზაშვილი | 17 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 7 |
| გაფრინდაშვილი | 26 | 2 | 8 | 2 | 2 | 0 | 2 |
| მაისურაძე | 24 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 10 |
| ფერიაშვილი | 23 | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 15 |
| გ. რევაზაშვილი | 33 | 8 | 0 | 2 | 0 | 1 | 23 |
| კორძაძე | 5 | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ჭიჭვეიშვილი | 25 | 8 | 2 | 2 | 1 | 1 | 8 |
| ელიაძე | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაზმიევი | 16 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 4 |
| ბულიავა | 15 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ჩლაიძე | 33 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 | 25 |
| კოვალიანი | 24 | 5 | 1 | 4 | 0 | 0 | 10 |
| თავართქილაძე | 15 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გასიტაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ლეკანოიძე | 23 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 14 |
| ბააკაშვილი | 21 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 | 7 |
| ქადარია | 33 | 20 | 8 | 2 | 2 | 5 | 19 |
| ბეშქენაძე | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კვანტალიანი | 8 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიშვილი, ირაკლი ბერიშვილი*

# რა სტრატეგიული გეგმა აქვს რაგბის კავშირს?

**თანამედროვე საქართველოში რაგბი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. ოვალური ბურთით თამაშის ჩვენში ასეთ განვითარებას კი წინ უძღოდა მრავალი თაობის თავგანწირული და უანგარო გარჯა. მათ უმძიმესი პრობლემების გადალახვამ მოუწიათ და სჯეროდათ, რომ სათანადო მხადაჭერის პირობებში ქართული რაგბი ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს რაგბის ერთიან ოჯახში.**

ქართული რაგბი - გეოგრაფიული დაფარვის არეალი




ქართული რაგბის თაობათა გარჯა დაფასდა. ახლახან საქართველოს ნაკრები განვითარებული სარაგბო ქვეყნების ეროვნული გუნდების რიგებში გადაიყვანეს და ამიერიდან ტესტებს მოწინავე ნაკრებებთან გამართავს. ყოველივე ამის მიღწევა კი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა საქართველოს რაგბის კავშირის მიზანმიმართული, თანმიმდევრული განვითარების პოლიტიკა, რომელმაც ქართულ რაგბიში ბევრი სასიკეთო სიახლე მოიტანა.

საქართველოს რაგბის კავშირმა შეიმუშავა ქვეყანაში რაგბის განვითარების ახალი ოთხწლიანი პროგრამა, რომელიც, ალბათ, თავისი შინაარსითა და სტრუქტურული წყობით სამაგალითო უნდა გახდეს სპორტის სხვა სახეობების ხელმძღვანელი ორგანოებისთვის. ვფიქრობთ, რაგბის ქომაგებისთვის საინტერესო იქნება გავაცნოთ, რა გეგმები აქვს რაგბის კავშირს მომდევნო ოთხწლიან ციკლში.

საქართველოში რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმა ორი ნაწილისგან შედგება. პირველში აღწერილია, თუ რა პროექტები განხორციელდა განვლილ ოთხ წელიწადში, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად მომავლის გეგმებს დაეთმო.

საქართველოს რაგბის კავშირი თავის საქმიანობაში, ისევე როგორც განვლილ ოთხწლეულში, პრიორიტეტულად ამჯერადაც ორ მიზანს ისახავს:

1. რაგბი უნდა გახდეს საერთო ეროვნული, სახალხო თამაში
2. საქართველოს ნაკრებმა უნდა დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდს შორის.

რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმა ორ ნაწილად იყოფა. საშინაო და სანაკრებო რაგბი. ახალ, ოთხწლიან ციკლში საქართველოში რაგბის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად რჩება შიდა რაგბის განვითარება, რომლის გარეშეც გამორიცხულია მეორე პრიორიტეტული მიმართულების, სანაკრებო რაგბის წინსვლა.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიზარდა კლუბების რაოდენობა, რაც ძირითადად რაგბის მზარდი პოპულარობითა და სანაკრებო დონეზე მიღწეული წარმატებებით არის განპირობებული. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე დაფინანსების გაზრდამ, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესის დაწყებამ, საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავებამ. ყოველივე ამან საგრძნობლად აამაღლა შეჯიბრებების ხარისხი, გაიზარდა მოთამაშეთა რაოდენობა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს არსებობს მიღწეულით კმაყოფილების საფუძველი, მაგრამ რეალობის ზუსტი ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ სტანდარტების მიღწევამდე, რომელიც ქართულ რაგბის უმაღლეს საერთაშორისო დონეზე აიყვანს, დიდი გზაა გასავლელი.

## კლუბები

ქვეყანაში არსებული სარაგბო გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, წარმოადგენენ გაუმართავ და სუსტ ერთეულებს. დაფიანანსების მოზიდვა საკლუბო დონეზე დღეს საქართველოში ურთულესი საქმეა. რომ არა რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალსიწინებული საპრიზო ფონდის განაწილება უმაღლესი ლიგის ათ გუნდზე, ორი-სამი გამონაკლისის გარდა, დანარჩენი გუნდები ჩემპიონატში ვერ იასპარეზებდნენ. ბევრად უარესი მდგომარეობაა პირველ ლიგაში, რადგან ამ ლიგას სახელმწიფო არ აფინანსებს. გუნდების უმრავლესობას არ გააჩნია სავარჯიშო და საშეჯიბრო ინფრასტრუქტურა, შესატყვისი სამედიცინო მომსახურება და სრეაბილიტაციო ცენტრები.

საქართველოში დღეისთვის 67 სარაგბო კლუბია, აქედან:

სტრუქტურირებული ანუ კლუბი, რომელსაც ჰყავს კაცთა, ჭაბუკთა და მინიმუმ ორი საფესტივალო გუნდი ასაკბრივ კატეგორიაში - 10.

ნაწილობრივ სტრუქტურირებული, ანუ კლუბი, რომელსაც აკლია რომელიმე ასაკობრივი კატეგორიის გუნდი - 5.

არასტრუქტურირებული ანუ კლუბი, რომელსაც ერთი ან ორი ასაკობრივი კატეგორიის გუნდი ჰყავს - 52.

## ლიცენზირებული მოთამაშეები

2012 წლის დასაწყისის მონაცემებით, საქართველოში 6 161 ლიცენზირებული მორაგბე ირიცხებოდა (2007 წლის ბოლოს - 2 300), რაც აჭარბებს რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ დაწესებულ აუცილებელ მინიმუმს (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 0.1 პროცენტი). ამ მაჩვენებლით საქართველო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას უსწრებს, მაგრამ ჩამორჩება მოწინავე სარაგბო ქვეყნებს.

საქართველოში რაგბის პოპულარობის დონის გათვალისწინებით, მოთამაშეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა დროის მოკლე მონაკვეთში სავსებით რეალურია, თუმცა თუ პარალელურად არ განვითარდა მოთამაშეთა მომსახურე კვალიფიციური სპეციალისტების (მწვრთნელები, მსაჯები, ექიმები, მენეჯერები) რაოდენობა, შესაბამისი სარაგბო ინფრასტრუქტრა და დაფიანანსება, მხოლოდ მოთამაშეთა რაოდენობის ზრდა შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს.

## ლიცენზირებული მწვრთნელები

ამჟამად საქართველოში 191 მოქმედი მწვრთნელია, ამათგან ლიცენზია 147 აქვს, რაც საჭირო რაოდენობის 40-45 პროცენტს შეადგენს. საქართველოში რაგბის განვითარების ახალი ოთხწლიანი ციკლი უნდა გახდეს სააგბო პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის და მოთამაშეებისთვის თანამედროვე ცოდნის შეძენის ოთხწლეული. ამ პრობლემის გადასაწყვეტად რაგბის კავშირმა შექმნა „განვითარების მენეჯერთა ჯგუფი“, რომლის წევრებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება, ფლობენ მინიმუმ ერთ უცხო ენას და რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო სემინარებსა და გაცვლით პროგრამებში. სწორედ ამ ჯგუფის მიერ შეიქმნა და გამოიცა სახელმძღვანელო სხვადასხვა დონის მწვრთნელებისთვის.

მომდევნო ოთხწლიან ციკლში აუცილებელია განვითარების მენეჯერთა ჯგუფის გაზრდა, მათ შორის ქალბატონებისა და რეგიონების წარმომადგენელთა ხარჯზე. ასევე აუცილებელია, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ამ ჯგუფის ეფექტური მუშაობის შემთხვევაში, ლიცენზირებული მწვრთნელების დეფიციტი დაძლეულ უნდა იქნას, რაც საშუალებას მოგვცემს 8-10 მოთამაშეზე 1 ლიცენზირებული მწვრთნელი გვყავდეს.

## ლიცენზირებული მსაჯები

ლიცენზირებული მსაჯების დეფიციტი და მათი კვალიფიკაციის დონე წლების განმავლობაში რჩება ქართული რაგბის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად, რომლის დროულად გადაუჭრელობამ შეიძლება უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამისთვის საჭიროა ძალისხმევა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით:

ახალგაზრდა კადრების მოზიდვა - ამ პრობლემის მოსაგვარებლად უწინარესად აუცილებელია გაიზარდოს მსაჯის, როგორც პროფესიის პრესტიჟი. ეს არის კომპლექსური პრობლემა და მისი მოგვარება რაგბის კავშირის რამდენიმე კომიტეტის კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს:

უნდა გამკაცრდეს სანქციები მსაჯის მიმართ არაკორექტული დამოკიდებულებისთვის.

უნდა გაიზარდოს მსაჯთა მატერიალური და მორალური წახალისების დონე.

საუკეთესო მსაჯები გულშემატკივრებისთვის ცნობილი პიროვნებები უნდა გახდნენ.

პერსპექტიული მსაჯები საზღვარგარეთ ოფიციალურ შეჯიბრებებზე მომავალ დელეგაციებში უნდა ჩავრთოთ.

უცხო ენის მცოდნე მსაჯები რეგულარულად უნდა მივავლინოთ საერთაშორისო სტაჟირებასა და სემინარებზე.

ყველა ამ პრობლემის მოგვარების შემთხვევაში 2015 წლისთვის გვეყოლება 75 ლიცენზირებული მსაჯი.

## სარაგბო ინფრასტრუქტურა

სავარჯიშო და სათამაშო მოედნების არქონა ქართული რაგბის ძირძველი პრობლემაა. თაობები იზრდებოდნენ და ახლაც იზრდებიან აბსოლუტურად არასტანდარტულ, უხარისხო და ზოგჯერ ჯანმრთელობისთვის სახიფათო მოედნებზე, სკვერებში, პარკებში, იპოდრომზე და ასე შემდეგ.

2009 წლიდან მოყოლებული სიტუაცია იცვლება და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ უპრეცენდენტო პროექტის მიხედვით საქართველოში აშენდება 23 სარაგბო ბაზა სახელმწიფოს მიერ უფასოდ გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე. ამჟამად ორი კომპლექსი, „შევარდენის სანაკრებო ბაზა“ და „ავჭალის სარაგბო სტადიონი“ უკვე აშენებულია. ექვსი მშენებლობის პროცესშია. ესენია: რუსთავი - სარაგბო კომპლექსი, მარტყოფი - სასწავლო საწვრთნელი ცენტრი, ქუთაისი - სარაგბო კომპლექსი, დიდი დიღომი - სარაგბო კომპლექსი, ასპინძა - სარაგბო კომპლექსი, ფოთი - სარაგბო კომპლექსი.

დაგეგმილია სარაგბო კომპლექსის მშენებლობა თელავში, გორში, სენაკში, ბათუმში. ასევე 12 ტიპური სრაგბო კომპლექსი თბილისში.

საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ პროექტით აშენებული საკმაოდ ძვირადღირებული ბაზების პარალელურად, უნდა დაიწყოს იაფი, მარტივი ტიპის სარაგბო მოედნების მშენებლობა მთელ საქართველოში. საბოლოო მიზანი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით ყველა სარაგბო კლუბის, სათამაშო და სავარჯიშო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

## ბავშვთა და მოზარდთა რაგბი

დღეისთვის საქართველოში დადასტურებული საბუთებით საფესტივალო და ჭაბუკთა ლიგებში (8-დან 18 წლამდე) 4 673 მორაგბეა დარეგისტრირებული. მათი რაოდენობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თითქმის გასამმაგდა. ეს პოზიტივი შედეგია, თუმცა ამავე დროს ძალზე წინდახედულ და გეგმაზომიერ ქმედებებს მოითხოვს რაგბის კავშირისგან. კერძოდ, რაოდენობრივი ზრდის პარალელურად აუცილებელია კვალიფიციურ მწვრთნელთა, მსაჯთა და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის დეფიციტის აღმოფხვრა.

მოკლევადიან პერსპექტივაში აუცილებელია:

- საფესტივალო ასაკის ყველა გუნდის უზრუნველყოფა სათამაშო პრაქტიკით.
- საზაფხულო სარაგბი ბანაკების სტრუქტურის ჩამოყალიბება.
- ჭაბუკთა A და B ლიგებში შეიქმნას ორსაფეხურიანი, რეგიონალური და რესპუბლიკური პირველობების გათამაშების სისტემის შექმნა.
- აუცილებელია საფესტივალო და ჭაბუკთა ასაკის ყველა მორაგბის სრულფასოვანი სამედიციონო დაზღვევა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა.

## სასკოლო და სტუდენტური რაგბი

სასკოლო რაგბი წარმოადგენს ლიცენზირებულ მოთამაშეთა რაოდენობის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან რეზერვს. საქართველოში არის 2 600 საჯარო და კერძო სკოლა, სადაც დაახლოებით 600 ათასი მოსწავლეა. აქამდე რაგბი ხუთ სკოლაში ისწავლებოდა. ახალი სტრატეგიული გეგმის მიხედვით:

- ქვეყნის მასშტაბით რაგბი მინიმუმ 34 სკოლაში დაინერგება.
- მოთამაშეთა რაოდენობა დაახლოებით 10%-ით გაიზრდება.

შეიქმნება სასკოლო ლიგა.

- ჩატარდება რეგიონალური და ეროვნული სასკოლო პირველობები.

მთლიანად პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, სასკოლო ასაკის ლიცენზირებულ მოთამაშეთა რაოდენობა მინიმუმ 25%-ით გაიზრდება.

სტუდენტური რაგბი, რომელიც საქართველოში სპორტის ამ სახეობის სათავეებთან იდგა და ათეული წლების განმავლობაში მის მთავარ მკვებავ წყაროს წარმოადგენდა, ბოლო ათი წლის განმავლობაში მთლიანად გაქრა ასპარეზიდან.

სტუდენტური რაგბის აღორძინება რაგბის კავშირის განვითარების გეგმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამისთვის აუცილებელია სტუდენტური რაგბის განვითარების მაკოორდინირებელი ორგანოს (სტუდენტური ლიგა) შექმნა:

- მწვრთნელთა მომზადება სტუდენტური გუნდებისთვის.
- კლუბების დაფუძნება იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ეს ახლავე არის შესაძლებელი.
- უნივერსიადების ტრადიციის აღდგენა.

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია:

- საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სარაგბო კლუბის ჩამოყალიბება.
- რეგიონული სტუდენტური შეჯიბრებების ჩატარება.'

რეგიონალური სტუდენტური ნაკრები გუნდების ჩამოყალიბება.

- საქართველოს სტუდენტური ნაკრების შექმნა.

პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ლიცენზირებულ მოთამაშეთა რაოდენობა მინიმუმ 1500 მორაგბით გაიზრდება.

გაგრძელება იხილეთ ხვალინდელ ნომერში

**ბესიკ ჯანგავაძე**

ავჭალის სარაგბო სტადიონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ველოსპორტი

# კატიუშას უარი აუხსნეს

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის თაობაზე, რომ ველორბოლთა საერთაშორისო ასოციაციამ (UCI) 2013 წლისთვის ლიცენზიის გარეშე დატოვა რუსული ველოსაჯინიბო „კატიუშა". გუშინ, UCI-მ ახსნა ამ სკანდალური გადაწყვეტილების მიზეზი.

*„პირველი მიზეზი ის არის, რომ 2009-12 წლებში გუნდში დოპინგის გამოყენების ბევრი ფაქტი დაფიქსირდა,* - განაცხადა „კატიუშას" გენერალურმა მენეჯერმა **ვიაჩესლავ ეკიმოვმა**. *- მეორე მიზეზი: გუნდი არასაკმარის ყურადღებას უთმობდა დოპინგ-კონტროლს. მესამე - ფინანსური საკითხი".*

ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, „კატიუშას" პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ 2013 წლისთვის მაინც გაიმართება გუნდის პრეზენტაცია.

შეგახსენებთ, რომ ლიცენზიის გარეშე გუნდს არ აქვს გრანდ-ტურებში მონაწილეობის უფლება. ულიცენზიოდ რუსები რბოლებში იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას, თუ პირადი მიწვევა ექნებათ ორგანიზატორებისგან.



რუსული ველოსაჯინიბო

ჩოგბურთი

# სანტიაგო ბერნაბეუზე ჩოგბურთი დაინიშნა

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** ორივე ფეხის ცერა თითზე ოპერაცია გადაიტანა. ამის გამო, გასული სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელი დეკემბრის ბოლოს, ტაილანდში საჩვენებელ შეხვედრას ვერ ჩაატარებს მსოფლიოს პირველი ნომრის, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** წინააღმდეგ, - იტყობინება სააგენტო AP.



სერენა უილიამსი

ექიმ **ჯეფრი როკფელერის** სიტყვებით, ჩოგბურთელმა უნდა მოუკლოს აქტიურობას, რათა სრულად აღიდგინოს ჯანმრთელობა მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

სერენას ნაცვლად, აზარენკას წინააღმდეგ ჩინელი **ნა ლი** ითამაშებს.

■ ■ ■

ზედიზედ მეორედ დაიგეგმა საჩვენებელი შეხვედრა ესპანელ **რაფაელ ნადალსა** და სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შორის. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, თანამედროვე ჩოგბურთის ორ სუპერვარსკვლავს „სანტიაგო ბერნაბეუს" მინდორზე სახელდახელოდ მოწყობილ კორტზე უნდა ეთამაშათ, მაგრამ ნადალმა ტრავმის გამო ვერ შეძლო ამ უცნაურ მატჩში მონაწილეობის მიღება. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ დამყარდებოდა მსოფლიოს რეკორდი საჩოგბურთო მატჩზე დასწრების მხრივ.

და აი, გუშინ, გამოცხადდა, რომ მადრიდის „რეალის" საფეხბურთო არენაზე ნადალისა და ჯოკოვიჩის დაპირისპირება მაინც შედგება. დასახელდა კონკრეტული თარიღი - 2013 წლის ივლისი.

ავტოსპორტი

# ალეზი საბოლოოდ წავიდა

სახელოვანმა ფრანგმა ავტომრბოლმა **ჟან ალეზიმ** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. 2012 წელს ვეტერანმა ძალები მოსინჯა ლეგენდარულ რბოლაში,რომელსაც „ინდიანაპოლისის 500 მილი" ჰქვია, მაგრამ იქ იმედგაცრუება ელოდა. ალეზიმ განაცხადა, რომ ისევ სურდა 2013 წელს სტარტზე გასვლა, მაგრამ ყველანაირი გარემოება მის წინააღმდეგ არის.

*„ვასრულებ კარიერას,* - ამბობს ჟან ალეზი „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში. *- რენდი ბერნარი მზად იყო დამხმარებოდა მომავალ სეზონში, მაგრამ დატოვა ინდიკარის ხელმძღვანელის პოსტი, ამიტომაც, სიტუაცია გართულდა. როცა სტიუარდებმა ბოლო რბოლაში შავი დროშა ამიფრიალეს, გავნაწყენდი და მაშინვე მოვისურვე ინდიკარის სერიაში სეზონის მაღალ დონეზე ჩატარება. გუნდსაც ჰქონდა ინტერესი, მაგრამ მე მზად არ აღმოვჩნდი კვლავ სპონსორების მოსაზიდად".*



ჟან ალეზი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი



მაიამი-მინესოტა

# ლეიკერსმა მოგება დაიწყო, სპურსმა – წაგება

ცუდი დროება უდგას დასავლეთის ერთ-ერთ ფავორიტს „სან ანტონიო სპურსს", რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო სტუმრად, სულ რეგულარულში კი ბოლო ხუთ მატჩში ოთხი წაგება დაუგროვდა. არადა, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს „დენვერის" წინააღმდეგ **მანუ ჯინობილი** დაუბრუნდა და თითქოს, ყველაფერი წესრიგში უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა **ტიმ დანკანმა**, რომელმაც კინაღამ გაიმეორა „პორტლენდის" წევრის **ნიკოლა ბატუმის** ამასწინდელი მიღწევა. შეგახსენებთ, რომ ფრანგმა ე. წ. five-by-five შეასრულა. ტიმმა გუშინ 31 ქულა, 18 მოხსნა, 6 პასი და 5 დაფარება დააგროვა და ისტორიაში შესასვლელად სამი ჩაჭრა არ ეყო.

პირველი მეოთხედის მოგების შემდეგ, „სპურსმა" ჩააგდო მეორე და მესამე მეოთხედები და ბოლო 12-წუთეულის წინ, 15 ქულით ჩამორჩებოდა მოწინააღდეგეს. მიუხედავად ამისა, დანკანის გმირულმა თამაშმა კინაღამ მოიტანა შედეგი - ბოლოსკენ „სან ანტონიომ" შეძლო ორ ქულამდე ანგარიშის შემცირება, მაგრამ იქვე მატჩის მეორე გმირმა - **დანილო გალინარიმ** მეტად საჭირო სამქულიანი ჩააგდო, რასაც **ანდრე მილერის** ზუსტი საშუალო მოჰყვა და ამით, თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

„სპურსმა" ამ მატჩში ჩააგდო 14 სამქულიანი, მოუგო მეტოქეს პასებში, დაუშვა ნაკლები შეცდომა, მაგრამ მაინც წააგო. სტუმრები დაალალატა უკანა ხაზმა - **ტონი პარკერმა, გარი ნილმა, დენი გრინმა,** მანუ ჯინობილიმ და **სტივენ ჯექსონმა** ჯამში 50 ტყორცნიდან მხოლოდ 13 გამოიყენეს.

■ ■ ■

მოგება დაიწყო „ლეიკერსმა", მაგრამ კალიფორნიული გრანდი ბოლომდე დალაგებული არ არის. სხვანაირად ვერ აიხსნება ის, რაც „შარლოტთან" საშინაო მატჩის მესამე მეოთხედის შუაში ხდებოდა. მასპინძლები 18 (!) ქულას აგებდნენ გუნდთან, რომელსაც მანამდე 11 მარცხი ჰქონდა და თან „ლეიკერსის" რიგებს **პაუ გასოლი** დაუბრუნდა. მოახლოებული სირცხვილის შიშით, კალიფორნიელებმა სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი და წარმატებული გაქცევა გამოუვიდათ: 26:4-ის (!) შემდეგ, ინიციატივა „ლეიკერსის" მხარეს გადავიდა.

თითქოს აუტსაიდერი გატეხილი იყო, მაგრამ **მაიკ დ'ენტონის** შეგირდებს იოლი მოგება არ გამოუვიდათ. მატჩის ბოლო ორ წუთში „ლეიკერსმა" მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო - ორივე **ბრაიანტმა,** თანაც უდიდესი ძალისხმევის ფასად. ხოლო საფინალო სირენამდე 21 წამით ადრე, იმავე კობის აცილების შემდეგ, „შარლოტმა" თითქმის სრულფასოვანი შეტევის დრო და უილბლო სერიის შეწყვეტის ბრწყინვალე შანსი მიიღო. და „ბობკეტსი" ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. **უოკერის** გარღვევა **ჰოვარდმა** დაბლოკა, ბურთი **ჰენდერსონს** მიუვიდა, რომელმაც თითქოს მოაგებინა თავის გუნდს, მაგრამ ბურთმა ფარზე იტრიალა და მუხანათურად არ ჩაეშვა კალათში. მართალია, **ბენ გორდონმა** შეტევაში მოხსნა მოიგო, მაგრამ ტყორცნის მოსამზადებლად დრო არ ჰქონდა და ფორსირებული სროლა ძალიან არაზუსტი გამოდგა. ასე გაჭირვებით მოიგო „ლეიკერსმა" ზედიზედ მესამე შეხვედრა, მაგრამ ამ გუნდისთვის ჯერ შორია პლეი ოფის ზონამდე.

■ ■ ■

ახლა კი ორი უცნაურობის შესახებ.

გასაკვირი მატჩი მოუგო „მაიამიმ" „მინესოტას". „მგლებმა" ჩემპიონს ფარზე ბრძოლა 29 მოხსნის სხვაობით მოუგეს - ეს მეორე ყველაზე უარესი სხვაობაა „ჰიტის" ისტორიაში. ფლორიდელებმა მხოლოდ 24 მოხსნა მიითვალეს და ესეც ბოლოდან მეორე შედეგია ამ გუნდისთვის. მიუხედავად ამისა, ჩემპიონმა მაინც მოიგო, რითაც დაარღვია კალათბურთის ერთ-ერთი უძველესი კანონი - მატჩს იგებს ის, ვინც იგებს ფარს.

მეორე უცნაურობა ის არის, რომ ზედიზედ მეორე მატჩში ვერ შეძლო **რაჟონ რონდომ** მინიმუმ ათი პასის შესრულება - ამჯერად, „ბოსტონის" პლეიმეიკერი რვა შედეგიანი გადაცემით შემოიფარგლა. ასეთი რამ რონდოს თამაშში მარტის შემდეგ არ მომხდარა.

რაჟონის არაეფექტური თამაში მის გუნდსაც გადაედო და „სელტიქსმა" ყველა კომპონენტში დათმო შეხვედრა „ჩიკაგოს" წინააღმდეგ. შედეგიანი გადაცემების მხრივ კი, რონდოს... ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** აჯობა. 1995 წლის შემდეგ, „ბოსტონის" წინააღმდეგ მატჩში „ჩიკაგოს" არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონდა შესრულებული სამმაგი დუბლი და ახლა, ნავსი სწორედ ფრანგმა მოთამაშემ გატეხა. მის ანგარიშზეა - 11 ქულა, 13 მოხსნა და 10 პასი. ეს საკმარისი აღმოჩნდა მატჩში იოლი გამარჯვებისთვის.

**გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი 103:96**

**31:21, 28:29, 23:22, 21:24**

**გ-ს**: ლი (26+9 მოხსნა), ტომპსონი (19+3 ჩაჭრა), ჯეკი (16+10 პასი), ლენდრი (16+9 მოხსნა), კარი (13+5 მოხსნა).

**ნ-ო**: ანდერსონი (28), ვასკესი (20+5 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა), დევისი (15+16 მოხსნა+4 ჩაჭრა), რივერსი (12).

**ვაშინგტონი-ატლანტა 95:100 (ო)**

**22:28, 24:24, 23:20, 21:18, 5:10**

**ვ**: ჯორ. კროუფორდი (27+11 მოხსნა+11 პასი), ნენე (18+6 პასი+3 ჩაჭრა), ბილი (17+5 მოხსნა), უებსტერი (11), ბარონი (4+14 მოხსნა+4 დაფარება).

**ა**: უილიამსი (24), სმიტი (17+13 მოხსნა+3 ჩაჭრა+5 დაფარება), კორვერი (16+7 მოხსნა), ტიგი (13+6 პასი), ჰორფორდი (5+11 მოხსნა+6 პასი).

**კლივლენდი-ტორონტო 99:113**

**29:22, 24:27, 23:29, 23:35**

**კ**: ირვინგი (23+7 პასი+3 ჩაჭრა), ვარეჟაო (22+10 მოხსნა), გი (15), კ. მაილზი (13), ტომპსონი (10+9 მოხსნა).

**ტ**: კალდერონი (23+5 მოხსნა+6 პასი), ანდერსონი (18+6 მოხსნა), ჯონსონი (17+6 მოხსნა), დეროზანი (16+5 მოხსნა), ლუკასი (11+5 პასი), კლეიზა (10).

**ბრუკლინი-იუტა 90:92**

**24:20, 33:24, 17:26, 16:22**

**ბ**: ჯონსონი (21), ლოპესი (16+5 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (14+5 პასი), უოლასი (11), ჰემფრიზი (8+11 მოხსნა).

**ი**: მო უილიამსი (19+6 პასი), ჯეფერსონი (16+11 მოხსნა), ფეივორსი (13), მილსეპი (12+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მარვ. უილიამსი (11+10 მოხსნა).

**მაიამი-მინესოტა 103:92**

**21:27, 31:22, 28:23, 23:20**

**მაი**: უეიდი (24), ჯეიმსი (22+7 მოხსნა+11 პასი+4 დაფარება), ბოში (15), ჩელმერსი (12+3 ჩაჭრა).

**მინ**: კირილენკო (22), პეკოვიჩი (18+12 მოხსნა), რიდნური (13), ლავი (11+18 მოხსნა), ბარეა (10).

**ჩიკაგო-ბოსტონი 100:89**

**28:23, 27:25, 24:22, 21:19**

**ჩ**: ბუზერი (21+12 მოხსნა), დენგი (21), რობინსონი (18), გიბსონი (13+5 მოხსნა), ნოა (11+13 მოხსნა+10 პასი+3 დაფარება), ბელინელი (10).

**ბ**: რონდო (26+8 პასი), პირსი (16), ლი (14), გარნეტი (10+8 მოხსნა).

**მილუოკი-ინდიანა 98:93**

**21:25, 24:23, 27:18, 26:27**

**მ**: ჯენინგსი (34+5 მოხსნა+6 პასი), ელისი (19+6 პასი+3 ჩაჭრა), დანლივი (17+6 მოხსნა), მბა ა მუტე (10+10 მოხსნა).

**ი**: ჰილი (18), ჯორჯი (16+10 მოხსნა+5 პასი), მაინმი (14+5 მოხსნა), უესტი (12+6 მოხსნა), ჰიბერტი (8+10 მოხსნა).

**დალასი-ფილადელფია 107:100**

**28:23, 29:29, 19:22, 31:26**

**დ**: მაიო (26+8 პასი+3 ჩაჭრა), კამანი (20+7 მოხსნა), მერიონი (14+9 მოხსნა), კოლისონი (12), რაიტი (10+6 მოხსნა).

**ფ**: რაიტი (25+5 მოხსნა), ჰოუზი (18+7 მოხსნა), ტერნერი (17+5 მოხსნა+5 პასი), ტ. იანგი (12+7 მოხსნა), რიჩარდსონი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დენვერი-სან ანტონიო 112:106**

**26:28, 29:20, 35:27, 22:31**

**დ**: გალინარი (28+9 მოხსნა), ფარიდი (19+11 მოხსნა), ბრიუერი (16), იგუოდალა (14+9 მოხსნა+6 პასი), ლოუსონი (12+5 პასი), მაკგი (10+3 დაფარება), კუფოსი (4+14 მოხსნა+4 დაფარება).

**ს-ა**: დანკანი (31+18 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ჯინობილი (16+6 მოხსნა+6 პასი), მილსი (15), პარკერი (13), სპლიტერი (10+3 ჩაჭრა).

**ლეიკერსი-შარლოტი 101:100**

**27:25, 26:33, 24:26, 24:16**

**ლ**: ბრაიანტი (30+6 მოხსნა+7 პასი), უორლდ პისი (17+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), მიქსი (17), ჰოვარდი (16+18 მოხსნა+4 დაფარება), გასოლი (10+9 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება).

**შ**: უოკერი (28+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), სეშენსი (20+6 პასი), ჰენდერსონი (19+9 მოხსნა), მალენსი (13+17 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ბიიომბო (8+11 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# იაპონია პოდიუმზე

მამაკაცმა სამთო მოთხილამურეებმა იტალიის კურორტ მადონა დი კამპილიოში გადაინაცვლეს, სადაც ღამის სლალომი გაიმართა.

ეტაპი მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელის - ავსტრიელი **მარსელ ჰირშერის** სრული ტრიუმფით დასრულდა. მან ორივე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა, რითაც უახლოეს მდევარს წამნახევარზე მეტი მოუგო.

ამ ეტაპზე სენსაციის მოწმენიც გავხდით. მისი ავტორი გახდა იაპონელი **ნაოკი იუასა.** პირველი ცდის შემდეგ, აზიელმა მხოლოდ 26-ე დრო აჩვენა და ბუნებრივია, მას სათვალავში არავინ იღებდა. მაგრამ მეორე ცდა იუასას ფანტასტიკური გამოუვიდა. მის შემდეგ, სტარტზე კიდევ 25 მოთხილამურე უნდა გასულიყო, მაგრამ დრო გადიოდა და ორი ცდის ჯამში იაპონელის შედეგს ვერავინ აუმჯობესებდა. იუასა დიდი ხანი ინარჩუნებდა პირველობას. საბოლოოდ, მან პოდიუმი გაინაღდა მას შემდეგ, რაც მეორე ცდის შესასრულებლად ტრასაზე მხოლოდ გერმანელი **ფელიქს ნოიროიტერი** და ჰირშერი დარჩნენ.

სწორედ ამ ორმა მოთხილამურემ მოახერხა იაპონელის დროის გაუმჯობესება და იუასა მესამე ადგილამდე დაქვეითდა. მაგრამ ეს მაინც უდიდესი წარმატება იყო, რადგან აზიელი სამთო თხილამურებში ცხრაწლიანი კარიერის განმავლობაში პირველად ავიდა პოდიუმზე.

მეორე ადგილი დაიკავა ნოიროიტერმა, პირველობა კი არავის დაუთმო ჰირშერმა, რომელმაც ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი მოიპოვა - გაუსწრო ამერიკელ **ტედ ლიგეტის**. ეს უკანასკნელი მეცხრე ადგილზე გავიდა, თუმცა ეს არც არის გასაკვირი - ამერიკელი თავის კარიერაში არასოდეს ასულა სლალომის ეტაპის პოდიუმზე.

ასევე არ არის მოხერხებული ეს დისციპლინა მსოფლიოს თასის ამჟამინდელი ლიდერისთვის - ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალისთვის**. ის საერთოდ არ გასულა სტარტზე, თუმცა შეინარჩუნა გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა - 614 ქულა აქვს, ჰირშერი მას 54 ქულით ჩამორჩება, ლიგეტი - 67 ქულით.


ჰირშერი (მარჯვნივ) იუასას ულოცავს

რაც შეეხება სლალომის ჩათვლას, აქ ჰირშერმა პირველობა მოიპოვა - მან ჩამოაქვეითა შვედი **ანდრე მიურერი,** რომელიც მადონა დი კამპილიოში მეოთხეზე გავიდა.

ჰირშერისთვის ეს იყო მეორე მოგება ამ სეზონში. მანამდე ის პირველი გახლდათ ვალ დ'იზერში გიგანტური სლალომის ეტაპზე. ავსტრიელი წელს შვიდივე ტექნიკური სტარტის პოდიუმზე ავიდა, სულ კი კარიერაში 14 გამარჯვება დააგროვდა.

არ გაუმართლა რამდენიმე ფავორიტს. მაგალითად, იტალიელი ოლიმპიური ჩემპიონი **ჯულიანო რაცოლი** მესამე დროს უმიზნებდა, როცა მეორე ცდისას მარჯვენა თხილამური გასძვრა და ფინიშამდე ვერ მივიდა. ასევე ვერ დაასრულა დაშვება ვალ დ'იზერში ბოლო სლალომის გამარჯვებულმა, ფრანგმა **ალექსის პინტურომ.**

იტალიური სტარტი ერთი უსიამოვნო მომენტით აღინიშნა. პირველი ცდა დაახლოებით 15 წუთით შეწყდა იმის გამო, რომ ზედ ტრასაზე გარდაიცვალა მომსახურე პერსონალის ერთ-ერთი წევრი. როგორც მოგვიანებით დადგინდა, გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა იყო.

**სლალომი**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:42.50; 2. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 1:44.17; 3. **ნაოკი იუასა** (იაპ) - 1:44.78, 4. **ანდრე მიურერი** (შვედ) - 1:44.84; 5. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 1:45.02; 6. **მარკუს ფოგელი** (შვედ) - 1:45.18...

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 569 ქულა; 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 560; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 537; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 296; 5. **მანფრედ მოელგი** (იტალია) - 281; 6. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - 272...

# ვონი პაუზას იღებს


ლინდსი ვონი

მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა **ლინდსი ვონმა** გასულ უქმეებზე წარუმატებლად იასპარეზა საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე. ამის შემდეგ, ამერიკელმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოსვლებში პაუზის აღება გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში მას ნაწლავის ინფექცია აღმოაჩნდა, რის გამოც საავადმყოფოში მოხვდა.

*„ოჯახის წევრებთან და მწვრთნელებთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტე პაუზა ავიღო მსოფლიოს თასის გამოსვლებში. გადატანილი ინფექციის შემდეგ ვგრძნობ, რომ ძალა და ენერგია არ მყოფნის. შესვენების დროს ვიმედოვნებ ძალების აღდგენას, რათა ძველ დონეზე გავაგრძელო ასპარეზობა",* - დაწერა თავის „ფეისბუქზე" ვონმა.

კრივი

# იანვრამდე უნდა მოილაპარაკონ

მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუს **ალექსანდრ პოვეტკინს** მოუწოდა, რომ მათ 2013 წლის 17 იანვრამდე უნდა მოილაპარაკონ ბრძოლის ჩატარების თაობაზე. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, WBA ჩაატარებს ვაჭრობას ამ შეხვედრის ორგანიზებაზე.

ოქტომბრის ბოლოს WBA-მ დაადგინა, რომ კლიჩკოსა და პოვეტკინის ჩხუბი 26 თებერვლამდე უნდა გაიმართოს. ნოემბერში რუსი მოკრივის მენეჯერმა **ვლადიმერ ხრიუნოვმა** განაცხადა მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე. ორი დღის წინ კი მანვე ისიც თქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი ერთი კვირის განმავლობაში გაირკვევა.

WBA-სგან ასეთი ზეწოლის პირობებში უფრო ცუდ მდგომარეობაში უკრაინელი იმყოფება, რომელმაც გასულ თვეს ჩაატარა შეხვედრა **მარიუშ ვახთან,** ალექსანდრ პოვეტკინს კი სექტემბრის შემდეგ არ უბრძოლია. იმ შემთხვევაში, თუ ბრძოლა თებერვლისთვის დაინიშნა, უკრაინელს არ ექნება მომზადებისთვის საკმარისი დრო.

2011 წლიდან კლიჩკოს მინიჭებული აქვს WBA-ის ვერსიით სუპერჩემპიონის ტიტული. ასევე უკრაინელი ფლობს საჩემპიონო ქამრებს WBO-სა და IBF-ის ვერსიებით. როგორც გითხარით, ბოლო ბრძოლა მან 2012 წლის 10 ნოემბერს ჩაატარა, როცა ქულებით მოუგო პოლონელ მარიუშ ვახს და დაიცვა თავისი ტიტულები. სულ კარიერაში უმცროსმა კლიჩკომ 62 ბრძოლა ჩაატარა და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

იმავე 2011 წლიდან პოვეტკინი WBA-ის ვერსიით „ჩვეულებრივ" ჩემპიონად მიიჩნევა. რუსის ბოლო ბრძოლა 2012 წლის 29 სექტემბრით თარიღდება, როცა მან ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანს** მოუგო. სულ პოვეტკინმა პროფესიულ რინგზე 25 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


კლიჩკო და პოვეტკინი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ლიდსი-ჩელსი | 1:5 |
| **FA Trophy** | |
| კორბი-ტამუორტი | 2:4 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ლაციო-სიენა | 1:1 პენ. 4:1 |
| უდინეზე-ფიორენტინა | 0:1 |
| ნაპოლი-ბოლონია | 1:2 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბოხუმი-მიუნხენი | 3:0 |
| ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2:1 |
| დორტმუნდი-ჰანოვერი | 5:1 |
| შტუტგარტი-კიოლნი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| ეპინალი-კოლმარი | 1:3 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბრედა-ჰერაკლესი | 1:3 |
| იგლზი-ცვოლე | 1:1 დ.დ. 2:3 |
| ვიტესი-ადო 20 | 10:1 |
| ჰერენვეენი-ფეიენოორ. | 2:2 პენ. 6:7 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დესელი-ტუბეკე | 0:1 |
| აალსტი-ეუპენი | 0:1 |
| ოუდენაარდე-რუზელარე | 1:5 |
| ლომელი-ბორინაჟი | 1:0 |
| მუსკრონი-ვიზე | 3:1 |
| ოსტენდე-ვესტერლო | 2:1 |
| ჰაისტი-ბრიუსელი | 0:2 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ნასიონალი-პორტუ | 0:2 |
| ნავალი-ბეირა მარი | 0:0 |
| გიმარაეში-ბრაგა | 0:0 |
| რიუ ავე-ფერეირა | 2:3 |
| მორეირენსე-აკადემიკა | 2:2 |
| ოლანენსე-ბენფიკა | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-მონროუზი | 2:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| პრუდეფტიკი-პანათინაიკოსი | 1:2 |
| ნიკი ვოლუ-პანთრაკიკოსი | 1:1 |
| პანიონიოსი-ფოსტირასი | 1:1 |
| პანახაიკი-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| ბურსა-1461 ტრაბზონი | 2:0 |
| ფენერბაჰჩე-შივასი | 2:0 |
| **აფრიკის ერების თასი** | |
| ანგოლა-კამერუნი | 1:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ტრირი | 85:74 |
| ტიუბინგენი-ალბა | 77:78 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 75:61 |
| **ესპანეთი** | |
| გიპუსკოა-სარაგოსა | 79:70 |
| ბილბაო-მურსია | 98:75 |
| ვალიადოლ.-კახა ლაბორალი | 71:93 |
| ესტუდიანტესი-გრან კანარია | 83:75 |
| ბარსელონა-ობრადოირო | 54:62 |
| უნიკახა-კანარიასი | 88:67 |
| ხუვენტუდი-სევილია | 84:82 |
| **თურქეთი** | |
| ანკარა-ერდემი | 87:81 |
| გაზიანთეფი-ჰაჩეთეფე | 78:61 |
| ბანვითი-ტურკ ტელეკომი | 80:72 |
| თოფასი-ანტალია | 91:80 |
| პინარი-ალიაგა | 83:51 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 74:67 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-სკა | 1:4 |
| სიბირი-დინამო (მ) | 3:3 |
| ლოკომოტივი-ტრაქტორი | 2:1 |
| ტორპედო-ავტომობილისტი | 2:1 |
| ატლანტი-მეტალურგი (მ) | 3:5 |
| სპარტაკი-ავანგარდი | 0:3 |
| დინამო (მნ)-ნეფტეხიმიკი | 3:1 |
| დონბასი-იუგრა | 4:2 |
| დინამო (რ)-ბარისი | 2:3 (ო) |
| სლოვანი-ს. იულიაევი | 0:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-მარტინი | 3:1 |
| ჟილინა-ნიტრა | 2:3 (ო) |
| პოპრადი-ზვოლენი | 0:4 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 4:3 |
| პიესტანი-კოშიცე | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ბლუზი | 4:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ხომუტოვი | 6:4 |
| კლადნო-პარდუბიცე | 5:4 |
| პლზენი-ლიბერეცი | 6:5 (ბ) |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 2:3 |
| ზლინი-ბრნო | 6:3 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 4:1 |

TV პროგრამა

**20 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. შალკე-ფრაიბურგი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ტოტენჰემი-სუონსი.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
14:30 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
15:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
16:45 ევროპის ლიგა. პლეი ოფის წილისყრა (LIVE).
17:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. რედინგი-არსენალი.
20:00 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფის წილისყრა.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 ევროპის ლიგა. პლეი ოფის წილისყრა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. ტვენტე-ჰერაკლესი.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მანჩესტერ იუნ-გალათასარაი.
12:00 sport NEWS
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბოსტონი.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიიმეგენი-ეინდჰოვენი.
17:00 კალათბურთი. NBA. 1990 წელი. ფილადელფია-ჩიკაგო.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
22:00 მსოფლიოს ფეხბურთის ლიდერები.
23:00 მსოფლიოს კალათბურთის ლეგენდები. ფილადელფია. II ნაწილი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
12:50 სპორტ-NEWS.
13:20 რაგბი. ჰეინეკენის თასი. ოსპრეი-ტულუზა.
15:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
17:20 სპორტ-NEWS.
17:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ტვენტე-ჰანოვერი.
19:50 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ოკლაჰომა.
22:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 6 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 13 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 12 | 18 | (მზე) |
| ზუგდიდი | 11 | 17 | (წვიმა) |
| გორი | 2 | 7 | (წვიმა) |
| თელავი | 1 | 6 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 2 | 7 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -6 | 0 | (მცირე თოვლი) |
| ბორჯომი | 1 | 8 | (მზე) |
| მესტია | -3 | 8 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1990 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6565 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6994 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3851 |

ფორმულა 1

# დიდი ცირკი არ შენელდება

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ კიდევ ერთხელ შეცვალა ტექნიკური რეგლამენტი

2014 წელს, ფორმულა 1 თავის სახეს შეიცვლის. ჩემპიონატი დღევანდელი რვაცილინდრიანი ატმოსფერული ძრავებიდან ტურბირებულ V6-ზე გადავა. ენერგიის რეკუპერაციის სისტემა KERS დღევანდელზე ათჯერ უფრო მძლავრი იქნება. რბოლის დროს შესაძლებელი იქნება მხოლოდ 135 ლიტრი საწვავის გამოყენება, რაც ითვალისწინებს საწვავის მოხმარების დაახლოებით 30 პროცენტით შემცირებას.

ასევე ელიან აეროდინამიკის როლის მნიშვნელოვნად შემცირებას, რის გამოც, კრიტიკოსებმა უკვე დაიწყეს ლაპარაკი "მონოფორმულას" წარმოშობაზე. "რედ ბულის" ტექნიკური დეპარტამენტის შეფი **ედრიან ნიუი** შეშფოთებულია იმის გამო, რომ ასეთი ცვლილებებით, მომავალში არა აეროდინამიკა, არამედ ძრავა ითამაშებს წამყვან როლს ფორმულა 1-ში.

თუმცა გარკვეულ ასპექტებში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია დათმობებზე წავიდა. მაგალითად, არ გავიდა გეგმა, რომლის მიხედვითაც მანქანები პიტ-ლეინზე მხოლოდ ელექტროგამწევებით უნდა გადაადგილებულიყვნენ. თუმცა ამ გეგმის ასრულება 2017 წლისთვის გადაიდო. ძრავების მწარმოებლებმა მიანიშნეს ფედერაციას, რომ ასეთი ტექნიკის მომზადება დიდ ხარჯებს მოიტანდა (დაახლოებით 3 მილიონი ევრო). უფრო მეტიც, წარმოიშვა საშიშროება, რომ ბოლომდე დაცული არ იქნებოდა უსაფრთხოება. არადა, ფედერაციას ამ გზით სურდა ძრავების მწარმოებელთა ხარჯების ეკონომია.

■ ■ ■

ფედერაციამ უკან გადადგა ნაბიჯი აეროდინამიკის მხრივ. FIA-ის პრესრელიზში წერია: *"დაგეგმილი ცვლილებები მანქანის დიზაინში, რომელიც ემსახურება მოჭიდების ძალისა და ჰაერის წინააღმდეგობის შემცირებას - გაუქმებულია. წესები დაბრუნებულია 2012 წელში"*. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავდაპირველად ახალი რეგლამენტი ვარაუდობდა ყველანაირი დეფლექტორის აკრძალვას, მაგრამ ახლა, ისინი კვლავ დაშვებულია.

2012 წელში დაბრუნების საფუძველი გახდა შიში იმის თაობაზე, რომ ფორმულა 1-ის მანქანა, შეიძლება ძალიან ნელი გამხდარიყო. ახალი ძალისმიერი ბლოკების წონა იმაზე მეტი ალმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. იყო გათვლა, რომ მათი წონა 150 კილოგრამი იქნებოდა, მაგრამ, ახლა, "ფერარიმ", "რენომ" და "მერსედესმა" აცნობეს ფედერაციას, რომ 150 კილოგრამში ისინი მხოლოდ ენერგიის შენახვის ადგილების გაუთვალისწინებლად ეტევიან. მათთან ერთად კი წონა კიდევ 20-25 კილოგრამით იმატებს. ეს კი წრეზე დროს 0.6-1.0 წამით გაზრდის.

ამასობაში, ფედერაციის წინაშე იდგა ამოცანა, რომ 2014 წლისთვის ბოლიდის ტემპი დღევანდელთან შედარებით ხუთ წამზე მეტით არ დავარდნილიყო. ბოლიდის წონის ზრდის გათვალისწინებით, ეს ამოცანა არ იქნა რეალიზებული. 2014 წლის მანქანის მინიმალური წონა 640-დან 685 კილოგრამამდე გაიზარდა და შეიძლება მატება მეტი იყოს - იმის გათვალისწინებით, რამდენად მძიმე იქნება მომავალი საბურავები. ამ დროს აეროდინამიკა რომ "შეეკვეცათ" ახალი გეგმის მიხედვით, მაშინ ფორმულა 1 სისწრაფის მიხედვით დავიდოდა ინდიკარის ან LMP1-ის დონეზე. ასე რომ, მოუწიათ ნაბიჯის უკან გადადგმამ.

■ ■ ■

მაგრამ პრობლემა ისევ რჩება - ეს არის ფასები ძრავებზე. სამმა დღევანდელმა ავტომწარმოებელმა სერიოზული ინვესტიციები ჩადო ახალი ძალისმიერი ბლოკების განვითარებისთვის - უკვე დახარჯულია 90 მილიონი ევრო. 2014 წლისთვის ეს თანხა 100 მილიონს გადააჭარბებს. ეს დანახარჯები გადანაწილდება კერძო საჯინიბოებზე, რომელიც უკვე ღელავენ ახალი რეგლამენტის თაობაზე.

როგორც ჩანს, ახალი ძრავებისა და KERS-ის პაკეტი 21 მილიონი ევრო ეღირება. "მარუსიასა" და "კატერჰემის" მსგავსი პატარა გუნდებისთვის, ეს შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს. და არა მარტო მათთვის. "ზაუბერის" შეფი **მონიშა კალტერნბორნიც** მიიჩნევს, რომ მომავალი ფასები ძალიან მაღალია: *"მე ვუთხარი ფედერაციის პრეზიდენტს ჟან ტოდტს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ამდენის გადახდას"*.

ამჟამად, "ზაუბერი" "ფერარის" რვა მილიონ ევროს უხდის, რასაც ემატება მილიონი KERS-ის სისტემისთვის. ეს მომგებიანი ფასია. "კატერჰემი" "რენოს" რვა მილიონს ურიცხავს ძრავებისთვის და ექვს მილიონს "რედ ბულს" KERS-სა და გადაცემათა კოლოფისთვის. "ფორს ინდია" თანამშრომლობს "მერსედესთან" და მთელს პაკეტს 14 მილიონად იძენს. "მერსედესის" სპორტული განყოფილების ყოფილი შეფი - **ნორბერტ ჰაუგი** თავისი კუთხით უყურებს ამ პრობლემას: *"ახლა, ზოგიერთი გუნდი უფრო მეტს იხდის პილოტებისთვის, ვიდრე ძრავებისთვის. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს"*.

**გია თვალაბეიშვილი**






## საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მონაწილე
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი** (გაგამარუ) სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

*შენიშვნა: სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53*
*(10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384.** **ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**